ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები

საქართველოს მთავრობამ 2017 წლის ოქტომბერში დაამტკიცა სკოლამდელ განათლებასთან დაკავშირებული სახელმწიფო სტანდარტები და ტექნიკური რეგლამენტები. სავალდებულო სტანდარტების მომზადება იყო სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ კანონის მოთხოვნა და მის შემუშავებაში მთავრობას გაეროს ბავშვთა ფონდი დაეხმარა. დამტკიცდა შემდეგი სახელმწიფო სტანდარტები: ადრეული და სკოლამდელი განათლების სახელმწიფო სტანდარტი; აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტი; ადრეულ და სკოლამდელ დაწესებულებაში კვების ორგანიზების და კვებითი ღირებულების ნორმების განმსაზღვრელი ტექნიკური რეგლამენტი; ტექნიკური რეგლამენტი ადრეულ და სკოლამდელ დაწესებულებაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების შესახებ.

ადრეული და სკოლამდელი განათლების სახელმწიფო სტანდარტისა და აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტის შემუშავებაში ასევე მონაწილეობდა ორგანიზაცია „ვოლდ ვიჟენი“.

სარჩევი

თავი 1 ზოგადი დებულებები 11

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების რეგულირების სფერო და მიზნები 11

ტერმინთა განმარტება 11

სტანდარტების სტრუქტურა 14

ბავშვის აღზრდისა და განათლების სტანდარტი 14

სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტი 16

ხარისხის სტანდარტი 16

თავი 2 ბავშვის აღზრდისა და განათლების სტანდარტები 19

0-დან 2 წლამდე ბავშვის ადრეული განვითარების სტანდარტები 19

1. ბავშვის განვითარების სფეროები: 19

ა) ბავშვის განვითარების სფერო – ფიზიკური და სენსორული განვითარება; 19

ბ) ბავშვის განვითარების სფერო, სოციალურ-ემოციური განვითარება: 21

გ) ბავშვის განვითარების სფერო – კომუნიკაციური უნარების, ენისა და მეტყველების განვითარება: 23

დ) ბავშვის განვითარების სფერო – შემეცნებითი განვითარება: 24

ე) ბავშვის განვითარების სფერო – დამოუკიდებლობა და ადაპტური ქცევის განვითარება: 25

2. თემატური მიმართულებები: 27

ა) თემატური მიმართულება – ხელოვნება: 27

ბ) თემატური მიმართულება – წიგნიერება: 27

გ) თემატური მიმართულება – ჯანსაღი ცხოვრების წესი და მეცნიერების ელემენტები: 28

2-დან 3 წლამდე ბავშვის აღზრდისა და განათლების სტანდარტები 30

2-დან 3 წლამდე ბავშვის განათლების სტანდარტები: 30

ა) ბავშვის განვითარების (აღზრდა-განათლების) სფეროები: 30

ბ) თემატური მიმართულებები: 32

2. 2-3 წლის ბავშვის აღზრდის სტანდარტები: 34
ა) ბავშვის განვითარების სფეროები: 34
ა.ა) ბავშვის განვითარების სფერო – ფიზიკური და სენსორული განვითარება; 34
ა.ბ) ბავშვის განვითარების სფერო – სოციალურ-ემოციური განვითარება: 36
ა.გ) ბავშვის განვითარების სფერო – კომუნიკაციური უნარების, ენისა და მეტყველების განვითარება: 38
ა.დ) ბავშვის განვითარების სფერო – შემეცნებითი განვითარება: 39
ა.ე) ბავშვის განვითარების სფერო – დამოუკიდებლობა და ადაპტური ქცევის განვითარება 41

ბ) თემატური მიმართულებები 43
ბ.ა) თემატური მიმართულება – ხელოვნება 43
ბ.ბ) თემატური მიმართულება – წიგნიერება 44
ბ.გ) თემატური მიმართულება – ჯანსაღი ცხოვრების წესი, მეცნიერების ელემენტები 45

3-დან 4 წლამდე და 4-დან 5 წლამდე ბავშვის აღზრდისა და განათლების სტანდარტები 48
1. 3-დან 4 წლამდე და 4-დან 5 წლამდე ბავშვის განათლების სტანდარტი 48
ა) ბავშვის განვითარების (აღზრდა-განათლების) სფეროები 48
ბ) თემატური მიმართულებები 51

2. 3-დან 4 წლამდე და 4-დან 5 წლამდე ბავშვის აღზრდის სტანდარტი 56
ა) ბავშვის განვითარების სფეროები 56
ა.ა) ბავშვის განვითარების სფერო – ფიზიკური და სენსორული განვითარება 56
ა.ბ) ბავშვის განვითარების სფერო – სოციალურ-ემოციური განვითარება 58
ა.გ) ბავშვის განვითარების სფერო – კომუნიკაციური უნარების, ენისა და მეტყველების განვითარება 61
ა.დ) ბავშვის განვითარების სფერო – შემეცნებითი განვითარება 62
ა.ე) ბავშვის განვითარების სფერო – დამოუკიდებლობა და ადაპტური ქცევის განვითარება 64

ბ) თემატური მიმართულებები 67
ბ.ა) თემატური მიმართულება – ხელოვნება 67
ბ.ბ) თემატური მიმართულება – წიგნიერება 68
ბ.გ) თემატური მიმართულება – ჯანსაღი ცხოვრების წესი, მეცნიერების ელემენტები 69

თავი 3 სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტი 75

სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტის რეგულირების სფერო და მიზნები 75
სტანდარტის დანერგვის ზოგადი რეკომენდაციები 75

ბავშვის განვითარების სფეროები, ქვესფეროები, მიმართულებები და შედეგები 76
1. ბავშვის განვითარების სფერო – ჯანმრთელობა და ფიზიკური განვითარება 76
2. ბავშვის განვითარების სფერო – სწავლისადმი მიდგომა 77
3. ბავშვის განვითარების სფერო – სოციალურ-ემოციური განვითარება 79
4. ბავშვის განვითარების სფერო – შემეცნებითი განვითარება და ზოგადი ცოდნა 80
5. ბავშვის განვითარების სფერო – მეტყველება, კომუნიკაცია და წიგნიერება 83

თავი 4 ხარისხის სტანდარტი 86

მიმართულება – უსაფრთხოება და დაცულობა 86
მიმართულება – კურიკულუმი და მეთოდოლოგია 88
მიმართულება – ფიზიკური გარემო 89
მიმართულება – ურთიერთობა 91
მიმართულება – საგანმანათლებლო პროცესი 92
მიმართულება – ოჯახისა და თემის მონაწილეობა 94
მიმართულება – მართვა და შეფასება 95
მიმართულება – ინკლუზიური განათლება 96

თავი I

ზოგადი დებულებანი

ზოგადი დებულებები

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების რეგულირების სფერო და მიზნები

1. ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები(შემდგომში – სტანდარტები) განსაზღვრავენ თუ რა ცოდნას, უნარ-ჩვევებს, ღირებულებებსა და დამოკიდებულებებს უნდა იძენდეს ბავშვი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ფარგლებში, ასევე განსაზღვრავს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების გარემოსა და საგანმანათლებლო ხარისხის სტანდარტს.
2. სტანდარტი სავალდებულოა ყველა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებისათვის (მიუხედავად მათი სამართლებრივი ფორმისა).
3. სტანდარტის მიზნებია:
   ა) სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში ხარისხიანი სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესისათვის ხელის შეწყობა;
   ბ) სკოლამდელი ასაკის ბავშვის განვითარების მიზნით მისაღწევი შედეგების განსაზღვრა დაბადებიდან ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის პირველ კლასში შესვლამდე;
   გ) აღზრდისა და განათლების შედეგების განსაზღვრა 2 წლიდან ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის პირველ კლასში შესვლამდე;
   დ) ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მიერ ინდივიდუალური სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის წარმართვის უზრუნველყოფა თითოეულ ბავშვთან, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის და/ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან;
   ე) ბავშვის ფიზიკური და ემოციური განვითარების უზრუნველყოფა;
   ვ) ბავშვის კოგნიტური განვითარებისა და სკოლისათვის მომზადების უზრუნველყოფა;
   ზ) ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში ხარისხიანი სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი გარემოს შექმნა;
   თ) ბავშვის განმავითარებელი უსაფრთხო და პოზიტიური სააღმზრდელო და საგანმანათლებლო გარემოს შექმნის ხელშეწყობა.

ტერმინთა განმარტება

ამ სტანდარტებში გამოყენებულ ტერმინებს, ამ სტანდარტების მიზნებისათვის, აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ავერსიული რეაქცია – რეაქცია, რომელიც გამოიხატება თავის არიდებით ან დისტრესით და გამოწვეულია უსიამოვნო, მუქარის გამომხატველი ან სხვა არასასურველი სტიმულით (მაგალითად, ბავშვმა გამოავლინა ავერსიული რეაქცია ვაშლის წვენის მიმართ, როცა ჭიქაზე ხელის გაკვრით წვენი მაგიდაზე დაღვარა და თქვა, რომ ის უგემურია);

ბ) ასერტულობა – უნარი, გამოხატო საკუთარი სურვილები, გრძნობები, საჭიროებები და დაიცვა საკუთარი უფლებები ისე, რომ ანგარიში გაუწიო სხვების გრძნობებს და არ დაარღვიო მათი უფლებები;

გ) ბავშვის ინდივიდუალური პორტფოლიო – კრებული, რომელიც მოიცავს ბავშვის ნამუშევრებს, დაკვირვების/შეფასების შედეგად მიღებულ მრავალფეროვან ინფორმაციას, ბავშვების სურათებს სხვადასხვა საქმიანობის შესრულებისას და სხვა;

დ) ემპათია – ადამიანის უნარი, წარმოიდგინოს, როგორ გრძნობს, რას განიცდის სხვა კონკრეტულ სიტუაციაში და გამოიჩინოს ზრუნვა მის მიმართ (მაგალითად, ბავშვი სანუგეშებლად ამხანაგს თავის საყვარელ სათამაშოს სთავაზობს);

ე) თამაში – ბავშვის ქცევის წამყვანი ფორმა, რომელიც ხელს უწყობს ბავშვის მრავალმხრივ განვითარებას;

ვ) თემი – ერთ ტერიტორიაზე განსახლებულ იმგვარ ადამიანთა ერთობა, რომელთაც საერთო ინტერესები და იდენტიფიკაცია გააჩნიათ;

ზ) თვითრეფლექსია – საკუთარი გამოცდილების კრიტიკული გადამუშავების პროცესი, ასევე საკუთარი ქცევისა და აზროვნების ანალიზი, გაცნობიერება, შეფასება, დაგეგმვა და კონტროლი;

თ) ინტერაქცია – ორი ან მეტი ადამიანის მიერ ერთმანეთისადმი, სხვა საგნების ან მესამე პირისადმი ყურადღების მიქცევა;

ი) კეთილდღეობა – მდგომარეობა, რომელიც მოიცავს ბედნიერებისა და კმაყოფილების განცდას. ის გულისხმობს ინდივიდის ეფექტიან სოციალურ ფუნქციონირებასა და მიდრეკილებას ოპტიმიზმისადმი, ღიაობისადმი, ცნობისმოყვარეობისა და მედეგობისადმი;

კ) კონტინუუმი – მოვლენების, პროცესების უწყვეტობა, ერთობლიობა;

ლ) კომპეტენტურობა – თავდაჯერებულობის განცდა რაიმეს წარმატებით შესრულებასთან დაკავშირებით;

მ) კურიკულუმი – ყველა დაგეგმილი ან დაუგეგმავი გამოცდილება, საქმიანობა, რუტინა, მოვლენა და ყველა ტიპის ურთიერთობა, რომელიც ხორციელდება ბავშვის განვითარებისა და სწავლებისთვის განკუთვნილ გარემოში;

ნ) მედეგობა – ინდივიდის უნარი, გაუმკლავდეს და მოერგოს ყველა ტიპის ცხოვრებისეულ გამოწვევასა და ცვლილებას ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური და გარემოს რესურსების გამოყენებით;

ო) მეთოდოლოგია – პრინციპების, აქტივობებისა და მიდგომების სისტემური ერთობლიობა, რომლის გამოყენებითაც ხორციელდება ბავშვის აღზრდა და განათლება;

პ) მე – კონცეფცია - ზოგადი წარმოდგენა საკუთარ თავზე;

ჟ) მეორადი მასალა – საგანმანათლებლო რესურსის ტიპი, რომელიც ერთხელ უკვე გამოიყენეს და საგანმანათლებლო მიზნებიდან გამომდინარე შესაძლებელია მეორედ გამოყენება (მაგალითად, ღილები, ქსოვილები, ძველი ჟურნალ-გაზეთები, პლასტმასის ან ქაღალდის კონტეინერები და სხვ.);

რ) მიკუთვნებულობა, მიკუთვნებულობის განცდა – ბავშვის, როგორც პიროვნების, გარდაუვალი ნაწილი. ბავშვს მიკუთვნებულობის განცდა აქვს თავისი ოჯახის, მის ირგვლივ არსებული კულტურული ჯგუფისა (სამეზობლო, თემი) და კიდევ უფრო ფართო საზოგადოების მიმართ მის ცხოვრებაში. ბავშვის მიკუთვნებულობის განცდა ურთიერთდამოკიდებულების საჭიროების აღიარებაა მის მიერ და მის მიმართ, აყალიბებს იდენტობას და ბავშვს აღაქმევინებს, თუ ვინ არის ის და როგორი შეიძლება იყოს/გახდეს;

ს) მონიტორინგი – პროცესი, რომელიც გულისხმობს მონაცემების სისტემურ შეგროვებას, დამუშავებასა და გაანალიზებას. მონიტორინგის მიზანია ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების პროგრესის შეფასება და შესაბამისი რეკომენდაციების მიწოდება. მონიტორინგი შეიძლება იყოს შიდა – რომელსაც ახორციელებს უშუალოდ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების თანამშრომელი/თანამშრომლები ან გარე – რომელსაც ახორციელებს ნებისმიერი სხვა გარეშე პირი/ორგანიზაცია;

ტ) მოქნილობა - სიტუაციის შესაბამისად შეცვლის ან ცვლილების უნარი;

უ) მულტიდისციპლინური გუნდი – სპეციალისტების გუნდი, რომლის მიზანია განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვის საჭიროებების შეფასება და ქმედითი ღონისძიებების დაგეგმვა და გატარება, ბავშვის საგანმანათლებლო პროცესში ჩართვის მიზნით. მულტიდისციპლინური გუნდის უცვლელი წევრები არიან ბავშვის მშობელი და აღმზრდელ-პედაგოგი. დანარჩენი შემადგენლობა განისაზღვრება საჭიროებებიდან გამომდინარე – ფსიქოლოგი, ოკუპაციური თერაპევტი, მეტყველების თერაპევტი, სპეციალური პედაგოგი, მეთოდისტი, აღმზრდელი და სხვა. მულტიდისციპლინური გუნდი შესაძლოა შეიქმნას როგორც დაწესებულების ფარგლებში, ასევე მუნიციპალიტეტის დონეზე;

ფ) პოზიტიური დისციპლინა – დისციპლინის მოდელი, რომელიც გამოიყენება მშობლების ან ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების თანამშრომელთა მიერ. მისი მიზანია ბავშვის განვითარება ორმხრივ პატივისცემაზე დაფუძნებული ურთიერთობის ფონზე. პოზიტიური დისციპლინა მიმართულია გამოსავალზე, პოზიტიური ქცევის შეთავაზება კი - და სწავლაზე და არა არასასურველი ან უარყოფითი ქცევის დასჯაზე;

ქ) პროაქტიული ზრუნვა – მოქმედება, რომელიც მიმართულია პრობლემის მოგვარებასა და გამოწვევების გადალახვაზე;

ღ) პროსოციალური ქცევა – ნებისმიერი ქმედება, რომელიც მიმართულია ინდივიდის მიერ სხვათა დახმარებაზე. პროსოციალური ქცევის განხორციელების მთავარი მოტივი სხვა ადამიანის დახმარებაა. პროსოციალურ ქცევას წარმოადგენს ალტრუიზმიც, რომელიც საკუთარი უსაფრთხოებისა და ინტერესების გაუთვალისწინებლად, მეორე ადამიანისთვის დახმარების გაწევას ნიშნავს;

ყ) რისკიანი თამაში – თამაში, რომელიც ბავშვს სთავაზობს გამოწვევებსა და შესაძლებლობების გამოცდას და არ შეიცავს საფრთხეს ჯანმრთელობისთვის;

შ) საგანმანათლებლო პერსონალი – ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების თანამშრომლები, რომლებიც უშუალოდ არიან ჩართულები საგანმანათლებლო პროცესში (მაგ., აღმზრდელ-პედაგოგი, აღმზრდელი, სასწავლო პროგრამის კოორდინატორი/მეთოდისტი და სხვა);

ჩ) საგანმანათლებლო რესურსი – ყველა ის მასალა, რომელიც გამოიყენება ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისას (მაგ., ქარხნული წესით დამზადებული, თუ ხელნაკეთი სათამაშოები, ბუნებრივი, სამხატვრო და საკანცელარიო, ღია და მეორადი მასალა, ბეჭდური მასალა და ა.შ.);

ც) საქმიანობა – ინდივიდის ან ჯგუფის მიერ განხორციელებული ნებისმიერი პროცესი. ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამის ფარგლებში, საქმიანობა შეიძლება იყოს წამოწყებული ბავშვის მიერ, უფროსის მიერ ან განპირობებული რუტინით. რუტინული საქმიანობა ყოველდღიურად მეორდება და მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო პროცესის წარმატებულად განხორციელებისთვის: ჯგუფში მიღება, კვება, დასვენება, ჩაცმა, ხელის დაბანა და სხვა. ბავშვის ჰოლისტური და მრავალმხრივი განვითარების ხელშესაწყობად აუცილებელია მრავალფეროვანი გამოცდილება, რომელიც უზრუნველყოფილია სხვადასხვა ტიპის საქმიანობებით: დრამატული, წესებიანი, შემოქმედებითი, კვლევითი თამაშები და სხვა;

ძ) ტრანზიცია – პროცესი, რომელიც გულისხმობს ბავშვის გადასვლას სახლიდან ან ბავშვთა ადრეული ინტერვენციის (განვითარების) პროგრამიდან ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სივრცეში ან გადასვლას ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სივრცეში არსებულ სხვადასხვა პროცესს შორის ან ბავშვის გადასვლას ადრეული და სკოლამდელი აღზრდიდან და განათლებიდან ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის პირველ კლასში;

წ) უნივერსალური დიზაინი – გარემოს, შენობების ინფრასტრუქტურის მოწყობა/ადაპტაცია, საჭირო ტექნოლოგიებით აღჭურვა იმისთვის, რომ გარემო მაქსიმალურად ხელმისაწვდომი იყოს ყველა ადამიანისთვის, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის, რომელთაც აქვთ გადაადგილების სირთულე, სმენის ან მხედველობის დარღვევა და სხვა. უნივერსალური დიზაინი ასევე გულისხმობს სასწავლო გეგმას, რომელიც ითვალისწინებს ყველა ბავშვის ინტერესსა და შესაძლებლობას, შეფასების სისტემასა და სწავლების მეთოდებს;

ჭ) ღია მასალა – საგანმანათლებლო რესურსის ტიპი, რომლის გამოყენება შესაძლებელია სხვადასხვანაირად. ღია მასალა შესაძლოა იყოს როგორც ბუნებრივი წარმოშობის (მაგ., კენჭები, ჯოხები, ფოთლები, ბუმბული და ა.შ.), ასევე ქარხნული (მაგ., მინისა და ხის ბურთულები, მუყაოს ყუთები, ქსოვილის ნაჭრები და ა.შ.). ბავშვების მიერ ღია მასალის გამოყენება ხელს უწყობს წარმოსახვის, შემოქმედებითობისა და კრიტიკული აზროვნების განვითარებას;

ხ) შეცდომებისადმი ტოლერანტული გარემო – ფუნქციური დანიშნულების შესაბამისი გარემო, სადაც მინიმუმამდე არის დაყვანილი შემთხვევითი ქმედებების დროს არასასურველი შედეგები;

ჯ) „ხარაჩოს“ მეთოდი – ბავშვისთვის ნაბიჯ-ნაბიჯ დახმარების გაწევა, რათა მან უფრო ეფექტიანად გააკეთოს ის, რის გაკეთებაც მას ჯერ დამოუკიდებლად არ შეუძლია, დროთა განმავლობაში ნაკლები დახმარების გაწევა და დამოუკიდებლად მოქმედების საშუალების მიცემა;

ჰ) ჰოლისტური განვითარება – თვითაქტუალიზაციისა და სწავლის პროცესი, რომელიც მოიცავს ინდივიდის ფიზიკურ, სოციალურ, ემოციურ და სულიერ ზრდას კომპლექსურად. ბავშვის მრავალმხრივი/ჰოლისტური განვითარება გულისხმობს მათი ემოციური, ფიზიკური, ინტელექტუალური, შემოქმედებითი, სულიერი და ურთიერთობების საჭიროებების თანხვედრას. განვითარებისადმი ამგვარი მიდგომა ახალისებს მზრუნველს, დაინახოს ბავშვი, როგორც მთლიანი პიროვნება და არა ცალკეული განვითარების სფეროების ნაკრები.

სტანდარტების სტრუქტურა

სტანდარტები აერთიანებს სამი სახის სტანდარტს:

ა) ბავშვის აღზრდისა და განათლების სტანდარტს;

ბ) სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტს;

გ) ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების გარემოსა და სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ხარისხის სტანდარტს (შემდგომში - ხარისხის სტანდარტი);

ბავშვის აღზრდისა და განათლების სტანდარტი

1. ბავშვის აღზრდისა და განათლების სტანდარტი შედგება 3 ნაწილისაგან:

   ა) I ნაწილი განსაზღვრავს 0-დან 2 წლამდე ბავშვის ადრეული განვითარების სტანდარტებს;

   ბ) II ნაწილი განსაზღვრავს 2-დან 3 წლამდე ბავშვის აღზრდისა და განათლების სტანდარტებს;

   გ) III ნაწილი განსაზღვრავს 3-დან 4 წლამდე და 4-დან 5 წლამდე ბავშვის აღზრდისა და განათლების სტანდარტებს.

2. ბავშვის აღზრდისა და განათლების სტანდარტი ითვალისწინებს ბავშვის განვითარების სფეროებსა და თემატურ მიმართულებებს. ბავშვის განვითარების სფეროები ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული და არცერთი მათგანი არ ვითარდება ცალმხრივად, ერთის განვითარება ხელს უწყობს დანარჩენი სფეროების განვითარებას. თემატური მიმართულებები ბავშვისთვის მრავალმხრივი ინფორმაციის გადაცემასა და ასაკის შესაბამისი დარგობრივი ცოდნის დაუფლებას ითვალისწინებს, ასევე ხელს უწყობს ბავშვის განვითარების სფეროებში მოცემული უნარების ათვისებასა და ცოდნის შეძენას.

3. ბავშვის განვითარების (აღზრდა-განათლების) სფეროებია:



   ა) ფიზიკური და სენსორული განვითარება (აღზრდა-განათლება) – ბავშვის ხელშეწყობა, განივითაროს ნატიფი მოტორიკა, უხეში მოტორიკა და სენსორული უნარები;

   ბ) სოციალურ-ემოციური განვითარება (აღზრდა-განათლება) – ბავშვის ხელშეწყობა, განივითაროს ის უნარები, რომელიც სჭირდება პოზიტიური ურთიერთობების ჩამოსაყალიბებლად როგორც გარშემომყოფებთან, ისე საკუთარ თავთან, იმისათვის, რომ შეიცნოს საკუთარი თავი, ისწავლოს საკუთარი ემოციების, იმპულსებისა და ქცევის მართვა, ისწავლოს თანამშრომლობა და სხვა;

   გ) კომუნიკაციური უნარების, ენისა და მეტყველების განვითარება – ბავშვის ხელშეწყობა, განივითაროს კომუნიკაციური უნარები, როგორც სწავლისა და სოციუმში არსებობის განუყოფელი მოვლენა;

   დ) შემეცნებითი განვითარება – ბავშვის ხელშეწყობა, განივითაროს სააზროვნო უნარები ცნობისმოყვარეობისა და შემოქმედებითობის გამოყენებით;

   ე) დამოუკიდებლობა და ადაპტური ქცევის განვითარება – ბავშვის ხელშეწყობა, განივითაროს დამოუკიდებლობა და ადაპტური ქცევა იმისთვის, რათა ისწავლოს თანამედროვე და ცვალებად სამყაროში გამოწვევებთან გამკლავება.

4. თემატური მიმართულებებია:
5.
6.



ა) ხელოვნება – მიმართულება, რომელიც ხელს უწყობს ბავშვის ინტერესის დაკმაყოფილებას ვიზუალურ ხელოვნებასთან, მუსიკასთან, დრამასთან, ქორეოგრაფიასთან მიმართებით და შესაძლებლობას აძლევს მას გამოხატოს საკუთარი ფიქრები და ემოციები ხელოვნების დარგების საშუალებით;

ბ) წიგნიერება – მიმართულება, რომელიც ხელს უწყობს ბავშვის ადრეული წიგნიერების განვითარებას, ბავშვის ინტერესის დაკმაყოფილებას წიგნსა და მხატვრულ ნაწარმოებებთან მიმართებით;

გ) ჯანსაღი ცხოვრების წესი და მეცნიერების ელემენტები – მიმართულება, რომელიც ხელს უწყობს ბავშვისთვის ჯანსაღი ცხოვრების წესის (ჯანსაღი კვება, ჰიგიენა, ფიზიკური აქტივობის გათავისება) დამკვიდრებას, ასევე ქუჩაში უსაფრთხოდ მოძრაობის წესების, საყოფაცხოვრებო უსაფრთხოების, ბუნებრივი კატასტროფების რისკებთან დაკავშირებული საკითხების, საზოგადოებაში ქცევის წესების გათავისებას. მეცნიერების ელემენტების თემატური მიმართულება ხელს უწყობს ბავშვის ინტერესის დაკმაყოფილებას მეცნიერების სხვადასხვა ასპექტთან დაკავშირებით, ინფორმაციის მიღებას ცოცხალი და არაცოცხალი ბუნების შესახებ, გარემოს დაცვასა და მოქალაქეობასთან დაკავშირებულ საკითხებზე, მათემატიკურ წარმოდგენებსა და თანამედროვე ტექნოლოგიებზე.

7. ბავშვის განათლების სტანდარტით გათვალისწინებული ბავშვის განვითარების თითოეულ სფეროსა და თემატურ მიმართულებაში განსაზღვრულია შედეგები. შედეგი არის ბავშვის სწავლისა და განვითარებისთვის დასახული კონკრეტული მიზანი. შედეგები ყველა ასაკისთვის საერთოა. კონკრეტულ ასაკში შედეგის მიღწევას განსაზღვრავენ ინდიკატორები. ინდიკატორი არის შედეგის მიღწევის მაჩვენებელი და ბავშვის ასაკის მიხედვით და განვითარების შესაბამისად იცვლება.

8. ბავშვის აღზრდის სტანდარტი განსაზღვრავს ბავშვის განვითარებაზე მიმართულ მისაღწევ შედეგს, რომელიც ყველა ასაკისთვის ერთი და იგივეა. ბავშვის აღზრდის სტანდარტით მოცემულია კატეგორიები და ინდიკატორები. კატეგორია წარმოადგენს ერთ კონკრეტულ უნარს, ცოდნას ან ცნებას. ინდიკატორი წარმოადგენს ერთ კონკრეტულ ქმედებას/ქცევას, რომელსაც ბავშვი ავლენს კონკრეტული უნარის დაუფლების/ქონის დროს. ინდიკატორები მოცემულია ბავშვის განვითარების კონტინუუმის სახით.

სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტი

1. სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტში განსაზღვრულია ერთი აკადმიური წლის ბოლოს ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის პირველ კლასში შესვლამდე ბავშვის მიერ მისაღწევი შედეგები მისი ფიზიკური, გონებრივი, სოციალური და ემოციური განვითარებისთვის.

2. სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტი დაყოფილია ბავშვის განვითარების სფეროებად.

3. ბავშვის განვითარების სფეროებია:

ა) ჯანმრთელობა და ფიზიკური განვითარება;

ბ) სწავლისადმი მიდგომა;

გ) სოციალურ-ემოციური განვითარება;

დ) შემეცნებითი განვითარება და ზოგადი ცოდნა;

ე) მეტყველება, კომუნიკაცია და წიგნიერება.

4. ბავშვის განვითარების თითოეული სფერო შედგება ქვესფეროებისგან, რომლებიც დაყოფილია მიმართულებებად. თითოეულ მიმართულებაში განსაზღვრულია შედეგი, რომელიც წარმოადგენს ბავშვის განვითარებისთვის დასახულ კონკრეტულ მიზანს.

ხარისხის სტანდარტი

1. ხარისხის სტანდარტი დაყოფილია მიმართულებებად.
2. ხარისხის სტანდარტის მიმართულებებია:
   ა) უსაფრთხოება და დაცულობა – მიმართულება, რომელშიც მოცემულია ის ძირითადი ასპექტები, რომლითაც ხასიათდება სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების უსაფრთხოება და დაცულობა, ასევე მოცემულია ის შედეგები, რომელიც ეხება როგორც ბავშვის, ასევე სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების თანამშრომლების ფიზიკურ და ემოციურ დაცულობას;
   ბ) კურიკულუმი და მეთოდოლოგია – მიმართულება, რომელშიც მოცემულია იმ მეთოდური საშუალებების მახასიათებლები, რომლებიც განაპირობებენ ბავშვზე ორიენტირებულ სწავლებას და ხელს უწყობენ ხარისხის სტანდარტით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას;
   გ) ფიზიკური გარემო – მიმართულება, რომელშიც მოცემულია ბავშვის განვითარების ხელშემწყობი ფიზიკური გარემოს მახასიათებლები;
   დ) ურთიერთობა – მიმართულება, რომელშიც მოცემულია ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სივრცეში ჩამოსაყალიბებელი ურთიერთობები და ბავშვის განვითარების ხელშემწყობი სოციალური გარემოს მახასიათებლები;
   ე) საგანმანათლებლო პროცესი – მიმართულება, რომელშიც მოცემულია ბავშვზე

ორიენტირებული საგანმანათლებლო პროცესის შემადგენელი კომპონენტები და პროცესის ეფექტიანად წარმართვის მახასიათებლები;

ვ) ოჯახისა და თემის მონაწილეობა – მიმართულება, რომელშიც მოცემულია შედეგები, რომელიც ხელს უწყობს ბავშვის ოჯახის აქტიურ მონაწილეობას ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ყოველდღიურ საქმიანობაში და უზრუნველყოფს პოზიტიურ ურთიერთკავშირებს დაწესებულებასა და ბავშვის ოჯახს შორის;

ზ) კულტურული მრავალფეროვნება და ინკლუზია – მიმართულება, რომელშიც მოცემულია სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებაში კულტურული მრავალფეროვნების პატივისცემასა და თითოეული ბავშვის თანაბარ ჩართულობასთან დაკავშირებული მახასიათებლები, მიუხედავად მისი საჭიროებისა, შესაძლებლობისა, კულტურული, ეთნიკური, რელიგიური თუ სხვა ნიშნით განსხვავებულობისა;

თ) მართვა და შეფასება – მიმართულება, რომელშიც მოცემულია ხარისხიანი პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასებისა და მხარდაჭერის პრინციპები.

3. ყოველი მიმართულება მისაღწევი შედეგების – სტანდარტების სახით არის წარმოდგენილი. თითოეული სტანდარტისთვის განსაზღვრულია შედეგის მიღწევის მაჩვენებლების – ინდიკატორების ჩამონათვალი.

თავი II

ბავშვის ალზრდისა და განათლების სტანდარტები



0-დან 2 წლამდე ბავშვის ადრეული განვითარების სტანდარტები

1. ბავშვის განვითარების სფეროები:

ა) ბავშვის განვითარების სფერო - ფიზიკური და სენსორული განვითარება;

ა.ა) ბავშვი აკონტროლებს სხეულის მოძრაობას, მოძრაობს მიზანმიმართულად, კოორდინირებულად და ინარჩუნებს წონასწორობას:

კატეგორია	ინდიკატორები (მოცემული ინდიკატორების მისაღწევად, თითოეულ ბავშვს აქვს შესაძლებლობა, გამოიყენოს ადაპტური აღჭურვილობა ან დამხმარე მოწყობილობა.)			
მუცელზე წოლა	მუცელზე წოლისას რამდენიმე წამით სწევს თავს.	მუცელზე წოლისას, თავსა და გულმკერდის ზედა ნაწილს ზევით სწევს, იდაყვებს ეყრდნობა.	მუცელზე წოლისას, თავსა და გულმკერდს ზევით სწევს, მტევნებს ეყრდნობა.	მუცელზე წოლისას, თავსა და გულმკერდს ზევით სწევს, ერთ ხელს ეყრდნობა და მეორეს იყენებს რაიმეს მისაწვდომად.
ზურგზე წოლა	ზურგზე წოლისას თავს ორივე მხარეს ატრიალებს.	ზურგზე წოლისას ხელები სხეულის შუახაზთან მიაქვს.		ფეხი პირისკენ მიაქვს.	ზურგზე წოლისას წევს თავს.
ჯდომა	წამოწევისას თავი უჭირავს.	ზის უმნიშვნელო საყრდენის დახმარებით.	დამოუკიდებლად ჯდომისას საჭიროების შემთხვევაში ეყრდნობა ხელებს.		ზის დამოუკიდებლად, ხელებზე დაუყრდნობლად.
დგომა	ფეხზე ადგომას საყრდენის დახმარებით ცდილობს.		დგას საყრდენის დახმარებით.	დგას დამოუკიდებლად.	დახრილ ზედაპირზე ან ლეიბზე დგომისას, წონასწორობას ინარჩუნებს.
გადაადგილება	ბრუნდება მუცლიდან ზურგზე და პირიქით (ნახევარი ბრუნი; სრული ბრუნი; რამდენიმე ბრუნი).		ცოცავს ხელებსა და მუხლებზე (უკან და წინ).	დადის მზრუნველის ან საყრდენის დახმარებით.	დადის დამოუკიდებლად;

ა.ბ) ბავშვი აკონტროლებს და კოორდინირებულად იყენებს სხეულის წვრილ კუნთებს:

ნატიფი მოძრაობები	ნივთებს ცერა თითის გამოუყენებლად იჭერს (რეფლექსური ტაცება).	მის წინ არსებული საგნებისკენ ხელს იწვდენს და ხელს ავლებს.	პატარა ნივთების აღებისას იყენებს პინცეტისებურ მოძრაობებს (საგნებს ცერა და საჩვენებელი თითით იღებს).		იშვერს საჩვენებელ თითს (დანარჩენი თითები მომუშტული აქვს).
ხელების შეთანხმებული მოძრაობები	ცდილობს, სათამაშო, ბოთლი ან ძუძუ ორი ხელით დაიჭიროს.	საგანს ხელს უშვებს შემთხვევით ან როდესაც მზრუნველი ართმევს.	ორივე ხელში დაჭერილ სათამაშოებს ერთმანეთს ურტყამს.	ხელს სტაცებს სათამაშოს და ხელიდან ხელში გადააქვს.	სათამაშო ერთი ხელით უჭირავს შუახაზზე და მეორეთი მანიპულირებს.
კუბებით თამაში	.	ცდილობს კუბის კუბზე დადებას.		აგებს კოშკს 2 კუბით.	
გადაფურცვლა		ფურცლავს სქელფურცლებიან წიგნს (ბევრ ფურცელს ერთად).		მას შემდეგ, რაც მზრუნველი ფურცელს გამოაცალკევებს, ეხმარება მას გადაფურცვლაში.	
ხატვა		უყურებს მზრუნველს როგორ ხატავს.	იწყებს ხატვის იმიტირებას (ჯღაბნას) (ფანქარი და ფურცელი ზოგჯერ ეხება ერთმანეთს, მაგრამ შეიძლება ფურცელზე ნაკვალევი არ დარჩეს).		იჭერს ფანქარს და ცდილობს ხატვის იმიტირებას ფურცელზე ან რომელიმე სხვა ზედაპირზე.
გეომეტრიული ფორმის ფიგურების გადაადგილება		ჭრილებიანი დაფიდან ამოალაგებს წრიულ ფორმებს.	შეუსაბამებს და ათავსებს წრიული ფორმის ფიგურას გეომეტრიული ფორმის ჭრილებიან დაფაზე.	შეუსაბამებს და ათავსებს ოთხკუთხა ფორმის ფიგურას გეომეტრიული ფორმის ჭრილებიან დაფაზე;	

ა.გ) ბავშვი იყენებს შეგრძნების ორგანოებს (მხედველობას, სმენას, შეხებას, გემოვნებას, ყნოსვას) საკუთარი შეგრძნებების სამართავად:

სმენა და მხედველობა	თავს სინათლისა და ხმაურის მიმართულებით აბრუნებს.	უსმენს ხმებს 30 წამის განმავლობაში.	უსმენს ლაპარაკს ისე, რომ სხვა ხმები არ უფანტავს ყურადღებას.		რეაგირებს დაძახებაზე.
		მოძრავ ნივთებს თვალს აყოლებს.	რამდენიმე წამით აჩერებს მზერას ფერად ნივთებზე.		მზერას აჩერებს ახლოს და შორს მდებარე საგნებზე.
შეხება და დაგემოვნება	მოსწონს ფიზიკური შეხება და ტაქტილური სტიმულაცია.	სამყაროს შეისწავლის პირისა და ხელების საშუალებით (პირში იდებს და „სინჯავს“ ყველა საგანს).	საჭმელს იღებს და პირში იდებს თითებით (ეხება და ჭამს მრავალფე-როვანი ტექსტურის საკვებს).	მოსწონს „ჭუჭყიანი“ საქმიანობები (მაგ., წყლით, საკვებით).	რეაგირებს სხვადასხვა შეგრძნებებზე (ტემპერატურასა და საკვების გემოზე).
დაყნოსვა	ცნობს დედის რძის სუნს.	ყნოსავს სხვადასხვა სუნებს (არ აქვს ავერსიული რეაქცია რუტინულ სუნებზე).		უსიამოვნო სუნზე მოძრაობითა და სახის გამომეტყველებით რეაგირებს.	
კინესთეტიკა (მოძრაობა)	მოსწონს ანცი, მოძრავი თამაში.		ბაძავს მოზრდილის მოძრაობებს (მაგ., ცეკვავს).		
წონასწორობის დაცვა	ცდილობს წონასწორობის შენარჩუნებას, როდესაც უჭირავთ ხელში.	ინარჩუნებს წონასწორობას ჯდომისას	ინარჩუნებს წონასწორობას ხელებსა და ფეხებზე (ოთხზე) დგომისას.		ინარჩუნებს წონასწორობას მუხლებზე დგომისას;

ბ) ბავშვის განვითარების სფერო - სოციალურ-ემოციური განვითარება:

ბ.ა) ბავშვი ამჟღავნებს ცოდნას და რწმენას საკუთარი თავისა და შესაძლებლობების მიმართ:

მიჯაჭვულობა	უღიმის მზრუნველს.	როდესაც მზრუნველი ეძახის, თავს მისკენ აბრუნებს.	გარემოს ძირითადი მზრუნველის დახმარებით შეიცნობს, თუმცა ასევე ბედავს მის გარეშე მოქმედებასაც.	თავს უსაფრთხოდ გრძნობს ახლობელ უფროსებთან (მაგ., ეძებს მათ, როდესაც ეშინია ან დაწყნარება სურს).	როდესაც თავს ართმევს ახალ ამოცანას (მაგ., დამოუკი-დებლად დგას ან დადის), მზრუნველს უყურებს.	ძირითადი მზრუნველის გარდა გამორჩეულ ურთიერთობას ამყარებს კიდევ ერთ უფროსთან, რომელიც რეგულარულად და ჰარმონიულად ურთიერთობს მასთან.
	ძირითადად ტირის, როდესაც მზრუნველი გადის ოთახიდან.	ამჟღავნებს მიჯაჭვულობას, ამჯობინებს იყოს ძირითად მზრუნველთან, ვიდრე სხვებთან.		წყენას და უკმაყოფილებას მარტო დარჩენისას, ტირილით გამოხატავს და ეძახის მზრუნველს.	აღიზიანებს ძირითად მზრუნველთან განშორება (მაგ., როცა დედა მიდის სამსახურში).	
თვით იდენტობა	შეისწავლის საკუთარ სხეულს (მაგ., აკვირდება საკუთარ ხელებს, სწვდება ფეხის თითებს).	აჩვენებს და ხმით მიანიშნებს სარკეში დანახულ გამოსახულებაზე.	საკუთარი სახელის გაგონებაზე სხეულის მოძრაობით, სახის გამომეტყველებით ან ხმით რეაგირებს.	როდესაც ეკითხებიან, მიუთითებს საკუთარი სხეულის ნაწილებზე (მაგ., სად გაქვს ცხვირი? მაჩვენე შენი ყური).	ცნობს და ეძახის საკუთარ თავს სარკეში.	
ინიციატივის გამოხატვა	ტირის ემოციის გამოსახატავად და მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.	მიუთითებს ან მიიწევს სურვილის გამოსახატავად არჩეული საგნისაკენ ან ადამიანებისაკენ.		მიზნის მისაღწევად დაჟინებით გამოსცემს ერთსა და იმავე ხმას და ერთი და იმავე მოძრაობით იწევს რაღაცისკენ.		მცირე ხნით (10-15 წუთით) ირთობს საკუთარ თავს.
კომპეტენ-ტურობა	ერთსა და იმავე ხმას გამოსცემს ან იმეორებს ჟესტს, რომელიც ყურადღებას იქცევს (მაგ., განმეორებით არხევს სათამაშოს, როცა აღმოაჩენს, რომ ის ხმას გამოსცემს).	საწადელის მიღწევას სიხარულით გამოხატავს.	ეცვლება გამომეტყველება ამა თუ იმ მოქმედების შესრულებისას, როცა რაიმე ამოცანის გადაჭრას ცდილობს.		ახალი აქტივობის განხორციელებისას მზრუნველს შეჰყურებს და იღიმება წარმატების შემთხვევაში;	

ბ.ბ) ბავშვი ამჟღავნებს საკუთარ ემოციებს:

ემოციების გაგება	ბაძავს სხვა ბავშვებს (ტირის, როდესაც სხვა ბავშვები ტირიან).	იღებს ისეთივე გამომეტყველებას და გამოხატავს ისეთსავე ემოციას, როგორსაც მზრუნველის სახეზე ამოიკითხავს.	აღიქვამს სხვის მიერ გამოხატულ სხვადასხვა ემოციას (მაგ., სიხარულს, შიშს, მოწყენილობას).	
ემოციების გამოხატვა	იღიმება, როდესაც ხედავს ნაცნობ სახეს.	როდესაც დახმარება, დამშვიდება ან ყურადღება სჭირდება, მზრუნველს ამაზე ტირილით, ხმით ან სხეულის მოძრაობით მიანიშნებს.	თამაშისას გამოხატავს ემოციებს (მაგ., იღიმება ან იცინის, კეთილგანწყობას პასუხობს ღიმილით, სიცილით, ხელის ქნევით. იღუშება, როდესაც რაღაც აწუხებს ან არ შეუძლია თავი გაართვას ამოცანას).	გამოხატავს ემოციებს, განცდებს ნაცნობი ადამიანების, ცხოველების ან საგნების მიმართ (ეხუტება და კოცნის მშობლებს).
ემოციების და ქცევის მართვა	ადვილად წყნარდება, როდესაც ანუგეშებს მზრუნველი ან თავს ირთობს სატყუარათი, თითებით, ეღუღუნება საკუთარ თავს, ეხუტება და ეფერება რბილ სათამაშოს, საბნის კუთხეს.	დასამშვიდებლად მიმართავს მზრუნველს, ეძებს გზებს ყურადღების მისაპყრობად და წყვეტს ტირილს როგორც კი მისი მოთხოვნა დაკმაყოფილდება.	ბევრს ხმაურობს, ხმამაღლა იცინის, სიამოვნებს თავისი ხმის გაგონება.	ავლენს უსაფრთხოების შეგრძნებას ახლობელ მზრუნველებთან, ეძებს მათ, როდესაც ეშინია ან დაწყნარება სურს.
იმპულსების და ქცევის მართვა	მზრუნველის დახმარებით უყალიბდება სიფხიზლის და კვების თანმიმდევრული ციკლი გამოხატავს უკმაყოფილებას ძილის დარღვევის შემთხვევაში).	ჩართულია რამდენიმე რეგულარულ აქტივობაში (მაგ., უმღერის ან ედუდუნება საკუთარ თავს ძილის წინ).	ელოდება და წინასწარ ემზადება სასურველი ქმედებისათვის ეზოში გასვლის დროს ხელებს იწვდის მზრუნველისაკენ, რომ ხელში აიყვანოს.	ემორჩილება მზრუნველის მარტივ მითითებას (წაიღე, მოიტანე, მომეცი, დადე);

ბ.გ) ბავშვი ავლენს პროსოციალურ ქცევას:

სოციალური მოლოდინები და ნორმები	იმის გასარკვევად, რომელი ქცევაა მისაღები და რომელი – მიუღებელი, მზრუნველს აკვირდება.	მზრუნველის ამა თუ იმ მოქმედებიდან გამომდინარე, ხვდება, რის გაკეთებას ელიან მისგან და როგორ უნდა მოიქცეს.	იცის, რომ შეუძლია ითამაშოს ნებადართული ნივთებით, მაგრამ თუ აკრძალული ნივთის აღებას ცდილობს ამ დროს უყურებს მზრუნველს, აკვირდება მის რეაქციას.	იწყებს იმის გააზრებას, რომ ზოგიერთი ნივთი მას ეკუთვნის, ზოგიერთი – სხვას (მაგ., სათამაშოზე შეუძლია თქვას „ჩემია“, შეუძლია შეასრულოს მითითება: „მოიტანე ბებოს სათვალე!“).
ურთიერთობა	იმის მიხედვით, რა აწუხებს, სხვადასხვა ხმით ტირის.	სხვებს აგებინებს თავის მოთხოვნებს.	ბაძავს ნაცნობი უფროსების მიმიკასა და ჟესტებს (მაგ., ხელს იქნევს დამშვიდობების ნიშნად, გზავნის ჰაეროვან კოცნას).	მზრუნველების მიმართ სიყვარულს გამოხატავს სახის გამომეტყველებით, სხეულის მოძრაობით, ცდილობს ურთიერთობების დამყარებას.	ამოწმებს მზრუნველის რეაქციას საკუთარ ქცევაზე (მაგ., ტირის იმიტომ, რომ მზრუნველმა უპასუხოს).	იმეორებს ან ბაძავს მოქმედებებს, როდესაც იცის, რომ სხვები უყურებენ.
სოციალური თამაში	უნებურად ეღიმება სხვა ბავშვის დანახვაზე.	ამჟღავნებს, რომ სიამოვნებს სხვა ბავშვებთან ურთიერთობა (მაგ., ხელის გაწვდენით, სხეულის	აკვირდება და ბაძავს სხვა ბავშვების მოქმედებას, ცდილობს სხვა ბავშვების მსგავსად მოქცევას.	სხვა ბავშვისთვის სათამაშოს გამორთმევას ცდილობს.	სხვა ბავშვების მიმართ ამჟღავნებს ინტერესს, ცდილობს მიუახლოვდეს და შეეხოს მათ.	უხარია სხვა ბავშვების გარემოცვაში ყოფნა.
კონფლიქტის მოგვარება	იპყრობს მზრუნველის ყურადღებას და აგებინებს, რა სჭირდება.		გამოკვეთს, რას ანიჭებს უპირატესობას და რა აქვს განზრახული, შეკითხვებზე „კი-არა“ პასუხების მეშვეობით.		თავისი მოთხოვნის საპასუხოდ ცდილობს მზრუნველის დახმარების მიღებას;	

გ) ბავშვის განვითარების სფერო – კომუნიკაციური უნარების, ენისა და მეტყველების განვითარება:

გ.ა) ბავშვი ავლენს მოსმენის უნარს და გებულობს მოსმენილის მნიშვნელობას (რეცეპტული ენა):

სიტყვების მნიშვნელობა	უყურებს მოსაუბრის თვალებსა და პირს.	საკუთარი სახელის გაგონებაზე იხედება და/ან ხმას გამოსცემს.	ხშირად მოსმენილ სიტყვაზე მზერის ფიქსაციით რეაგირებს (მაგ., როცა ესმის სიტყვა „დედა“, უყურებს დედას).	როდესაც აკრძალვის მიზნით „არას“ ეუბნებიან, ჩერდება.	ადეკვატურად რეაგირებს ნაცნობ სიტყვებზე (მაგ., თითს იშვერს, იღებს, უყურებს ან აწვდის).
ინსტრუქციები	მოსაუბრის მარტივ სიტყვიერ მოთხოვნას მოქმედებით პასუხობს (მაგ., უკრავს ტაშს, უქნევს ხელს, აწვდის სათამაშოს).			ასრულებს ერთსაფეხურიან სიტყვიერ ინსტრუქციას (მაგ., „აიღე თოჯინა!“). სიტყვიერ ინსტურქციას არ ახლავს არავერბალური მანიშნებლები, მაგ., ხელის გაშვერა მითითებული ობიექტისაკენ;	

გ.ბ) საკუთარი აზრების გამოსახატავად ბავშვი იყენებს ჟესტიკულაციასა და სიტყვებს, საუბრობს (ექსპრესიული ენა და მეტყველება):

არავერბალური	ადამიანების, ობიექტების მიმართ ინტერესს გამოხატავს მინიმუმ 1 წუთის განმავლობაში.	თავის სურვილს ჟესტებით გვატყობინებს (მაგ.,ხელების მაღლა აწევით მიგვანიშნებს, რომ ხელში აყვანა უნდა).	პასუხობს ხელის დაქნევაზე.	ურთიერთობისას იყენებს ჟესტებს, სახის გამომეტყველებას, ბგერებს.	ესმის თითით მინიშნება და თვითონაც იყენებს კომუნიკა-ციისათვის.	მიუთითებს დისტანციაზე მყოფ ობიექტზე ეზოში - ყურადღების მისაქცევად, ინფორმაციის მისაღებად და სხვა.
ვერბალური	ღუღუნებს.	გამოსცემს ბგერებს ურთიერთობისათვის (მაგ., ტირის სხვადასხვა ხმით).	ტიტინებს, იწყებს მარცვლების წარმოთქმას („და-და“, „ბა-ბა“ და სხვა).	სიტყვის მნიშვნელობის გამოსახატავად იყენებს ბგერათმიმდევრობას (მაგ.: ნტა – წყლისა და წყურვილის აღსანიშნავად).	წარმოთქვამს პირველ სიტყვებს; .	

გ.გ) ბავშვი ენას სხვადასხვა მიზნისათვის იყენებს (პრაგმატული განვითარება):

ინტერაქცია	იმის მიხედვით, რა აწუხებს, სხვადასხვა-გვარად ტირის.	ღუღუნებს და ყურადღების მისაქცევად სხვადასხვა ბგერას გამოსცემს.	ღუღუნებს და მზრუნველის ლაპარაკის საპასუხოდ ბგერებს წარმოთქვამს.	იმეორებს სხვის მიერ წარმოთქმულ ბგერებს.	მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა იყენებდეს ჟღერადობით შეცვლილ სიტყვებს, აგებინებს მზრუნველს რა უნდა (მაგ., ნტაი ინდა)..	ურთიერთო-ბისათვის იყენებს სიტყვებს, სხვადასხვა აზრის გამოსახატავად ცვლის ინტონაციას;

გ.დ) ბავშვი ავლენს წერისა და კითხვის საბაზისო უნარებს:

ფონოლოგია	წარმოთქვამს ცალკეულ ბგერებსა და მარცვლებს.	ბგერებსა და მარცვლებს იმგვარად წარმოთქვამს, რომ მიამსგავსოს მზრუნველის მიერ წარმოთქმულს, ბაძავს სხვადასხვა ბგერას.	სიტყვების წარმოთქმის გასამარტივებლად მიმართავს გარკვეულ ხერხს (მაგ., პირველ მარცვალს იმეორებს – „დადეს“ ნაცვლად ამბობს „დადას“; მარცვალს ცვლის და „ლამაზის“ ნაცვლად ამბობს მისთვის უფრო მარტივ ვარიანტს – „ვაზაზი“.).	ნაცნობ ლექსებს ასრულებს ბოლო სიტყვით.
წიგნით დაინტერესება	წიგნი წასაკითხად მიაქვს მზრუნველთან.		ერთმანეთისგან განასხვავებს სურათსა და ნაწერს.	
წერისათვის მზაობა	მოძრავ საგანს თვალს აყოლებს.	ფანქარს მუშტში იჭერს და ჯღაბნას ცდილობს.	აკეთებს უნებლიე მონახაზებს და სხვებს აჩვენებს;	

დ) ბავშვის განვითარების სფერო – შემეცნებითი განვითარება:

დ.ა) ბავშვი ავლენს ცნობისმოყვარეობას სიახლის მიმართ, შეუძლია შეაჩეროს და შეინარჩუნოს ყურადღება მოცემულ ამოცანაზე:

ცნობის-მოყვარეობა	ახალ ხმებზე და ბგერებზე მიყურადებით, თავის მობრუნებით, კიდურების მოძრაობით რეაგირებს.	გარემოს შესასწავლად და ასათვისებლად იყენებს შეგრძნების სხვადასხვა ორგანოებს.	ახალ სახეებზე დაკვირვებით ან ქცევის შეცვლით რეაგირებს.	საგნებს სხვადასხვა მხრიდან შეისწავლის (ათვალიერებს საგნებს).	იჩენს ინტერესს ახალი საქმიანობებისა და სათამაშოს შემადგენელი ნაწილების მიმართ.
ყურადღების კონცენტრაცია	მზრუნველს თვალებში უყურებს.	ყურადღებას ამახვილებს ობიექტებზე, ცდილობს მისწვდეს, დააკვირდეს, ხელი სტაცოს.		აკვირდება სახეს 1-2 წუთის განმავლობაში.	განაგრძობს საქმიანობას დროის გარკვეულ მონაკვეთში (3-5 წუთის განმავლობაში);

დ.ბ) ბავშვი შემოქმედებითად უდგება ყოველდღიურ საქმიანობას და ეძებს პრობლემის გადაჭრის სხვადასხვა გზებს:

შემოქმედებითი მიდგომა	საგნებს პირში იდებს, ანჯღრევს, ეპოტინება და ხელით სინჯავს.	საგნებს აჯახუნებს, ისვრის ან აგდებს.	იმეორებს ნანახ მოქმედებას (მაგ., ცდილობს კუბების ერთმანეთზე დაწყობას, მას შემდეგ, რაც ნახავს, რომ სხვა აწყობს მათ ერთი მეორეზე).	იწყებს საგნების განსხვავებულად და შემოქმედებითად გამოყენებას (მაგ., ცლის სათამაშოების ყუთს, გადმოაბრუნებს და ზედ აშენებს კოშკს).
პრობლემის გადაჭრა	პრობლემის გადასაჭრელად ცდილობს მზრუნველს მოუხმოს.	ცდილობს მიწვდეს გაგორებულ სათამაშოს.	ეძებს სათამაშოს, რომელიც ახლახან მოეფარა თვალს (მაგ., ეძებს თოჯინას, რომელსაც ნაწილობრივ აფარია საბანი).	ზოგიერთ შემთხვევაში არასტანდარტულად იყენებს საგნებს (მაგ., სახლობანას თამაშის დროს ჩანგლის მაგივრად ფანქარს ხმარობს);

დ.გ) ბავშვი ავლენს გამოცდილების ინტერპრეტაციის უნარს, წვდება მიზეზ-შედეგობრიობას, იწყებს კრიტიკულ და სიმბოლოებით აზროვნებას:

სიმბოლური აზროვნება	გამოხატავს ემოციას საგნის მხედველობის არეში მოქცევისას ან თვალსაწიერიდან დაკარგვისას.		ავლენს საგნების მუდმივობის შეგრძნებას (მაგ., ეძებს და პოულობს საგანს, რომელიც დაუმალეს).	სათამაშოს ეთამაშება, როგორც ცოცხალს.
რეალობა და ფანტაზია	ბაძავს ცხოველების ხმას.		იწყებს წარმოსახვით თამაშს (მაგ., აჭმევს თოჯინას, არწევს ხელში და ა.შ.).	
მიზეზ-შედეგობრიობა	ანჯღრევს სათამაშოს და ურტყამს ჟღარუნას, რადგან სიამოვნებს მათ მიერ გამოცემული ხმის გაგონება.		ეძებს ან იყურება დავარდნილი საგნისაკენ.	შედეგის მისაღებად მრავალჯერ იმეორებს ქმედებას.
ინტერპრეტაცია	გაგონება.	ცნობს სათამაშოს ან თამაშს, რომლითაც დაკავებული იყო წინა დღეს და სიხარულს გამოხატავს.	ხვდება, რომ ქცევა დაკავშირებულია რაიმე მოვლენასთან (მაგ., როცა დედა ქურთუკს აცმევს, ხვდება, რომ ეს გარეთ გაყვანაზე მიანიშნებს).	
კვლევა	სხვადასხვა ობიექტებზე, საგნებზე დასაკვირვებლად იყენებს ხუთივე შეგრძნებას.	აკვირდება მოვლენებს და საგნებს, სხვადასხვა გზით შეისწავლის მათ (მაგ., პირში იდებს, ანჯღრევს, ისვრის).	ანჯღრევს სათამაშოს, რომელიც ხმას არ გამოსცემს და ელოდება ხმიანობას	გამოცდილების საფუძველზე იგებს საგნების ფუნქციურ დანიშნულებას;

ე) ბავშვის განვითარების სფერო – დამოუკიდებლობა და ადაპტური ქცევის განვითარება:

ე.ა) ბავშვი ავლენს ინიციატივასა და დამოუკიდებლობას:

ავტონომიურობა	გამოხატავს ინტერესს გარემოს მიმართ.	მზრუნველს შორდება გარემოს დასათვალიერებლად, თუმცა ამოწმებს მის ადგილმდებარეობას.		ცდილობს, რომ თვითონ გააკეთოს და უძალიანდება მზრუნველს (მაგ., უნდა თვითონ ჭამოს, ჩაიცვას).
დამოუკიდებლობა	ცდილობს მისწვდეს და ხელი მოჰკიდოს სხვადასხვა საგანს.	დამოუკიდებლად ითვისებს გარემოს (მაგ., მიცოცავს მისთვის საინტერესო ობიექტისაკენ).	იწყებს ახალი მოქმედებების ათვისებას და საგნების დამოუკიდებლად გამოყენებას (მაგ., ადრე თუ პირში იდებდა სათამაშოს, ახლა ათვალიერებს და თამაშობს).	პრობლემის დამოუკიდებლად გადაჭრისას იყენებს საკუთარ გამოცდილებას (მაგ., თუ ყუთიდან ამოღებისას პატარა სათამაშოს ვერ მიწვდა ხელით, იყენებს ადრე განხორციელებულ სხვა მოქმედებას: ამოატრიალებს ყუთს და გადმოაგდებს სასურველ სათამაშოს).
არჩევანი			უპირატესობას ანიჭებს გარკვეულ გემოებს, საგნებსა და ადამიანებს.	
ინიციატივა	ტრიალდება ნაცნობი ხმებისკენ.	ჯდება და დგება სხვის დაუხმარებლად, საყრდენად იყენებს სხვადასხვა საგანს.		ახალ გარემოში მოხვედრისას ცდილობს გარკვევას, სად იმყოფება – ათვალიერებს გარემოს და შეიცნობს მას;

ე.ბ) ბავშვი ავლენს პირადი ჰიგიენისა და თვითმომსახურების უნარ-ჩვევებს:

<table>
<tr><td rowspan="2">კვება</td><td rowspan="2">ძუძუსკენ ან ბოთლისკენ ხელის გაწვდით მიანიშნებს შიმშილზე.</td><td rowspan="2">როდესაც კვებავენ, ორივე ხელს ბოთლზე აწყობს.</td><td colspan="2">მზრუნველს ჭიქის (ბოთლის) დაჭერაში ეხმარება.</td><td colspan="2">იჭერს და სვამს ჭიქიდან (ცოტათი ღვრის)</td></tr>
<tr><td>ჭამს თითებით დამოუკიდებლად.</td><td>იჭერს კოვზს (იყენებს როგორც სათამაშოს, უჭირავს, ურტყამს, პირში იდებს).</td><td colspan="2">იკვებება კოვზით, მიაქვს პირთან (ცოტათი ღვრის).</td></tr>
<tr><td>ჩაცმა-გახდა</td><td colspan="2">ეხმარება (მაგ., წევს ხელს), როდესაც მზრუნველი აცმევს მაისურს.</td><td colspan="2">იხდის ქუდს.</td><td colspan="2">იხდის წინდებს.</td></tr>
<tr><td>ბუნებრივი მოთხოვნილებების კონტროლის ჩვევა</td><td colspan="3">გამოხატავს, ტირილით და/ან სახის მიმიკის შეცვლით მიანიშნებს, რომ ჩასველებულია და საჭიროებს გამოცვლას.</td><td colspan="3">ავლენს შარდვისა და დეფეკაციის კონტროლის ნიშნებს (მშრალია 1-2 საათის განმავლობაში, დეფეკაცია მოსალოდნელია ხშირად კვების შემდეგ);</td></tr>
</table>

ე.გ) ბავშვი ავლენს, რომ თავს დაცულად გრძნობს, ამჟღავნებს ნდობას და უსაფრთხოების წესების ცოდნას:

<table>
<tr><td>უსაფრთხოების განცდა</td><td>ცნობს ძირითად მზრუნველს.</td><td colspan="2">საგნებს აჯახუნებს, ისვრის ან აგდებს.</td><td>ესმის „არას“ მნიშვნელობა, თუმცა ყოველთვის არ ემორჩილება აკრძალვას.</td></tr>
<tr><td>დაცულობის განცდა</td><td>ნაცნობი ბავშვების ან/და უფროსების საზოგადოებაში ყოფნისას გამოხატავს თანხმობასა და კმაყოფილებას.</td><td>ძირითად მზრუნველთან ერთად თამაშობს.</td><td>უცხო გარემოში ილტვის ძირითადი მზრუნველისაკენ.</td><td>მზრუნველის თანდასწრებითა და დახმარებით მშვიდად თამაშობს სათამაშო მოედანზე უცხო ბავშვების გვერდით;</td></tr>
</table>

ე.დ) ბავშვი ამჟღავნებს მოქნილობას და გარემოსა და ყოველდღიური საქმიანობის ცვლილებას უსადაგებს თავის ქცევას:

<table>
<tr><td>მოქნილობა</td><td>აქტიურად აკვირდება გარემოს.</td><td>ქცევის ცვლილებით მიანიშნებს, რომ ამჩნევს ახალ გარემოს.</td><td>მზრუნველის დახმარებით აღმოაჩენს და შეისწავლის ახალ გარემოებებს.</td><td>თავისუფლად გრძნობს თავს უცხო გარემოში, როდესაც მის გვერდით მზრუნველი იმყოფება, ცდილობს მისი თანდასწრებით შეიცნოს ახალი და უცნობი გარემო.</td></tr>
<tr><td>მედეგობა</td><td>იმეორებს წარუმატებელ მოქმედებებს (მაგ., დგება, ეცემა და ისევ დგება).</td><td colspan="2">ქცევის დასასწავლად იმეორებს რთულ ქმედებებსა და საქმიანობებს.</td><td>თავდაჯერებულობის განცდისთვის იმეორებს ნაცნობ ქმედებებს.</td></tr>
</table>

2. ა)თემატურიმიმართულებები:

ა) თემატური მიმართულება – ხელოვნება:

ა.ა) ბავშვი ინტერესდება ვიზუალური ხელოვნებით და იყენებს მას თვითგამოხატვისთვის:

ესთეტიკა და კრიტიკული დამოკიდებულება	მზერას მიაპყრობს სინათლეს, მკვეთრი ფერის სათამაშოებს, ნივთებს.	აკვირდება კონტრასტული, მკვეთრად განსხვავებული ფერის სათამაშოს, ნივთს.	სხვადასხვა ფაქტურის, მასალის დანახვისას უჩნდება ინტერესი, რომ მოსინჯოს საგნები, რომლებსაც შესაძლოა ჰქონდეთ სხვადასხვანაირი ზედაპირი, ფორმა და მოცულობა.	ინტერესდება სურათებით, ილუსტრაციებით, კონსტრუქციებითა და სხვადასხვა ნაკეთობებით.
შემოქმედებითი თვითგამოხატვა	ინტერესდება სხვადასხვა სამუშაო მასალით, მაგ., სინჯავს, ხელს უჭერს, ფხვნის, ზელს, ამოწმებს, როგორ კვალს ტოვებს.		გამოცდილებისა და კვლევისათვის იყენებს სხვადასხვა მასალას (მაგ., საღებავს, ფანქრებს, პასტელს, სათამაშო ცომს, სამგანზომილებიან მასალებს);	

ა.ბ) ბავშვი ინტერესდება საშემსრულებლო ხელოვნებით და იყენებს მას თვითგამოხატვისთვის:

ესთეტიკა და კრიტიკული დამოკიდებულება	მზერას მიაპყრობს სინათლეს, მკვეთრი ფერის სათამაშოებს, ნივთებს.	აკვირდება კონტრასტული, მკვეთრად განსხვავებული ფერის სათამაშოს, ნივთს.	სხვადასხვა ფაქტურის, მასალის დანახვისას უჩნდება ინტერესი, რომ მოსინჯოს საგნები, რომლებსაც შესაძლოა ჰქონდეთ სხვადასხვანაირი ზედაპირი, ფორმა და მოცულობა.	ინტერესდება სურათებით, ილუსტრაციებით, კონსტრუქციებითა და სხვადასხვა ნაკეთობებით.
შემოქმედებითი თვითგამოხატვა მუსიკა	სხვადასხვა ემოციური მდგომარეობისას განსხვავებული ინტონაციით ღუღუნებს და გამოსცემს ხმებს.	ცდილობს აჰყვეს სიმღერას, მუსიკას, ცეკვას, ხმით, მოძრაობით.	სხვადასხვა საგნით გამოსცემს განსხვავებულ ხმას და აკვირდება ამ პროცესს.	სხვადასხვანაირად მოძრაობს 1) მუსიკის თანხლებით (მაგ., ცეკვით, ტაშის დაკვრით, სხეულის რხევით, რომელიც შეესაბამება რიტმს). და 2) მის გარეშე (მაგ., ცეკვით, ტაშის დაკვრით, სხეულის რხევით, რომელიც არ შეესაბამება რიტმს).
დრამა	იმეორებს ნაცნობ მოქმედებებს (მაგ., ყურთან მიაქვს ტელეფონი).		თამაშის დროს მიზნობრივად იყენებს რეალურ ნივთებს:	

ბ) თემატური მიმართულება – წიგნიერება:

ბ.ა) ბავშვი ინტერესდება და სიამოვნებას იღებს მხატვრული ნაწარმოებებით:

ესთეტიკა და კრიტიკული დამოკიდებულება			ინტერესდება ილუსტრირებული წიგნებით	
წიგნთან ურთიერთობა	უყურებს წიგნებს, როგორც საგნებს.	„იკვლევს“ წიგნებს (მაგ., ხელით ეხება, გემოს უსინჯავს, ცდილობს დახიოს, გადაშალოს მზრუნველის დახმარებით).	ყურადღებას აქცევს წიგნში არსებულ ფერად ილუსტრაციებს.	ინტერესდება წიგნით (მაგ., წიგნს თან დაატარებს, ფურცლავს, გვერდებს ათვალიერებს და ა.შ.);

გ) თემატური მიმართულება – ჯანსაღი ცხოვრების წესი და მეცნიერების ელემენტები:

გ.ა) ბავშვი იწყებს ჯანსაღი ცხოვრების წესის გაცნობას, სწორად კვებას, ჰიგიენას და ფიზიკურ აქტივობას:

ფიზიკური აქტივობა	აქტიურად ამოძრავებს ხელ-ფეხს.	ცდილობს დაეუფლოს ახალ მოძრაობებს (მაგ., გადაბრუნება, წამოჯდომა, საგნის ხელში დაჭერა და სხვა).	ერთვება აქტივობებში, რომელიც მოითხოვს მოძრაობასა და გადაადგილებას (მაგ., ცოცვა, დგომა, სიარული, სათამაშოს ყუთში ჩადება და სხვა).	შინ თუ გარეთ ხალისით ერთვება თამაშებში, რომლებიც მოითხოვს ფიზიკურ აქტივობას.	მონაწილეობს მზრუნველის მიერ მართულ ფიზიკურად აქტიურ საქმიანობაში (მარტივი მოძრაობებით) 3-5 წუთის განმავლობაში.
ჯანსაღი ქცევა	ჩართულია ყოველდღიურ ინდივიდუალურ რუტინაში, აქტივობებს ძირითადად მზრუნველი ახორციელებს (მაგ., კვება, ძილი, ჰიგიენა).	მზრუნველის დახმარებითა და ხელშეწყობით ჩართულია თვითმოვლის რუტინაში (საჭირო ოთახი, ხელის დაბანა).	ერთვება ჯამრთელობის ხელშემწყობ ყოველდღიურ აქტივობებში (მაგ., დასვენება, კბილების გახეხვა).		
სხეული		მიუთითებს სხეულის ერთ ნაწილზე მაინც, მიუხედავად იმისა, შეუძლია თუ არა სხეულის ამ ნაწილის დასახელება (მაგ.: ხელი, ცხვირი);			

გ.ბ) ბავშვი აკვირდება და შეისწავლის ბუნებას:

ბუნება **ცოცხალი** **არაცოცხალი**	ბუნებაში ყოფნის დროს გამოხატავს ემოციას (მაგ., ნიავის დაბერვისას, თოვლის მოსვლისას).	მრავალფეროვანი ბუნებრივი მასალისა და ამინდის დასაკვირვებლად იყენებს სენსორულ შეგრძნებებს.	მრავალფეროვანი ბუნებრივი მასალისა და ამინდის შესასწავლად იყენებს შეგრძნებებსა და მარტივ ხელსაწყოებს (მაგ., საბავშვო ნიჩაბი).
	ინტერესს გამოხატავს ცხოველებისა და ფრინველების მიმართ..	აკვირდება, როგორ უვლიან მცენარეებსა და ცხოველებს.	აკვირდება ცოცხალ არსებებს ბუნებაში (მაგ., აკვირდება, ხელში იყვანს ჭიაყელას).
გარემოზე ზრუნვა		იცის, სად არის ნაგვის ყუთი და სად უნდა ჩაყაროს ნაგავი;	

გ.გ) ბავშვი ინტერესდება და ეცნობა საგნებისა და მოვლენების ფიზიკურ მახასიათებლებს:

ფიზიკური გარემო	სხვადასხვა ზომის, ფორმის, ტექსტურისა და ფერის საგნების აღმოსაჩენად იყენებს შეგრძნებებს.	ამჩნევს ნივთიერებათა გარდაქმნას; (მაგ., ამჩნევს როგორ საქმიანობს მზრუნველი – ამზადებს სათამაშო ცომს წყლისა და ფქვილის შერევით და სხვა.)	მონაწილეობს მზრუნველის მიერ მართულ ნივთიერებათა კვლევის საქმიანობებში (მაგ., თამაშობს ქვიშაში, წყალში და სხვა) და ამ დროს იყენებს მარტივ ხელსაწყოებს (ნიჩაბი, ძაბრი, სხვადასხვა ზომის ჭურჭელი და სხვა).
		საგნებს ადგილს უნაცვლებს.	სხვადასხვა ზომის, მასის და ფორმის საგნებს სხვადასხვანაირად გადააადგილებს (მაგ., განსხვავებული სიჩქარით, სხვადასხვა საშუალებით – ჩანთით, კონტეინერით, ხელით);

გ.დ) ბავშვი ინტერესდება და ეცნობა სივრცეს, დროს, სხვადასხვა კულტურას, ტრადიციებს, სამოქალაქო საკითხებს:

სივრცე	ცნობს მისთვის ჩვეულ ადგილებს (ოთახს, სახლს).	ითხოვს სასეირნოდ გაყვანას („ატა-ატა“).	იცის, სად არის შენახული საყვარელი სათამაშო და საჭმელი.	თამაშისას ცდილობს სივრცითი მიმართებების დაუფლებას (მაგ., თამაშისას ცდილობს ჩაძვრეს და ჩაიმალოს მუყაოს ყუთში, აძვრეს მაგიდაზე ან გაძვრეს გვირაბში).
დრო	ემორჩილება ყოველდღიურ, განმეორებად მოქმედებებს - მზრუნველის დახმარებით იცავს კვებისა და ძილის რეჟიმს.	ხვდება, როდის იწყება და მთავრდება ესა თუ ის მოქმედება (მაგ., ტაშს უკრავს მუსიკის დამთავრებისას).		იცის, რას ნიშნავს რეჟიმი (მაგ., როდესაც მზრუნველი ამბობს: „საღილის შემდეგ ეზოში გავალთ“, მისთვის უკვე ნათელია, რომ ჭამის დამთავრების შემდეგ ეზოში გასასვლელად უნდა მოემზადოს).
ულტურა და ტრადიციები	სიამოვნებს ოჯახის წევრების საზოგადოებაში ყოფნა (იღიმება, თავდაჯერებულად იქცევა).	ამჩნევს ადამიანებს შორის არსებულ მარტივ განმასხვავებელ ნიშნებს (მაგ., ამჟღავნებს ინტერესს ადამიანის მიმართ, რომელიც ატარებს სათვალეს ან სამკაულს, რომელიც განსაკუთრებულად ბრწყინავს).		იცის ოჯახის წევრების სახელები, მათი კუთვნილი ნივთები და ამჩნევს ოჯახის წევრებს შორის არსებულ მარტივ განმასხვავებელ ასაკობრივ ნიშნებს.
მოქალაქეობა		ასრულებს მარტივ მითითებებს და დამკვიდრებულ ყოველდღიურ რუტინას (მაგ., საგარეო ფეხსაცმელს იხდის და იცვამს საშინაოს, როდესაც შედის ჯგუფში; ჭამის წინ ხელებს იბანს).		
		იყენებს სხვადასხვა პროფესიის რეკვიზიტებს (მაგ., ფონენდოსკოპს, ჩაქუჩს, პოლიციელის ქუდს და სხვა.);		

გ.ე) ბავშვი იყენებს მათემატიკურ უნარებს:

საგნების დაჯგუფება ზომის და ფორმის მიხედვით			საგანთა გროვიდან ამოარჩევს ერთ საგანს (მაგ., აწყობს პლასტმასის ფერადი კუბებით პირამიდას).
			შეთავაზებულ ფერად ფანქრებზე მზერას აჩერებს და სპონტანურად ირჩევს ერთ რომელიმე ფერს.
რიცხვები		აჩვენებს თითებით ან ასახელებს თავის ასაკს.	მზრუნველის დახმარებით ცდილობს თვლას თითებით.
გაზომვა		თამაშობს სხვადასხვა ზომისა და ფორმის სათამაშოებით.	ერთმანეთში აწყობს ორ ან სამ სხვადასხვა ზომის სათამაშო კონტეინერს;

გ.ვ) ბავშვი შესაბამისი დანიშნულებით იყენებს ტექნიკას:

ტექნიკის გამოყენება	აკვირდება მანქანებისა და ელექტრონული მოწყობილობის გამოყენებას (მაგ., კომპიუტერის, მობილურის, ფოტოკამერის, პლანშეტის და სხვა).	თამაშისას იყენებს სათამაშო ან ხმარებიდან გამოსულ ტექნიკას (მაგ., სათამაშო ტელეფონს ან კამერას, კომპიუტერის კლავიატურას, ძველ მობილურს და სხვა).	იცის, რას და სად უნდა დააჭიროს თითი სათამაშოს მოსამართად.
ინსტრუმენტები და ხელსაწყოები		აკვირდება და შეისწავლის სათამაშო ან ნამდვილ სამედიცინო ინსტრუმენტებს, სამშენებლო ინსტრუმენტებს და მანქანებს.	

2-დან 3 წლამდე ბავშვის აღზრდისა და განათლების სტანდარტები

2-დან 3 წლამდე ბავშვის განათლების სტანდარტები:

ა) ბავშვის განვითარების (აღზრდა-განათლების) სფეროები:

ა.ა) სფერო	ფიზიკური და სენსორული აღზრდა-განათლება
	სტანდარტის შედეგები
	ა.ა.ა) ბავშვმა უნდა შეძლოს სხეულის მოძრაობის კონტროლი და აქტივობებით განსაზღვრული მოძრაობების შესრულება. **ინდიკატორები:** ბავშვს განვითარებული აქვს მსხვილი მოტორიკა: თამაშობს ბურთით, ადის და ჩადის კიბეზე, დარბის, სატერფულების გამოყენებით ატარებს სამთვლიან ველოსიპედს, ხტუნავს; განმავლობაში.
	ა.ა.ბ) ბავშვმა უნდა შეძლოს საგნებისა და ინსტრუმენტების მიზანმიმართულად გამოყენება. **ინდიკატორები:** ბავშვს განვითარებული აქვს წვრილი მოტორიკა და საჭიროებისამებრ იყენებს საგნებს მაგ., ხატავს ფანქრით, თამაშობს კუბებით;
	ა.ა.გ) ბავშვმა უნდა შეძლოს შეასრულოს კოორდინირებული მოძრაობები გარემოს აღქმისა და შეცნობის მიზნით. **ინდიკატორები** – ბავშვს სიამოვნებს როდესაც წიგნს უკითხავენ ან ათვალიერებს. ბაძავს ცხოველებს ხმითა და მოძრაობით, ნაცნობ ნივთებს შეხებით ცნობს, შეხებით შეისწავლის უცნობ გარემოს;

ა.ბ) სფერო	სოციალურ-ემოციური აღზრდა-განათლება
	ა.ბ.ა) ბავშვმა უნდა შეძლოს საკუთარი დამოკიდებულებების გამოხატვა საკუთარი თავისა და ახლო გარემოცვის მიმართ. **ინდიკატორები:** იყენებს სიტყვებს: „მე“, „ჩემი“, „ვიცი“, „მე თვითონ“. აღიარებს საკუთარ მიღწევებს. გამოხატავს სიხარულს და უზიარებს სხვებს, სახელით მიმართავს ოჯახის წევრებს, აღმზრდელებსა და თანატოლებს, მზრუნველის დახმარებით აკეთებს არჩევანს, თუ რომელი ტანსაცმელი ჩაიცვას, რა ითამაშოს. იწყებს საკუთარ თავზე ზრუნვას;
	ა.ბ.ბ) ბავშვმა უნდა შეძლოს ემოციების გაგება და გამოხატვა. **ინდიკატორები:** ამჟღავნებს ინტერესს თანატოლის ემოციასთან დაკავშირებით, მაგ., ინტერესდება რატომ არის სხვა ბავშვი ნაწყენი. ჩამოთვლის გრძნობებს: სიხარული, წყენა, შიში. შეუძლია იმპულსების მართვა, მაგ., ამბობს არას, როდესაც აკრძალულ ნივთს აწვდიან. ეძებს მზრუნველის მხარდაჭერას, როდესაც ძლიერი ემოციები იპყრობს;
	ა.ბ.გ) ბავშვს უნდა შეეძლოს პროსოციალური ქცევის გამოვლენა; **ინდიკატორები:** შეუძლია მზრუნველთან ურთიერთობა, თანატოლებთან თამაში, მზრუნველის ქცევის მიბაძვა (მაგ., წიგნის კითხვის, მანქანის ტარების იმიტაცია), კონფლიქტის მოგვარება მზრუნველის დახმარებით;

ა.გ) სფერო	კომუნიკაციური უნარების, ენისა და მეტყველების განვითარება
	ა.გ.ა) ბავშვმა უნდა შეძლოს გამოავლინოს მოსმენის უნარი და გაიგოს მოსმენილი ინფორმაციის მნიშვნელობა (რეცეპტული ენა) **ინდიკატორები:** ესმის რამდენიმე ასეული სიტყვის მნიშვნელობა მაგ., ზედსართავი სახელების: ცხელი, ცივი, სუფთა, ჭუჭყიანი, სველი, მშრალი და სხვა. ასრულებს ერთ და ორსაფეხურიან ინსტრუქციებს (მაგ., „მიეცი თოჯინას ბოთლი“, როცა ბოთლი იქვეა, „თუ შეიძლება, აალაგე შენი სათამაშოები და მერე ჩაიცვი ფეხსაცმელი!“);

აა.გ.ბ) ბავშვმა უნდა შეძლოს საკუთარი აზრების გამოსახატავად ჟესტიკულაციისა და სიტყვების გამოყენება, საუბარი (ექსპრესიული ენა და მეტყველება).
ინდიკატორები: არავერბალური კომუნიკაციის დროს, ბავშვს შეუძლია საკუთარი განცდების, არჩევანის, სურვილის გამოხატვა სხეულის ენით. ვერბალური კომუნიკაციის დროს შეუძლია სიტყვების ერთმანეთთან დაკავშირება. საუბრისას შეუძლია 200 სიტყვის გამოყენება. იყენებს უარყოფით სიტყვათაშეთანხმებებს, მაგ., „არ მინდა"; თავად ცდილობს აწარმოოს, მოიგონოს ახალი სიტყვები, იმ მოქმედებებისა და საგნების გამოსახატავად, რომლის მნიშვნელობაც ესმის, მაგრამ მისი აღმნიშვნელი სიტყვა არ იცის;

ა.გ.გ) ბავშვმა უნდა შეძლოს ენის სხვადასხვა მიზნისათვის გამოყენება (პრაგმატული განვითარება).
ინდიკატორები: ბავშვს შეუძლია მარტივ დიალოგში ჩართვა, შეკითხვებზე „რა", „სად" „ვინ" პასუხის უფრო ვრცლად გაცემა, ვიდრე „კი" ან „არა", სხვებისთვის შთაბეჭდილებების გაზიარება,
ბავშვს შეუძლია ორ-სამსიტყვიანი წინადადებებით ამბის თხრობა/გადმოცემა. ბავშვს შეუძლია აღწეროს ის, რაც აღიქვა წარსულში. ამბის მოყოლის დროს ქრონოლოგიის დაუცველად ჩამოთვალოს ის მოვლენები, რაც მისთვის მნიშვნელოვანია;

ა.გ.დ) ბავშვმა უნდა შეძლოს წერისა და კითხვის საბაზისო უნარების გამოვლენა.
ინდიკატორები: ბავშვს შეუძლია ფონოლოგიური საქმიანობის შესრულება – იმეორებს ფრაზებს მისთვის ნაცნობი ლექსებიდან, შეუძლია მოკლე, ერთსტროფიანი ლექსის დაზეპირება. მღერის სიმღერებს, ამბობს ლექსებს, მონაწილეობს თამაშებში, რომლებიც ენის ბგერების ჟღერადობასა და რიტმიკასთან არის დაკავშირებული.
ინტერესდება წიგნით – ხვდება, რომ სურათი და სიტყვები ავსებენ ერთმანეთს. განასხვავებს სხვადასხვა ბეჭდვით გამოცემას (მაგ., გაზეთს, წიგნს). ნაცნობი წიგნის სურათის მიხედვით, წინასწარ ამბობს, ვარაუდობს რა მოხდება. ცნობს ისეთ ნიშნებს, სიმბოლოებს, რომლებიც გარემოში ხვდება (მაგ., სიტყვებს - „ღიაა", „დაკეტილია"). აკეთებს კითხვის იმიტაციას, მაგ., ვითომ კითხულობს.
ავლენს წერისთვის მზაობას ცდილობს კონტურიანი ფიგურების გაფერადებას, იხატავს ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ ხაზებს, მიზანმიმართულად აკეთებს მარტივ მონახაზებს (ვითომ წერს);

ა.დ) სფერო | შემეცნებითი განვითარება

ა.დ.ა) ბავშვს უნდა შეეძლოს გამოავლინოს ცნობისმოყვარეობა სიახლის მიმართ, შეძლოს შეაჩეროს და შეინარჩუნოს ყურადღება მოცემულ ამოცანაზე.
ინდიკატორები: ბავშვის ცნობისმოყვარეობას ამუღავნებს უცხო ადამიანების და საგნების მიმართ, სვამს შეკითხვებს ვინ არის? რა არის? სვამს შეკითხვებს ადამიანების საქმიანობის შესახებ. სვამს მარტივ შეკითხვებს: „რატომ?", „სად?" ახდენს ყურადღების კონვენტრაციას თამაშის დროს, წამოწყებული საქმიანობის დამთავრებასთან დაკავშირებით;

ა.დ.ბ) ბავშვმა უნდა შეძლოს შემოქმედებითად მიუდგეს ყოველდღიურ საქმიანობას და მოძებნოს პრობლემის გადაჭრის სხვადასხვა გზას.
ინდიკატორები: ბავშვი მრავალფუნქციურად იყენებს საგნებს, მაგ., ჯოხს იყენებს როგორც ცხენს ან თოფს". შეუძლია მარტივი პრობლემის მოგვარება, მაგ., სახლობანას თამაშის დროს ჩანგლის მაგივრად, ფანქარს ხმარობს. პრობლემის გადაჭრას ცდილობს სხვადასხვა გზით (ცდის და შეცდომის პრინციპით), წარუმატებლობის შემთხვევაში, ითხოვს დახმარებას;

ა.დ.გ) ბავშვმა უნდა შეძლოს გამოავლინოს მიღებული გამოცდილების ინტერპრეტაციის უნარი, გაიაზროს მოქმედებების მიზეზშედეგობრიობა, შეძლოს კრიტიკული და სიმბოლოებით აზროვნება.
ინდიკატორები: სათამაშოს ეთამაშება, როგორც ცოცხალს; თამაშისას ერთდროულად იყენებს როგორც სათამაშოს, ისე რეალურ ნივთს (მაგ., თოჯინას აჭმევს ნამდვილი კოვზით). სამყაროს შესაცნობად იყენებს „აღმოჩენის" გზას – მაგ., აკვირდება კვების პროცესს. მზრუნველის დახმარებით იყენებს კოვზსა და ჩანგალს. ბოლოს აღმოაჩენს, რომ ორივე ჭამის დროს გამოიყენება, მაგრამ სხვადასხვა დანიშნულებით. ცდისა და შეცდომის მეთოდით პოულობს მისთვის საინტერესო ნივთის გამოყენების გზას;

ა.ე) სფერო	დამოუკიდებლობა და ადაპტური ქცევის განვითარება

ა.ე.ა) ბავშვმა უნდა შეძლოს ინიციატივისა და დამოუკიდებლობის გამოვლენა.
ინდიკატორები - ბავშვი ავლენს ავტონომიურობას, რაც გამოიხატება გარკვეული საქმიანობების დამოუკიდებლად კეთებაში (მაგ., კვება, ჩაცმა, სათამაშოების დალაგება და სხვა). ბავშვი არჩევანს აკეთებს ნივთებს შორის მაგ.,სათამაშოსა და ილუსტრირებულ წიგნს შორის. გამოთქვამს თავის აზრს, რისი გაკეთება სურს;

ა.ე.ბ) ბავშვმა უნდა შეძლოს პირადი ჰიგიენისა და თვითმომსახურების უნარ-ჩვევებს გამოვლენა.
ინდიკატორები: ბავშვი საკვების მიღების დროს სწორად იჭერს კოვზს, ჩანგალს. სხვისი დახმარებით იცვამს ტანსაცმელს, დამოუკიდებლად შედის საპირფარეშოში, ასრულებს მარტივ ჰიგიენურ საქმიანობებს, მაგარამ სჭირდება უფროსის დახმარება;

ა.ე.გ) ბავშვმა უნდა შეძლოს გამოავლინოს, რომ თავს დაცულად გრძნობს, ამუღავნებს მზრუნველის მიმართ ნდობას და უსაფრთხოების წესების ცოდნას.
ინდიკატორები: ითვალისწინებს უსაფრთხოების წესებს (მაგ., ქუჩაზე გადასვლისას ხელს ჰკიდებს მზრუნველს). თავიდან იცილებს რისკებსა და ნაცნობ საფრთხეს (მაგ., არ კიდებს ხელს გახურებულ ზედაპირს, ბასრ საგნებს). მზრუნველის დახმარებით იწყებს რიგითობის დაცვას. იცავს ჯგუფში ქცევის მარტივ წესებს;

ა.ე.დ) ბავშვმა უნდა შეძლოს გარემოსა და ყოველდღიური საქმიანობის ცვლილებას შეუსაბამოს საკუთარი ქცევა.
ინდიკატორები: მარტივად და მშვიდად იცვლის ადგილს მზრუნველთან ერთად (იქნება ეს სახლი, ეკლესია, მანქანა, მაღაზია თუ სათამაშო მოედანი). სვამს შეკითხვებს გარემოს შესახებ. მიზნის მისაღწევად იყენებს მზრუნველის მიერ შემოთავაზებულ ალტერნატიულ გზებს;

ბ) თემატური მიმართულებები:

ბ.ა) სფერო	თემატური მიმართულება – ხელოვნებაა

ბ.ა.ა) ბავშვმა უნდა გამოხატოს ინტერესი ვიზუალური ხელოვნების მიმართ და გამოიყენოს თვითგამოხატვისთვის.
ინდიკატორები: ბავშვი გამოხატავს ესთეტიკურ და კრიტიკულ დამოკიდებულებას ხელოვნების ნამუშევრებთან დაკავშირებით. ინტერესდება სურათებით, ილუსტრაციებით, კონსტრუქტორებით. ინტერესით ათვალიერებს ვიზუალური ხელოვნების სხვადასხვა ნიმუშს. ხატავს მარტივი მონასმებით; პლასტელინით ან თიხით იწყებს მარტივი ფორმების გამოძერწვას;

ბ.ა.ბ) ბავშვმა უნდა გამოხატოს ინტერესი საშემსრულებლო ხელოვნების მიმართ და გამოიყენოს იგი თვითგამოხატვისთვის.
ინდიკატორები: ბავშვი გამოხატავს ასაკის შესაბამის ესთეტიკურ და კრიტიკულ დამოკიდებულებას საშემსრულებლო ხელოვნების მიმართ. სიამოვნებით ადევნებს თვალს სხვების მიერ შესრულებულ ცეკვას, დრამატულ წარმოდგენას, ისმენს სიმღერას; იმეორებს სხვების მოქმედებებს. აკვირდება ნაწარმოების შესრულების პროცესს. სხვადასხვაგვარად მოძრაობს: 1) მუსიკის თანხლებით (მაგ., ცეკვით, ტაშის დაკვრით, სხეულის რხევით, რომელიც შეესაბამება რიტმს). და 2) მის გარეშე (მაგ., ცეკვით, ტაშის დაკვრით, სხეულის რხევით, რომელიც არ შეესაბამება რიტმს). მღერის: 1) უნისონში სხვასთან ერთად; 2) ინსტრუმენტის თანხლებით; 3) დამოუკიდებლად საცნობი ფორმით (ღიღინით, წამღერებით და ა.შ.). იმეორებს მელოდიას და ცეკვის ილეთებს;

ბ.ბ) სფერო	თემატური მიმართულება – წიგნიერება

ბ.ბ.ა) ბავშვმა უნდა შეძლოს დაწყებითი წიგნიერების ქცევების გამოვლენა.
ინდიკატორები: ბავშვი ინტერესდება ილუსტრირებული წიგნით. წიგნებს სიამოვნებითა და ინტერესით ათვალიერებს. როდესაც უკითხავენ გამოხატავს ემოციას - მოსწონს ან არ მოსწონს, საკუთარი დამოკიდებულება ექმნება წაკითხულ ამბავზე, პერსონაჟზე. სვამს შეკითხვებს მზრუნველის მიერ წაკითხულ წიგნზე. შეუძლია წიგნთან ურთიერთობა, იცის როგორ დაიჭიროს წიგნი, როგორ გადაშალოს. აკეთებს წიგნის კითხვის იმიტაციას - ვითომ კითხულობს, უკითხავს თოჯინას. აკეთებს წერის იმიტაციას – ვითომ წერს, ავლებს ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ ხაზებს;

ბ.გ) სფერო	თემატური მიმართულება – ჯანსაღი ცხოვრების წესი და მეცნიერების ელემენტები

ბ.გ.ა) ბავშვმა უნდა შეძლოს ფიზიკურ აქტივობებში მონაწილეობის მიღება, პირადი ჰიგიენის დაცვა, გაეცნოს სწორად კვების მნიშვნელობას, ჯანსაღი ცხოვრების წესის რაობასა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ უსაფრთხოების წესებს.

ინდიკატორები: ბავშვი მონაწილეობს მზრუნველის მიერ მართულ ფიზიკურად აქტიურ საქმიანობაში (მარტივი მოძრაობებით) 5-10 წუთის განმავლობაში. ასრულებს მარტივ სუნთქვით ვარჯიშებს. თავისუფლად დარბის სახლში და ეზოში. ბავშვი ასახელებს სხეულის ნაწილებს, რომლებითაც ასრულებს ვარჯიშს. მზრუნველთან საუბრობს ფიზიკური აქტიურობის მნიშვნელობაზე.
ბავშვი მზრუნველის დახმარებით იცავს პირად ჰიგიენას – იბანს ხელებს, ბანაობს, იწმენდს კბილებს, ივარცხნის თმებს, იცვამს ტანსაცმელს, ზრუნავს ტანსაცმლისა და პირადი ნივთების სისუფთავეზე. სარგებლობს საპირფარეშოთი. ჩამოთვლის პირადი ჰიგიენის ნივთებს: საპონი, კბილის პასტა, პირსახოცი, სავარცხელი და სხვა.
ბავშვი მზრუნველის დახმარებით ეცნობა კვებასთან დაკავშირებულ საკითხებს – რა უნდა ჭამოს (ხილი, ბოსტნეული, წყალი და სხვა) და როგორ უნდა მოიქცეს ჯანმრთელი რომ იყოს.
ბავშვის მზრუნველის დახმარებით ეცნობა ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ უსაფრთხოების წესებს;

ბ.გ.ბ) ბავშვმა უნდა შეძლოს ბუნებაზე დაკვირვებით აღმოჩენების გაკეთება.

ინდიკატორები: ბავშვი მრავალფეროვან ბუნებრივ მასალას აღმოაჩენს შეხებით. ამინდის მოვლენების გასააზრებლად იყენებს შეგრძნებებს - მზეზე ცხელა, წვიმა ასველებს და სხვა თამაშობს ბუნებრივი მასალით. იცის ბუნების ელემენტებისა და მათი მახასიათებლების გამომხატველი სიტყვები – წყალი, ქვა, ქვიშა, მზე, თოვლი, წვიმა, ღრუბელი, ცივი, ცხელი, თბილი, სველი, მშრალი და ა.შ. აკვირდება ცოცხალ არსებებს. მონაწილეობს ცხოველის ან/და მცენარის მოვლაში. მზრუნველის დახმარებით სწავლობს გარემოზე ზრუნვას. მზრუნველის დახმარებით ეცნობა ცოცხალ და არაცოცხალ ბუნებასთან დაკავშირებულ საფრთხეებსა და მათთან დაკავშირებულ უსაფრთხოების წესებს;

ბ.გ.გ) ბავშვი ინტერესდება საგნებისა და მოვლენების ფიზიკური მახასიათებლებით.

ინდიკატორები: ბავშვი თამაშობს სხვადასხვა ბუნებრივი ნივთიერებით: ქვიშით, კენჭებით, ქვებით, წყლით. თამაშის დროს იყენებს მარტივ ხელსაწყოებს: ნიჩაბს, ძაბრს, სხვადსხვა ზომის ჭურჭელს და სხვა თამაშისას საკუთარი შეგრძნებებით აღმოაჩენს ნივთიერებებისა და საგნების ფიზიკურ მახასიათებლებს მაგ., ქვიშა მსუბუქია, ქვა მძიმეა და სხვა;

ბ.გ.დ) ბავშვმა უნდა შეძლოს მის გარშემო არსებული სივრცისა და საკუთარ ცხოვრებასთან დაკავშირებული დროის აღმნიშვნელი სიტყვების გამოყენება.

ინდიკატორები: ბავშვი თამაშის დროს ცდილობს სხვადასხვა სივრცის გამოყენებას (მაგ., თამაშის დროს ცდილობს ჩაძვრეს და ჩაიმალოს მუყაოს ყუთში, აძვრეს სკამზე ან გაძვრეს მაგიდის ქვეშ, ვითომ გვირაბში ძვრება). გამოხატავს ინტერესს ისეთი საგნების მიმართ, როგორიცაა კუბი, ბირთვი (როგორც ე.წ. საშენი მასალა). სწავლობს და ხვდება ისეთ სივრცით მიმართებებს, როგორიცაა „ახლოს“ და „შორს“. „ზემოთ“ და „ქვემოთ“. „შიგნით“ და „გარეთ“.
ბავშვს შეუძლია მის ცხოვრებასთან დაკავშირებული დროის აღმნიშვნელო ისეთი სიტყვების გამოყენება, როგორიცაა „დღეს“, „გუშინ“, „დილით“, „ღამე“, „ჯერ“, „მერე“ და სხვა. იცის რას ნიშნავს რეჟიმი და მასთან დაკავშირებული დროსთან მიმართებები: მაგ., სადილის შემდეგ ეზოში გავალთ. ბავშვისთვის ნათელია, რომ ჭამის დამთავრების შემდეგ ეზოში გასასვლელად უნდა მოემზადოს;

ბ.გ.ე) ბავშვს უნდა განუვითარდეს თავდაჯერებულობა და პასუხისმგებლობა, გაუჩნდეს სურვილი დაამყაროს კარგი ურთიერთობები თანატოლებთან, ოჯახის წევრებთან, მასზე მზრუნველ ადამიანებთან.

ინდიკატორები: ბავშვი ამოიცნობს რა მოსწონს და რა არ მოსწონს. ბავშვი ამოიცნობს და ჩამოთვლის გრძნობებს, როდის არის გახარებული, მოწყენილი, შეშინებული, გაბრაზებული.
ბავშვმა იცის ოჯახის წევრების სახელები, ცნობს მათ კუთვნილ ნივთებს. მონაწილეობს ოჯახურ დღესასწაულებში, მარტივ ოჯახურ საქმიანობებში.

ბ.გ.ვ) ბავშვმა უნდა შეძლოს მოქალაქეობასთან დაკავშირებული საკითხების გამოყენება.

ინდიკატორები: ბავშვი ასრულებს მარტივ მითითებებს და დამკვიდრებულ ყოველდღიურ რუტინას (მაგ., საგარეო ფეხსაცმელს იხდის და იცვამს საშინაოს, ჭამის წინ ხელს იბანს, მზრუნველის გარეშე არ გადადის ქუჩაზე). უსმენს უფროსს, მზრუნველის დახმარებით შეიმუშავებს მარტივ წესებს და იცავს მათ. იცის, რომ თავად უნდა მიიღოს მონაწილეობა გარკვეულ საქმიანობებში. იცის რომ საყიდლებისთვის და სხვა მომსახურებისთვის საჭიროა ფული. გამომუშავებული აქვს შრომის მარტივი ჩვევები. იცის, რომ პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდოს დაკისრებულ საქმეებს მაგ.,თავის ადგილზე შეინახოს სათამაშო, წყალი დაუსხას მცენარეს და სხვა.
იცის საზოგადოებში ქცევის მარტივი წესები: მისალმება, გამომშვიდობება, მადლობის გადახდა, ბოდიშის მოხდა. მოსმენა, იცის რომ ხმამაღალი საუბარი მიუღებელია, მაგიდასთან ქცევის მარტივი წესები;

ზ.გ.ზ) ბავშვმა უნდა შეძლოს მარტივი მათემატიკური უნარების გამოყენება.
ინდიკატორები: ბავშვს შეუძლია საგნების ელემენტარული ნიშნით დაჯგუფება, გროვიდან საგნის ამორჩევა, საგნების ერთი ნიშნით დახარისხება. ფიგურების ფორმის მიხედვით დალაგება, განასხვავებს ცნებებს ერთი, ბევრი, იყენებს სიტყვას – ბევრი. ესმის ცნებები – ყველა, არცერთი;

ზ.გ.თ) ბავშვმა უნდა შეძლოს ტექნიკის შესაბამისი დანიშნულებით გამოყენება.
ინდიკატორები: ბავშვს შეუძლია მარტივი ტექნიკის გამოყენება. ასახელებს ან მიუთითებს ტექნიკაზე (მაგ., ტელეფონი, ტელევიზორი, მობილური და სხვა). მიზნობრივად იყენებს მარტივ ინსტრუმენტებს.

2. 2-3 წლის ბავშვის აღზრდის სტანდარტები:

1. ბავშვის განვითარების სფეროები:

ა) ბავშვის განვითარების სფერო ფიზიკური და სენსორული განვითარება;

ა.ა.ა) ბავშვი აკონტროლებს სხეულის მოძრაობას, მოძრაობს მიზანმიმართულად, კოორდინირებულად და ინარჩუნებს წონასწორობას:

დგომა	დახრილ ზედაპირზე ან ლეიბზე დგომისას, წონასწორობას ინარჩუნებს.	იცუცქება და დგება.		დგება ფეხის წვერებზე.	ბურთს ფეხს ურტყამს.	
სიარული	დადის მზრუნველის ან საყრდენის დახმარებით.	დადის დამოუკიდებ-ლად.	დადის უკუსვლით.	თამაშის მიზნით დადის ფეხის წვერებზე.	თავს არიდებს დაბრკოლებებს (მაგ.,გვერდს უვლის ან გადააბიჯებს).	
სირბილი	დარბის სწრაფი ნაბიჯით (ყოველთვის უდგას ერთი ფეხი ძირს).	საკმაოდ კარგად დარბის.	დარბის და დაუხმარებლად ჩერდება, თავს არიდებს დაბრკოლებებს.	დარბის ფეხის წვერებზე.	სირბილისას კუთხეებში მკვეთრად უხვევს.	
კიბეზე ასვლა-ჩასვლა	დახმარებით იწყებს კიბეზე ასვლას.	დახმარებით, ფეხის მოუნაცვლე-ბლად იწყებს კიბეზე ჩამოსვლას.	ფეხის მოუნაცვლე-ბლად დამოუკი-დებლად ადის კიბეზე.	ფეხის მოუნაცვლებ-ლად დამოუკი-დებლად ჩამოდის კიბეზე.	კიბეზე ადის ფეხის მონაცვლე-ობით მზრუნველის ან კიბის მოაჯირის დახმარებით.	კიბეზე ჩამოდის ფეხის მონაცვლე-ობით მზრუნველის ან კიბის მოაჯირის დახმარებით.
ველოსიპედი	ველოსიპედით გადაადგილდება სატერფულების გარეშე.		სამთვლიან ველოსიპედს მოკლე მანძილზე ატარებს სატერფულების გამოყენებით და ზოგჯერ ფეხის კვრით.		სამთვლიან ველოსიპედს ატარებს სატერფულების გამოყენებით.	
ხტომა	ადგილზე ხტის.		ხტება მოკლე მანძილზე.		ახტება დაბალ დაბრკოლებას.	
ძრომა	ძვრება ტახტზე.		დამოუკიდებლად ძვრება სასრიალოს კიბეზე და ჩამოსრიალდება		სავარჯიშო კიბეზე მიძვრება და ხტება ქვედა საფეხურიდან	
სროლა და დაჭერა	ბურთს აგორებს.	ბურთს თავს ზემოთ აგდებს და ინარჩუნებს წონასწორობას.		ბურთს 1-1,5 მეტრის დაშორებით მდგარ ყუთში აგდებს.	გაჩერებულ მდგომარეობაში მყოფი მკერდზე მიკრობით 2 ხელით იჭერს დიდი ზომის ბურთს;	

ა.ა.ბ) ბავშვი აკონტროლებს და კოორდინირებულად იყენებს სხეულის წვრილ კუნთებს:

საგნებით მანიპულირება	ნატიფი მოძრაობები	იშვერს საჩვენებელ თითს (დანარჩენი თითები მომუშტული აქვს).			იჭერს ფანქარს შუა თითზე დაყრდნობით, ცერა და საჩვენებელ თითებს შორის.		
	ხელების შეთანხმებული მოძრაობები	სათამაშო ერთი ხელით უჭირავს და მეორეთი მანიპულირებს.		საგნებს დიდ ყუთში აწყობს.	პატარა ნივთებს მცირე ზომის კონტეინერში (მაგ., ბოთლში) ყრის.	ხსნის პატარა შეფუთულ ნივთს.	
	კუბით თამაში	აგებს კოშკს 2 კუბით	3 კუბით აწყობს მატარებელს.	აგებს კოშკს 4 კუბით.	აგებს კოშკს 6 კუბით.	აგებს კოშკს დაახლოებით 8 კუბით.	3 კუბით აშენებს ხიდს (ნიმუშის მიხედვით).
	გადაფურცვლა და მაკრატლის ხმარება	მას შემდეგ, რაც მზრუნველი ფურცელს გამოაცალკევებს, ეხმარება მას გადაფურცვლაში.		გადაფურცლავს თითო-თითო ფურცელს.	ჩაჭრის მაკრატლის გამოყენებით (ერთით და არა განგრძობითი მოძრაობებით).	ჭრის სწორ ხაზზე, ჩაჭრის განცალკევებული მოძრაობებით.	
თვალის და ხელის	ხატვა	იჭერს ფანქარს და ცდილობს დაჯღაბნოს ფურცელზე ან რომელიმე სხვა ზედაპირზე.		იჭერს ფანქარს და ცდილობს გადახატოს ვერტიკალური ხაზები.	იჭერს ფანქარს და ცდილობს გადახატოს ჰორიზონტალური ხაზები და წრე.	ხატავს პირველ განზრახულ მონახაზს ან სპონტანურ ფორმებს (თითქოს ნახატს ხატავდეს ან წერდეს).	
	გეომეტრიული ფორმის ფიგურების გადაადგილება	შეუსაბამებს და ათავსებს მომრგვალებული ფორმის ფიგურას გეომეტრიული ფორმის ჭრილებიან დაფაზე.		შეუსაბამებს და ათავსებს კუთხოვანი ფორმის ფიგურას გეომეტრიული ფორმის ჭრილებიან დაფაზე.		შეუსაბამებს და ათავსებს სამკუთხედის ფორმის ფიგურას გეომეტრიული ფორმის ჭრილებიან დაფაზე.	
	მძივები	მყარ ძაფზე მსხვილი მძივის აცმას ცდილობს, მაგრამ ძაფი ვერ გამოაქვს ბოლომდე.			ძაფზე სამ მსხვილ მძივს ასხამს.	ძაფზე ასხამს საშუალო ზომის მძივებს;	

ა.ა.გ) ბავშვი შეგრძნების ორგანოებს (მხედველობას, სმენას, შეხებას, გემოვნებას, ყნოსვას) საკუთარი შეგრძნებების გამოსახატავად იყენებს:

სმენა და მხედველობა	რეაგირებს დაძახებაზე..	ჰყვება მუსიკას სხეულის მოძრაობებით.	ათვალიერებს ნივთებს და ცნობს ნაცნობ საგნებსა და მახასიათებლებს.	ბაძავს ცხოველებს ხმითა და მოძრაობით.	სიამოვნებს, წიგნს რომ უკითხავენ და დამოუკიდებლად ათვალიერებს.
შეხება და გემო	მოსწონს „ჭუჭყიანი“ საქმიანობები (მაგ., წვენით, საკვებით თამაში).	რეაგირებს სხვადასხვა შეგრძნებებზე (ტემპერატურა და გემო).	ეხება, სინჯავს და შეიცნობს სხვადასხვა ზედაპირისა და მასალის საგანსა და ნივთიერებას.	თამაშობს წყლითა და ქვიშით.	ნაცნობ ნივთებს შეხებით ცნობს.
ყნოსვა	უსიამოვნო სუნზე მოძრაობითა და სახის გამომეტყველებით რეაგირებს.		ყნოსვის შეგრძნებას იყენებს საგნების შესამეცნებლად.		ყნოსვის შეგრძნებას იყენებს საგნების და მასალის იდენტიფიკაციისა და დიფერენცირებისთვის.
კინესთეტიკა	ბაძავს მოზრდილის მოძრაობებს (მაგ., ცეკვავს).	შეისწავლის უცნობ გარემოს (მიდის ჯერ ერთ, მერე მეორე საგანთან).		მოსწონს ჭიდაობა და „უხეში“ თამაშები.	სივრცეში კოორდინირებულად, დაბრკოლებების წინასწარი შემჩნევითა და თავის არიდებით გადაადგილდება (მაგ., შემოუვლის მაგიდას ან რაიმე სხვა საგანს, თუ ეს საგანი მას გზაზე ეღობება);

ბ) ბავშვის განვითარების სფერო – სოციალურ-ემოციური განვითარება:

ა.ბ.ა) ბავშვი ამჟღავნებს ცოდნას და რწმენას საკუთარი თავისა და შესაძლებლობების მიმართ:

მიჯაჭვულობა	თავს უსაფრთხოდ გრძნობს ახლობელ უფროსებთან (მაგ., ეძებს მათ, როდესაც ეშინია ან დაწყნარება სურს).	ძირითადი მზრუნველის გარდა გამორჩეულ ურთიერთობას ამყარებს კიდევ ერთ უფროსთან, რომელიც რეგულარულად და ჰარმონიულად ურთიერთობს მასთან.	დამოუკიდებლად ან თანატოლებთან თამაშის დროს პერიოდულად ამოწმებს მზრუნველის მზადყოფნას დასახმარებლად, რათა თავდაჯერებულად იგრძნოს თავი.	საყვარელი ადამიანების მიმართ მესაკუთრის დამოკიდებულება აქვს (მაგ., სიტყვიერად გამოხატავს „დედიკო ჩემია“).
	აღიზიანებს ძირითად მზრუნველთან განშორება (მაგ., როცა დედა მიდის სამსახურში).		ნაცნობ გარემოში იოლად ეგუება მზრუნველთან განშორებას.	
შეხება და გემო	როდესაც ეკითხებიან, მიუთითებს საკუთარი სხეულის ნაწილებზე (მაგ., სადა გაქვს ცხვირი? მაჩვენე შენი ყური).	სარკეში ცნობს და ეძახის საკუთარ თავს.	როდესაც ეკითხებიან: „რა გქვია?“ ეუბნება საკუთარ სახელს.	იცის საკუთარი, ოჯახის წევრების, აღმზრდელებისა და რამდენიმე თანატოლის სახელი.
ინიციატივა	მცირე ხნით (10-15 წუთით) ირთობს საკუთარ თავს.	ცდის საკუთარ შესაძლებლობებს, ამოწმებს, სად გადის აკრძალვებისა და შესაძლებლობების ზღვარი (მაგ., იმეორებს იმ მოქმედებას, რომლის შესრულების დროს ერთხელ უკვე განიცადა მარცხი).	სათამაშოდ იწვევს მზრუნველს, არის თამაშის ინიციატორი, წამომწყები.	აკეთებს არჩევანს, რა ტანსაცმელი ჩაიცვას, რა ითამაშოს.
კომპეტენტურობა	ახალი აქტივობის განხორციელებისას მზრუნველს შეჰყურებს და იღიმება წარმატების შემთხვევაში.	ისე მოქმედებს, თითქოს შეუძლია ახალ ამოცანასთან ან აქტივობასთან გამკლავება (მაგ., ცდილობს მზრუნველისათვის განკუთვნილი ცოცხით გამოგავოს იატაკი).	იყენებს სიტყვებს: „მე“, „ჩემი“, „ვიცი“, „მე თვითონ“.	აღიარებს საკუთარ მიღწევებს. გამოხატავს სიხარულს და უზიარებს სხვებს (მაგ., მზრუნველს აჩვენებს შესრულებულ ნამუშევარს- „შეხედე, რა გავაკეთე“).	ცდილობს იზრუნოს საკუთარ თავზე;

ა.ბ.ბ) ბავშვი ამჟღავნებს ემოციურ კომპეტენციებს:

ემოციების გაგება	აღიქვამს სხვის მიერ გამოხატულ სხვადასხვა ემოციას (მაგ., სიხარულს, შიშს, მოწყენილობას).	განასხვავებს თავის განცდებს, სიხარულს და სევდას.	სწორად აღიქვამს საკუთარ ემოციებს და იცის, რომ ჩვეულებრივია, როდესაც ზოგჯერ მოწყენილობას გრძნობს, ზოგჯერ - სიხარულს და ზოგჯერ გაბრაზებას.	ამჩნევს და ასახელებს სხვების ემოციებს (მაგ., სიხარულს, შიშს, მოწყენილობას).	ამჟღავნებს ცნობისმოყვარეობას, როდესაც სხვა ბავშვი ნაწყენია.
ემოციების გამოხატვა	გამოხატავს ემოციებს, განცდებს ნაცნობი ადამიანების, ცხოველების ან საგნების მიმართ (ეხუტება და კოცნის მშობლებს).			ასახელებს რამდენიმე გრძნობას, როგორიცაა: სიხარული, წყენა, შიში.	
ემოციების და ქცევის მართვა	ავლენს უსაფრთხოების შეგრძნებას ახლობელ მზრუნველებთან, ეძებს მათ, როდესაც ეშინია ან დაწყნარება სურს.			ეძებს მზრუნველის მხარდაჭერას და ყურადღებას, როდესაც ძლიერი ემოციები იპყრობს.	
იმპულსების და ქცევის მართვა	ემორჩილება მზრუნველის მარტივ მითითებას (მაგ., წაიღე, მოიტანე, მომეცი, დადე).	უმეტეს შემთხვევაში ცვლის ქცევას მზრუნველის მოთხოვნის მიხედვით.		იწყებს იმპულსების კონტროლს (მაგ., ამბობს - „არა“, როდესაც უწვდიან აკრძალულ ნივთებს. ცდილობს თავი შეიკავოს და ფეხი არ დაადგას იატაკზე დაგდებულ წიგნს);	

ა.ბ.გ) ბავშვი ავლენს პროსოციალურ ქცევას:

სოციალური მოლოდინები და ნორმები	იცის, რომ შეუძლია ითამაშოს ნებადარ-თული ნივთებით, მაგრამ თუ აკრძალული ნივთის აღებას ცდილობს ამ დროს უყურებს მზრუნველს, აკვირდება მის რეაქციას.	იწყებს იმის გააზრებას, რომ ზოგიერთი ნივთი მას ეკუთვნის, ზოგიერთი - სხვას (მაგ., სათამაშოზე შეუძლია თქვას „ჩემია“, შეუძლია შეასრულოს მითითება: „მოიტანე სათვალე!“)	ეხმიანება მზრუნველის სიტყვიერ მისალმებას, შეგებებას.	იცავს მარტივ წესებს, შეხსენების შემთხვევაში, ხვდება, რა შედეგი მოჰყვება წესების დარღვევას.	გამოართმევს და მზრუნველის დახმარებით, თვითონაც აძლევს თამაშის დროს თანატოლებს სათამაშოებს. სათამაშოს პატრონს უბრუნებს.	იცის, რომ „ცუდ ქცევას“ მზრუნველისაგან უარყოფითი რეაქცია მოჰყვება.
ურთიერთობა	იმეორებს ან ბაძავს რაღაც მოქმედებებს, როდესაც იცის, რომ სხვები უყურებენ.	იმეორებს მოქმედებას, რათა მიიღოს პასუხი მზრუნველისაგან ან სიტყვიერად მიმართავს მზრუნველს ყურადღების მისაპყრობად.		ჰყავს გამორჩეული თანატოლები, რომლებთანაც უყვარს თამაში.	მზრუნველს ესაუბრება ახლახან დასრულებული საქმიანობის შესახებ.	ბაძავს მზრუნველის ქცევას (მაგ., წიგნს „კითხულობს“ იმ მზრუნველთან ერთად, რომელიც უკითხავს).
სოციალური თამაში	სხვა ბავშვების მიმართ ამჟღავნებს ინტერესს, ცდილობს მიუახლოვდეს და შეეხოს მათ.	უხარია სხვა ბავშვების გარემოცვაში ყოფნა.	ბავშვების გვერდით თამაშობს გარკვეული ხნით და იმეორებს მზრუნველის ქცევას (მაგ., „ატარებს მანქანას“, „აჭმევს თოჯინას“).	ეხალისება სხვა ბავშვის გვერდით თამაში.	ნაცნობ ბავშვებთან თამაშის დროს ბუნებრივად ამჟღავნებს მათ მიმართ კეთილგან-წყობას.	ზოგჯერ განცალკევდება მზრუნველისაგან მეგობართან სათამაშოდ.

კონფლიქტის მოგვარება	გამოკვეთს, რას ანიჭებს უპირატესობას და რა აქვს განზრახული, შეკითხვებზე „კი-არა“ პასუხების მეშვეობით.	თავისი მოთხოვნის საპასუხოდ ცდილობს მზრუნველის დახმარების მიღებას.	მზრუნველის დახმარებას პოზიტიურად და კეთილგან-წყობით პასუხობს.	განაცხადებს უფლებას საკუთრებაზე (მაგ., ამბობს: „ჩემია!“)	ემორჩილება მზრუნველის ჩარევას, სათამაშოების გამო წარმოქმნილი დავის დროს, რაც დავის, უთანხმოების მოლაპარაკების გზით მოგვარებას გულისხმობს.	მზრუნველის დახმარებით ურთიერთობს სხვა ბავშვებთან კონფლიქტის მოსაგვარებლად;

ა.გ) ბავშვის განვითარების სფერო – კომუნიკაციური უნარების, ენისა და მეტყველების განვითარება:

ა.გ.ა) ბავშვი ავლენს მოსმენის უნარს და იგებს მოსმენილის მნიშვნელობას (რეცეპტული ენა):

სიტყვების მნიშვნელობა	ადეკვატურად რეაგირებს ნაცნობ სიტყვებზე (მაგ., თითს იშვერს, ასახელებს, იღებს, უყურებს ან აწვდის).	ესმის პირის ნაცვალსახელები და რამდენიმე ზმნისა და ზედსართავის მნიშვნელობა.	ესმის ზმნების მნიშვნელობა (უჩვენებს ან ანსახიერებს).	ესმის ზედსართავი სახელების მნიშვნელობა (მაგ., ცხელი, ჭუჭყიანი, ბედნიერი/ გახარებული, სველი, მშრალი).	ესმის ყველა ძირითადი ზმნის, ძირითადი ზედსართავის, ზოგიერთი წინდებულის/ თანდებულის მნიშვნელობა.
	ესმის 50-80 სიტყვის მნიშვნელობა (მიანიშნებს ყოველდღიური მოხმარების ნივთებსა თუ სურათებზე).			ესმის რამდენიმე ასეული სიტყვის მნიშვნელობა.	
ინსტრუქციები	ასრულებს ერთსაფეხურიან სიტყვიერ ინსტრუქციას (მაგ., „აიღე თოჯინა!“). სიტყვიერ ინსტურქციას არ ახლავს არავერბალური მანიშნებლები, მაგ., ხელის გაშვერა დასახელებული ობიექტისაკენ.	ასრულებს ერთსაფეხურიან ინსტრუქციას ორი საგნის ამორჩევით (მაგ., „მიეცი თოჯინას ბოთლი“, როცა ბოთლი იქვეა).	ასრულებს ორსაფეხურიან ინსტრუქციას, რომელშიც მოქმედებები ერთმანეთს უკავშირდება (მაგ., „აიღე ხელსახოცი და პირი მოიწმინდე“).	ასრულებს ორსაფეხურიან ინსტრუქციას, რომელშიც მოქმედებები შეიძლება არ უკავშირდებოდეს ერთმანეთს (მაგ., „თუ შეიძლება, აალაგე შენი სათამაშოები და მერე ჩაიცვი ფეხსაცმელი!“);	

ა.გ.ბ) საკუთარი აზრების გამოსახატავად ბავშვი იყენებს ჟესტიკულაციასა და სიტყვებს, საუბრობს (ექსპრესიული ენა და მეტყველება):

რავერბალური კომუნიკაცია	ესმის თითით მინიშნება და თითს თვითონაც იყენებს კომუნი-კაციისათვის.	მიუთითებს დისტანციაზე მყოფ ობიექტზე ეზოში - ყურადღების მისაქცევად, ინფორმაციის მისაღებად.	ამყარებს ურთიერთობას უსიტყვოდ - სხეულის მოძრაობით, სახის გამომეტყვე-ლებით.	ერთდროულად იყენებს მარტივ სიტყვებსა და ჟესტებს.	თავისი განცდების, არჩევანის, სურვილის გამოსახატავად, თავისუფლად იყენებს სხვადასხვა საშუალებას - როგორც სიტყვებს, ისე ჟესტებს.
ვერბალური კომუნიკაცია	წარმოთქვამს პირველ სიტყვებს.	იყენებს 5-20 მარტივ სიტყვას.	ორ სიტყვას ერთმანეთთან აკავშირებს.	იყენებს უარყოფით სიტყვათშე-თანხმებებს (მაგ., „არ მინდა!“).	სიტყვის მნიშვნელობის გამოსახატავად, რომელთა აღმნიშვნელიც არ იცის, თავად აწარმოებს, იგონებს ახალ სიტყვებს (მაგ., ნაცვლად იმისა, რომ თქვას - „კოვზით ურევს“, ამბობს - „ანკოვზიალებს“, „ადექის“ ნაცვლად - „აჯექის“).
			იყენებს 200-მდე სიტყვას;		

ა.გ.გ) ბავშვი ენას სხვადასხვა მიზნისათვის იყენებს (პრაგმატული განვითარება):

ინტერაქცია	ურთიერთო-ბისათვის იყენებს სიტყვებს, სხვადასხვა აზრის გამოსახატავად ცვლის ინტონაციას.	მარტივ შეკითხვებზე ერთი სიტყვით პასუხობს.	საუბრობს უმრავლესობისათვის გასაგებად.	პასუხობს „რა“, „სად“ „ვინ“ შეკითხვებზე - პასუხი უფრო ვრცელია, ვიდრე „კი“ ან „არა“.	შთაბეჭდილებებს უზიარებს სხვებს.
ამბის მოყოლა	ამბავს ცალკეული სიტყვების წარმოთქმით გადმოსცემს.		თავისთვის ლაპარაკობს თამაშის დროს და ასახელებს იმას, რასაც ხედავს ან აკეთებს.	ამბავს ორ-სამ სიტყვიანი წინადადებებით გადმოსცემს.	აღწერს იმას, რაც აღიქვა წარსულში. ამბის მოყოლისას ქრონოლოგიის დაუცველად ყვება იმ მოვლენების შესახებ, რაც მისთვის მნიშვნელოვანია;

ა.გ.დ) ბავშვი ავლენს წერისა და კითხვის საბაზისო უნარებს:

ფონოლოგია	ნაცნობ ლექსებს ასრულებს ბოლო სიტყვით.	მზრუნველის დახმარებით ტაშით ჰყვება მარტივ რიტმს.	იმიტირებს ტემპსა და სიჩქარეს (მაგ., ტაშის დაკვრა ჩქარა, ტაშის დაკვრა ნელა ან პირიქით - ჯერ ჩქარა, შემდეგ ნელა).	იმეორებს ფრაზებს მისთვის ნაცნობი ლექსებიდან, შეუძლია მოკლე, ერთსტროფიანი ლექსის დაზეპირება.	მღერის სიმღერებს, ამბობს ლექსებს, მონაწილეობს თამაშებში, რომლებიც ენის ბგერების ჟღერადობასა და რიტმიკასთან არის დაკავშირებული.	
წიგნით დაინტერესება	წიგნი წასაკითხად მიაქვს მზრუნველთან.	ერთმანეთისგან განასხვავებს სურათსა და ნაწერს.	ხვდება, რომ სურათი და სიტყვები ავსებს ერთმანეთს.	განასხვავებს სხვადასხვა ბეჭდვით გამოცემას. (მაგ., გაზეთს, წიგნს).	ნაცნობი წიგნის სურათის მიხედვით, წინასწარ ამბობს, რა მოხდება წიგნში შემდეგ.	ცნობს ისეთ ნიშნებს, სიმბოლოებს, რომლებიც გარემოში ხვდება (მაგ., სიტყვებს - „ღიაა“, „დაკეტილია“).
წერისათვის მზაობა	აკეთებს უნებლიე მონახაზებს და სხვებს აჩვენებს.	ცდილობს კონტურებიანი ფიგურის ან ნახატის გაფერადებას.	იხატავს ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ ხაზებს.	მიზანმიმართულად აკეთებს მარტივ მონახაზებს (ვითომ წერს);		

ა.დ) ბავშვის განვითარების სფერო – შემეცნებითი განვითარება:

ა.დ.ა) ბავშვი ავლენს ცნობისმოყვარეობას სიახლის მიმართ, შეუძლია შეაჩეროს და შეინარჩუნოს ყურადღება მოცემულ ამოცანაზე:

ცნობისმოყვარეობა	იჩენს ინტერესს ახალი საქმიანობებისა და სათამაშოს შემადგენელი ნაწილების მიმართ.	ინტერესდება და სვამს შეკითხვებს მისთვის უცხო ადამიანებისა და საგნების შესახებ (ვინ არის ეს, რა არის ეს?).	სვამს კითხვებს ადამიანების საქმიანობის შესახებ (მაგ., როცა ხედავს, რომ ბაბუა რეცხავს მანქანას, ეკითხება: „რას აკეთებ, ბაბუ?“).	სვამს მარტივ შეკითხვებს: „რატომ?“, „სად?“
ყურადღების კონცენტრაცია	განაგრძობს საქმიანობას დროის გარკვეულ მონაკვეთში (3-5 წუთის განმავლობაში).	თავისივე ინიციატივით წამოწყებულ საქმიანობაში ჩართულია გარკვეული დროის განმავლობაში (5-10 წთ).	დაჟინებით მოითხოვს მის მიერ წამოწყებული საქმიანობის დამთავრებას.	თავისივე ინიციატივით წამოწყებულ საქმიანობაში ჩართულია დაახლოებით 30 წუთის განმავლობაში;

ა.დ.ბ) ბავშვი შემოქმედებითად უდგება ყოველდღიურ საქმიანობას და ეძებს პრობლემის გადაჭრის სხვადასხვა გზებს:

შემოქმედებითობა	იწყებს საგნების განსხვავებულად და შემოქმედებითად გამოყენებას (მაგ., ცლის სათამაშოების ყუთს, გადმოაბრუნებს და ზედ აშენებს კოშკს).		საგნებს განსხვავებულად და შემოქმედებითად იყენებს (მაგ., ჯოხს იყენებს როგორც ცხენს, ან თოფს და ა.შ.).	ცდილობს მოქნილად და გონივრულად მიუდგეს ამოცანას, მის გადასაჭრელად ცვლის მოქმედების ხერხს.
პრობლემის გადაჭრა	ზოგიერთ შემთხვევაში არასტანდარტულად იყენებს საგნებს (მაგ., სახლობანას თამაშის დროს ჩანგლის მაგივრად ფანქარს ხმარობს).	უკვე ნაცნობ წარმატებულ სტრატეგიას იყენებს ახალ სიტუაციაში.	პრობლემის გადაჭრას ცდილობს სხვადასხვა გზით (ცდისა და შეცდომის მეთოდით) და წარუმატებლობის შემთხვევაში, ითხოვს დახმარებას.	პრობლემის გადასაჭრელად იყენებს მინიმუმ ორ განსხვავებულ სტრატეგიას;

ა.დ.გ) ბავშვი ავლენს გამოცდილების ინტერპრეტაციის უნარს, სწვდება მიზეზ-შედეგობრიობას, იწყებს კრიტიკულ და სიმბოლოებით აზროვნებას:

სიმბოლური აზროვნება	სათამაშოს ეთამაშება როგორც ცოცხალს.	თამაშისას ერთდროულად იყენებს როგორც სათამაშოს, ისე რეალურ ნივთს (მაგ., თოჯინას აჭმევს ნამდვილი კოვზით).	ძველ, ნაცნობ საგნებს ცდილობს ახალი დანიშნულება მოუძებნოს (მაგ., თოჯინისთვის საჭმლის მომზადებისას, დანის ნაცვლად, დასაჭრელად ფანქარს იყენებს).	ასახიერებს ადამიანის, საგნის, ცხოველის რომელიმე ძირითად მახასიათებელს, მაშინაც კი, თუ განსასახიერებელ ობიექტს ვერ ხედავს (მაგ., აჩვენებს, რისი გაკეთება შეუძლია ძაღლს და ყეფს).
რეალობა და ფანტაზია	ბაძავს ცხოველების ხმას.	იწყებს წარმოსახვით თამაშს (მაგ., აჭმევს თოჯინას, არწევს ხელში და ა.შ.).	ისეთი რეაქცია აქვს მსახიობზე, კოსტიუმირებულ ადამიანებზე, თითქოს ისინი ნამდვილად ის პერსონაჟები ყოფილიყვნენ, რომლებსაც განასახიერებენ.	როლებისა და სიტუაციების გათამაშებისას ხმას, მეტყველებას და ქცევას ერთმანეთს შეუსაბამებს (მაგ.,ჩვილის განსახიერებისას დახოხავს და „აღუ-აღუს“ გაიძახის).
მიზეზშედეგობრიობა	შედეგის მისაღწევად მრავალჯერ იმეორებს ქმედებას.	იმეორებს ლოგიკურად დაკავშირებულ მოქმედებებს (მაგ., ბანს და ამშრალებს თოჯინას).	იწყებს ორი მოვლენის ერთმანეთთან დაკავშირებას (მაგ., იმიტომ დაბნელდა, რომ მზე ჩავიდა).	ინტერესდება და სვამს შეკითხვებს სხვების მოქმედებასთან დაკავშირებით, რათა დაინახოს საბოლოო შედეგი (მაგ., ითხოვს ხელში აყვანას, რომ დაინახოს როგორ იხარშება კარტოფილი).
ინტერპრეტაცია	ხვდება, რომ ქცევა დაკავშირებულია რაიმე მოვლენასთან (მაგ., როცა დედა ქურთუკს აცმევს, იცის, რომ ეს გარეთ გაყვანას მოასწავებს).		შეუძლია საგნის მსგავსით ჩანაცვლება (მაგ., ქვაბის თავსახურს იყენებს, როგორც მანქანის საჭეს).	ერთ მოქმედებას მეორეთი ანაცვლებს (მაგ., ეს არ გამომივიდა, სამაგიეროდ, ეს გავაკეთე).
კვლევა	გამოცდილების საფუძველზე იგებს საგნების ფუნქციურ დანიშნულებას.	აკვირდება და მზრუნველის დახმარებით მანიპულირებს საგნებით, რათა შეძლოს მსგავსებისა და განსხვავების შემჩნევა (მაგ., მზრუნველის დახმარებით იყენებს კოვზსა და ჩანგალს. შედეგად ხვდება, რომ ორივე გამოიყენება ჭამის დროს, მაგრამ ერთს იყენებს წვნიანის, ხოლო მეორეს - კარტოფილის ჭამის დროს).		ცდისა და შეცდომის მეთოდით პოულობს მისთვის საინტერესო ობიექტის გამოყენების გზას;

ა.ე) ბავშვის განვითარების სფერო – დამოუკიდებლობა და ადაპტური ქცევის განვითარება:

ა.ე.ა) ბავშვი ავლენს ინიციატივასა და დამოუკიდებლობას:

ავტონომიურობა (დამოუკიდებლად მოქმედების შესაძლებლობა)	ცდილობს, რომ თვითონ გააკეთოს და უძალიანდება მზრუნველს (მაგ., უნდა თვითონ ჭამოს, ჩაიცვას)		ავლენს დამოუკიდებლობის სურვილს და ცდილობს მზრუნველის მოშორებას.		ითხოვს დამოუკიდებლობას თამაშის, კვების, ჩაცმის დროს.	
დამოუკიდებლობა	იწყებს ახალი მოქმედებების ათვისებას და საგნებით სარგებლობისას სხვადასხვა ხერხს მიმართავს (მაგ., ადრე თუ პირში იდებდა სათამაშოს, ახლა ათვალიერებს და თამაშობს).	პრობლემის დამოუკიდებლად გადაჭრისას იყენებს საკუთარ გამოცდილებას (მაგ., თუ ყუთიდან ამოღებისას პატარა სათამაშოს ვერ მისწვდა ხელით, იყენებს ადრე განხორციელებულ სხვა მოქმედებას: ამოატრიალებს ყუთს და გადმოაგდებს სასურველ სათამაშოს).	ათვალიერებს უჯრებსა და თაროებს, ატრიალებს სახელურებს.	სათუთად ეპყრობა მტვრევად საგნებს	მონაწილეობს დალაგებაში (სათამაშოების, ტანისამოსის და სხვა) და იცის საკუთარი ნივთების ადგილი.	იჩენს მაგიდის გაშლის სურვილს.
არჩევანი	უპირატესობას ანიჭებს გარკვეულ გემოებს, საგნებსა და ადამიანებს.	მიუთითებს თავის არჩევანზე და მზრუნველს „არა“-ს ეუბნება.		უპირატესობას ანიჭებს ამა თუ იმ სათამაშოს, წიგნს და თამაშს.	აკეთებს მარტივ, „კი თუ არა“ არჩევანს.	
ინიციატივა	ახალ გარემოში მოხვედრისას ცდილობს გარკვევას, სად იმყოფება - ათვალიერებს გარემოს და შეიცნობს მას.	მზრუნველთან „მიწოდების თამაშის“ წამოსაწყებად იწყებს საგნების სროლას.		იწყებს საქმიანობას მისთვის ახალი მასალის გამოსაყენებლად.	გამოთქვამს თავის აზრს, რისი გაკეთება სურს;	

ა.დ.გ) ბავშვი ავლენს გამოცდილების ინტერპრეტაციის უნარს, სწვდება მიზეზ-შედეგობრიობას, იწყებს კრიტიკულ და სიმბოლოებით აზროვნებას:

<table>
<tr><td rowspan="2">კვება</td><td>იჭერს და სვამს ჭიქიდან (პერიოდულად ღვრის).</td><td>ცალი ხელით უჭირავს პატარა ჭიქა</td><td>ათვალიერებს უჯრებსა და თაროებს, ატრიალებს სახელურებს.</td><td rowspan="2">თითებით სწორად იჭერს კოვზს.</td><td colspan="2">ასხამს სასმელს პატარა დოქიდან ან ბოთლიდან.</td></tr>
<tr><td>იკვებება კოვზით, მიაქვს პირთან (პერიოდულად ღვრის).</td><td>საგნებს განასხვავებს საკვებისგან, თუმცა შეიძლება მაინც გაუსინჯოს გემო, თუკი ისინი გემრიელად გამოიყურება (მაგ., სათამაშო ცომი, საპონი და სხვა).</td><td>თამაშობს საკვებით.</td><td>იყენებს ჩანგალს და ხელსახოცს.</td><td>საკუთარ თავს ემსახურება მაგიდასთან (საკვების გადაღებისას შეიძლება ცოტა დაეყაროს, ან ზედმეტად ცოტა ან ბევრი გადაიღოს).</td></tr>
<tr><td rowspan="2">ჩაცმა-გახდა</td><td rowspan="2">იხდის წინდებს.</td><td>იხდის ფეხსაცმელს, როცა გაუხსნიან.</td><td colspan="2">სხვისი დახმარებით იცვამს ფეხსაცმელს.</td><td>სხვისი დახმარებით იხდის ტანსაცმელს (ჟაკეტი, მაისური, შარვალი, ფეხსაცმელი, წინდა და საცვალი; შეიძლება დახმარება დასჭირდეს შესაკრავებთან და ვიწროყელიან ტანსაცმელთან)</td><td>სხვისი დახმარებით იცვამს ტანსაცმელს (ქუდი, ფეხსაცმელი, წინდები, შარვალი, საცვალი, მაისური, ჟაკეტი, ქურთუკი; დახმარება შეიძლება დასჭირდეს შესაკრავებთან და წაღმა-უკუღმა პირის გასარკვევად).</td></tr>
<tr><td colspan="2">შეუძლია დიდი ელვის აწევ-ჩაწევა</td><td colspan="2">ხსნის დიდი ზომის ღილებს</td><td>კრავს დიდი ზომის ღილებს</td></tr>
<tr><td>ტუალეტის ჩვევა</td><td>ავლენს შარდვისა და დეფეკაციის კონტროლის ნიშნებს (მშრალია 1-2 საათის განმავლობაში; დეფეკაცია მოსალოდნელია ხშირად კვების შემდეგ).</td><td>მზრუნველის დახმარებით ჯდება ქოთანზე ან საპირფარეშოს ადაპტირებულ საჯდომზე.</td><td>წინასწარ იტყობინება საჭიროების შესახებ (შეიძლება ორივე ფუნქციისთვის ერთსა და იმავე სიტყვას იყენებდეს).</td><td>უმეტესწილად სწორად ასახელებს საჭიროებას, განასხვავებს შარდვასა და დეფეკაციას.</td><td>დამოუკიდებლად იყენებს ტუალეტს, დახმარება სჭირდება გასუფთავებაში (ქაღალდის რაოდენობასა და გამოწმენდაში).</td></tr>
<tr><td rowspan="3">ჰიგიენა</td><td></td><td colspan="3">მზრუნველის დახმარებით იბანს და იმშრალებს ხელს.</td><td>დამოუკიდებლად იმშრალებს ხელებს.</td></tr>
<tr><td></td><td colspan="3">ცხვირს იხოცავს მზრუნველის დახმარებით.</td><td>ცხვირს იხოცავს, მაგრამ მზრუნველის შეხსენება სჭირდება, რომ ბოლომდე მოიწმინდოს ან/და ცხვირსახოცი ურნაში ჩააგდოს.</td></tr>
<tr><td></td><td colspan="4">მზრუნველის დახმარებით ცდილობს კბილების გახეხვას;</td></tr>
</table>

ა.ე.გ) ბავშვი ავლენს, რომ თავს დაცულად გრძნობს, ამჟღავნებს ნდობას და უსაფრთხოების წესების ცოდნას:

უსაფრთხოება	ესმის „არას“ მნიშვნელობა, თუმცა ყოველთვის არ ემორჩილება აკრძალვას.	მოზრდილის გაფრთხილებას საშიშროების შესახებ სიტყვიერად ან სახის გამომეტყველებით პასუხობს (მაგ.,სიტყვაზე, „ცხელია!“, უკან იხევს).	ითვალისწინებს უსაფრთხოების წესებს (მაგ., ქუჩაზე გადასვლისას ხელს ჰკიდებს მზრუნველს).	თავიდან იცილებს რისკებსა და ნაცნობ საფრთხეს (მაგ., არ ჰკიდებს ხელს გახურებულ ზედაპირს, ბასრ საგნებს).
დაცულობის განცდა	მზრუნველის თანდასწრებითა და დახმარებით მშვიდად თამაშობს სათამაშო მოედანზე უცხო ბავშვების გვერდით.	მზრუნველის დახმარებით უერთდება მოთამაშე ბავშვების ჯგუფს.	მზრუნველის დახმარებით იწყებს რიგითობის დაცვას და განაწილებას.	იცავს ჯგუფური მოქმედების მარტივ წესებს;

ა.ე.დ) ბავშვი ამჟღავნებს მოქნილობას და გარემოსა და ყოველდღიური საქმიანობის ცვლილებას უსადაგებს თავის ქცევას:

მოქნილობა	თავისუფლად გრძნობს თავს უცხო გარემოში, როდესაც მის გვერდით მზრუნველი იმყოფება, ცდილობს მისი თანდასწრებით შეიცნოს ახალი და უცნობი გარემო.	სახლის გარეთ, მაგრამ ნაცნობ გარემოში, შორდება ძირითად მზრუნველს.	მარტივად და მშვიდად იცვლის ადგილს მზრუნველთან ერთად (იქნება ეს სახლი, ეკლესია, მანქანა, მაღაზია თუ სათამაშო მოედანი).	სვამს კითხვებს გარემოს შესახებ ან განსხვავებულად იქცევა, როცა ახალ გარემოში ხვდება.
მედეგო	თავდაჯერებულობის განცდისთვის იმეორებს ნაცნობ ქმედებებს.	ითხოვს - „კიდევ/მეტი“, იმისთვის, რომ რაღაც განმეორებით სცადოს,	საკუთარი მიღწევები კმაყოფილებას განაცდევინებს.	მიზნის მისაღწევად იყენებს მზრუნველის მიერ შემოთავაზებულ ალტერნატიულ გზებს;

ბ) თემატური მიმართულებები:

ა) თემატური მიმართულება – ხელოვნება:

ბ.ა.ა) ბავშვი ინტერესდება ვიზუალური ხელოვნებით და იყენებს მას თვითგამოხატვისთვის:

ესთეტიკა და კრიტიკული დამოკიდებულება	ინტერესდება სურათებით, ილუსტრაციებით, კონსტრუქციებითა და სხვადასხვა ნაკეთობებით.	სიამოვნებითა და ინტერესით ათვალიერებს ვიზუალური ხელოვნების სხვადასხვა ნიმუშს.	გამოხატავს მოწონება/ არმოწონებას ვიზუალური ხელოვნების ნიმუშის მიმართ.	სვამს შეკითხვებს ვიზუალური ხელოვნების ნიმუშების შესახებ.
შემოქმედებითი თვითგამოხატვა	გამოცდილებისა და კვლევისათვის იყენებს სხვადასხვა მასალას (მაგ., საღებავს, ფანქრებს, პასტელს, სათამაშო ცომს, სამგანზომილებიან მასალებს).	იყენებს სხვადასხვა სამუშაო მასალას (მაგალითად, ფერებს სპონტანურად ურევს ერთმანეთში; ხატავს მარტივი მონასმენით; პლასტელინით ან თიხით იწყებს მარტივი ფორმების გამოძერწვას).	მასალას იყენებს მისი დანიშნულებისამებრ (ხატავს მარტივი მონასმენით. ბავშვი ნამუშევარში გულისხმობს ამა თუ იმ ობიექტს, თუმცა ნახატი არ ჰგავს ამ ობიექტს).	„დამოუკიდებლად და თავისი ინიციატივით იწყებს მუშაობას; ასახელებს/აღწერს ნამუშევარს“;

ბ.ა.ბ) ბავშვი ინტერესდება საშემსრულებლო ხელოვნებით და იყენებს მას თვითგამოხატვისთვის:

ესთეტიკა და კრიტიკული დამოკიდებულება	უპირატესობას ანიჭებს ნაცნობი სიმღერებისა და რიტმის მოსმენას.	სიამოვნებით ადევნებს თვალს სხვების მიერ შესრულებულ ცეკვას, დრამატულ წარმოდგენას, ისმენს სიმღერას; იმეორებს სხვების მოქმედებებს.	აკვირდება და ბაძავს თამაშს, სიმღერას, რიტმულ მოძრაობას.	აკვირდება ნაწარმოების შესრულების პროცესს და სვამს შეკითხვებს მისი მნიშვნელობის გასაგებად.
შემოქმედებითი თვითგამოხატვა მუსიკა	სხვადასხვაგვარად მოძრაობს: 1) მუსიკის თანხლებით (მაგ., ცეკვით, ტაშის დაკვრით, სხეულის რხევით, რომელიც შეესაბამება რიტმს) და 2) მის გარეშე (მაგ., ცეკვით, ტაშის დაკვრით, სხეულის რხევით, რომელიც არ შეესაბამება რიტმს).	იყენებს რიტმულ ინსტრუმენტებსა და ხმას; ერთმანეთისგან განასხვავებს ჩქარ/ნელ ტემპსა და ხმამაღალ/ხმადაბალ მუსიკას.	მღერის 1) უნისონში სხვასთან ერთად; 2) ინსტრუმენტის თანხლებით; 3) დამოუკიდებლად საცნობი ფორმით (ღიღინით, წამღერებით და ა.შ.).	იმეორებს მუსიკის მელოდიასა და ცეკვის ილეთებს; მუსიკაზე აყოლებს შარფებს, ლენტებს, ინსტრუმენტებს და სხვა.
დრამა	თამაშის დროს მიზნობრივად იყენებს რეალურ ნივთებს.	თამაშის დროს საგანს სხვა საგნის მნიშვნელობით იყენებს (მაგ., მაგიდა ვითომ სახლია, მის ქვეშ ძვრება).	ბაძავს რამდენიმე ცხოველის, საგნის ხმას ან მოძრაობას და თამაშისას იყენებს რეკვიზიტებს.	გაითამაშებს რეალურსა და მის მიერ გამოგონილ სიტუაციებს;

ბ.ბ) თემატური მიმართულება – წიგნიერება:

ბ.ბ.ა) ბავშვი ინტერესდება და სიამოვნებას იღებს მხატვრული ნაწარმოებებით:

ესთეტიკა და კრიტიკული დამოკიდებულება	ინტერესდება ილუსტრირებული წიგნებით.	წიგნებს სიამოვნებითა და ინტერესით ათვალიერებს.	როდესაც უკითხავენ გამოხატავს მოწონება/არმოწონებას	სვამს შეკითხვებს მზრუნველის მიერ წაკითხული წიგნის შესახებ.	
წიგნთან ურთიერთობა	ინტერესდება წიგნით (მაგ., წიგნს თან დაატარებს, ფურცლავს, გვერდებს ათვალიერებს და ა.შ.).	სიამოვნებით ისმენს წაკითხულ მცირე ზომის ზღაპრებსა და მოთხრობებს სურათებისა თუ სხვა ილუსტრაციების ჩვენებით, ან სამაგიდო თეატრის პერსონაჟებისა თუ სათამაშოების თანხლებით.	წიგნის კითხვისას სვამს შეკითხვებს პერსონაჟების შესახებ.	სიამოვნებით ათვალიერებს სხვადასხვა თემაზე შექმნილ წიგნებს.	აქვს გამორჩეული, საყვარელი წიგნები, იხსენებს სხვადასხვა პერსონაჟსა და მოქმედებას ნაცნობი წიგნებიდან.
	ცდილობს სწორად დაიჭიროს წიგნი, ბაძავს უფროსს წიგნის წაკითხვაში.		წიგნი სწორად, ვერტიკალურ მდგომარეობაში უჭირავს	იცის, რომ წიგნი მარცხნიდან მარჯვნივ იკითხება, თითს აყოლებს, ვითომ კითხულობს.	
შემოქმედებითი თვითგამოხატვა		ამბავს ცალკეული სიტყვების წარმოთქმით გადმოსცემს.	მონაწილეობს საყვარელი ამბის მოყოლაში, ამატებს სიტყვებს, აკეთებს კომენტარებს;		

ბ.გ) თემატური მიმართულება – ჯანსაღი ცხოვრების წესი, მეცნიერების ელემენტები:

ბ.გ.ა) ბავშვი სწავლობს ჯანსაღი ცხოვრების წესს, სწორად კვებას, ჰიგიენასა და ფიზიკურ აქტივობას:

ფიზიკური აქტივობა	შინ თუ გარეთ ხალისით ერთვება თამაშებში, რომლებიც მოითხოვს ფიზიკურ აქტივობას.	თავისუფლად დარბის ეზოში ან სახლში.	მონაწილეობს მზრუნველის მიერ მართულ ფიზიკურად აქტიურ საქმიანობაში (მარტივი მოძრაობებით) 3-5 წუთის განმავლობაში.	მონაწილეობს მზრუნველის მიერ მართულ ფიზიკურად აქტიურ საქმიანობაში 5-10 წუთის განმავლობაში.
ჯანსაღი ქცევა	ერთვება ჯამრთელობის ხელშემწყობ ყოველდღიურ აქტივობებში (მაგ., დასვენება, კბილების გახეხვა).	სვამს კითხვებს და პასუხობს ჯანმრთელ ჩვევებთან/ ქცევასთან დაკავშირებულ შეკითხვებს.	იცის, ვინ ემსახურება მის ჯანმრთელობას (მაგ., კბილის ექიმი, ექთანი, პედიატრი).	
სხეული	მიუთითებს სხეულის ერთ ნაწილზე მაინც, მიუხედავად იმისა, შეუძლია თუ არა სხეულის ამ ნაწილის დასახელება (მაგ., ხელი, ცხვირი).	მიუთითებს სხეულის მინიმუმ 3 ნაწილზე.	მიუთითებს სხეულის მინიმუმ 6 ნაწილზე.	აჩვენებს სურათზე სხეულის 6 ნაწილზე მეტს;

ბ.გ.ბ) ბავშვი აკვირდება და შეისწავლის ბუნებას და მასთან ადამიანების ურთიერთდამოკიდებულებას:

ბუნება არაცოცხალი	მრავალფეროვანი ბუნებრივი მასალის და ამინდის შესასწავლად იყენებს შეგრძნებებს.	თამაშობს ბუნებრივი მასალით და აკვირდება მზეს და ღრუბლებს.	ამოიცნობს ცოცხალი და არაცოცხალი ბუნების ფიზიკურ მახასიათებლებს (მაგ., ზომა, ფორმა, ფერი და ტექსტურა).	ამოიცნობს ბუნების ელემენტებს (წყალს, ქვას, ქვიშას, თოვლს, წვიმას და სხვა) ასახელებს მათი მახასიათებლების გამომხატველ სიტყვებს (ცივი, ცხელი, თბილი, სველი, მშრალი და ა.შ.).
ბუნება ცოცხალი	აკვირდება ცოცხალ არსებებს ბუნებაში (მაგ.. აკვირდება, ხელში იყვანს ჭიაყელას, ცდილობს დაიჭიროს ჭიანჭველა).	მონაწილეობს ცხოველის ან/და მცენარის მოვლაში.		აქვს წარმოდგენა მარტივ ბუნებრივ კანონზომიერებებზე (მაგ., იმისათვის, რომ მცენარე გაიზარდოს, მას ესაჭიროება წყალი, ცხოველს კი წყალი და საკვები).
გარემოზე ზრუნვა	იცის, სად არის ნაგვის ყუთი და სად უნდა ჩაყაროს ნაგავი.	იცის, რომ ადამიანებს საჭიროებები აქვთ (მაგ., საკვები, წყალი, თავშესაფარი, ტანსაცმელი).	ცნობს და ერიდება მის გარემოში არსებულ სახიფათო მწერებსა და ცხოველებს.	ცდილობს დაახარისხოს განმეორებით გამოყენებადი და გადასაგდები ნაგავი;

ბ.გ.გ) ბავშვი ინტერესდება და ეცნობა საგნებისა და მოვლენების ფიზიკურ მახასიათებლებს:

ფიზიკური გარემო	მონაწილეობს მზრუნველის მიერ მართულ ნივთიერებათა კვლევის საქმიანობებში (მაგ., თამაშობს ქვიშაში, წყალში და სხვა) და ამ დროს თავის შეგრძნებებთან ერთად იყენებს მარტივ ხელსაწყოებს (ნიჩაბი, ძაბრი, სხვადასხვა ზომის ჭურჭელი და სხვა).	ურევს ნივთიერებებს ახლის მისაღებად (მაგ., ქვიშასა და წყალს, ორი განსხვავებული ფერის საღებავს).	მონაწილეობს მზრუნველის მიერ მართულ მარტივ კულინარიულ საქმიანობებში.	ამჩნევს და მიუთითებს ცვლილებაზე (საბოლოო შედეგს, ცვლილების პროცესს, სხვაობებს).
	სხვადასხვა ზომის, წონისა და ფორმის საგნებს სხვადასხვანაირად გადააადგილებს (მაგ., განსხვავებული სიჩქარით, სხვადასხვა საშუალებით - ჩანთით, კონტეინერით, ხელში დაჭერით).	თამაშობს სათამაშოებით, რომელშიც ბურთი სხვადასხვა გზით ჩამოგორდება.	საგნის დასახასიათებლად იყენებს შესაბამის სიტყვებს - სწრაფი, ნელი, წინ, უკან.	საუბრობს საგნებისა და სხეულების გადაადგილების შესახებ;

ბ.გ.გ) ბავშვი ინტერესდება და ეცნობა საგნებისა და მოვლენების ფიზიკურ მახასიათებლებს:

სივრცე	თამაშისას ცდილობს სივრცითი მიმართებების დაუფლებას (მაგ., თამაშისას ცდილობს ჩაძვრეს და ჩაიმალოს მუყაოს ყუთში, აძვრეს სკამზე, ან გაძვრეს გვირაბში).	გამოხატავს ინტერესს ისეთი საგნების მიმართ, როგორიცაა ბირთვი, კუბი, გლობუსი, რუკა, ჭოგრიტი და ა.შ.	სწავლობს და ხვდება ისეთ სივრცით მიმართებებს, როგორიცაა „ახლოს“ და „შორს“. „ზემოთ“ და „ქვემოთ“, „მარჯვნივ“ და „მარცხნივ“, „შიგნით“ და „გარეთ“.	
დრო	იცის, რას ნიშნავს რეჟიმი (მაგ., როდესაც მზრუნველი ამბობს: „სადილის შემდეგ ეზოში გავალთ“, მისთვის უკვე ნათელია, რომ ჭამის დამთავრების შემდეგ ეზოში გასასვლელად უნდა მოემზადოს).	შეუძლია გაიხსენოს ინფორმაცია ახლო წარსულიდან, ახლახან დასრულებული მოქმედება (მაგ., როცა ეკითხებიან, წეღან კარზე ვინ დააკაკუნა, მიუთითებს ადამიანზე, რომელმაც ეს გააკეთა).	საუბრისას იშველიებს დროსთან დაკავშირებულ ისეთ სიტყვებს, როგორიცაა „დღეს“, „გუშინ“, „დღე“, „ღამე“„ხვალ“, „ჯერ“, „მერე“ და სხვა	ერთმანეთთან აკავშირებს ძველ და ახალ მოვლენებს.
კულტურა და ტრადიციები	იცის ოჯახის წევრების სახელები და მათი კუთვნილი ნივთები და ამჩნევს ოჯახის წევრებს შორის არსებულ მარტივ განმასხვავებელ ასაკობრივ ნიშნებს.	მონაწილეობს ოჯახურ დღესასწაულებში.	მონაწილეობს საოჯახო დღესასწაულების სამზადისში.	იცის, როგორ არის გადანაწილებული თავის ოჯახში ფუნქციები, ანუ ვინ რას აკეთებს, რას საქმიანობს.
მოქალაქეობა	ასრულებს მარტივ მითითებებს და დამკვიდრებულ ყოველდღიურ რუტინას (მაგ., საგარეო ფეხსაცმელს იხდის და იცვამს საშინაოს, როდესაც შედის ჯგუფში; ჭამის წინ ხელებს იბანს; მზრუნველის გარეშე არ გადადის ქუჩაზე).	იცავს რამდენიმე მარტივ წესს.	იცის, რომ საყიდლებისათვის და სხვა მომსახურებისათვის საჭიროა ფული.	
	იყენებს სხვადასხვა პროფესიის რეკვიზიტებს (მაგ., ფონენდოსკოპს, ჩაქუჩს, პოლიციელის ქუდს და სხვა).	ცნობს მისთვის ნაცნობი პროფესიების წარმომადგენლებს (ექიმს, მასწავლებელს, პოლიციელს, მძღოლს).	როლურ თამაშებში ასახიერებს სხვადასხვა პროფესიის ადამიანს;	

ბ.გ.ე) ბავშვი იყენებს მათემატიკურ უნარებს:

საგნების დაჯგუფება	საგანთა გროვიდან ამოარჩევს ერთ საგანს (მაგ., როდესაც სთხოვენ „მომეცი თეფში!“ სხვა ნივთებიდან არჩევს და აძლევს თეფშს).	საგნებს არათანმიმდევრულად ახარისხებს (მაგ., იწყებს ფორმის მიხედვით და განაგრძობს ფერის მიხედვით).		მზრუნველის დახმარებით, საგნებს ერთი ნიშნით ახარისხებს. (ყველა თოჯინა დადეთ თაროზე, ყველა ფანქარი ჩადეთ კოლოფში და სხვა).
	შეთავაზებულ ფერად ფანქრებზე მზერას აჩერებს და სპონტანურად ირჩევს ერთ რომელიმე ფერს.		ამოიცნობს და ასახელებს მინიმუმ ერთ ფერს.	
საგნების დაჯგუფება	ნივთის ზომის, წონისა და მდებარეობიდან გამომდინარე, საზღვრავს მოძრაობას მის ასაღებად.	კუბსა და ბირთვს განასხვავებენ კუთხოვნობით, მრგვალობითა და გაგორებადობის ხარისხით (ყველა კუთხოვანი ფიგურა ჩადე ყუთში; ყველა ფიგურა, რომელიც გორავს შეინახე ტომარაში).		თხოვნის შემთხვევაში, ნივთებს ალაგებს საგნის შიგნით, საგანზე და საგნის ქვეშ. განასხვავებს სამკუთხედს, კვადრატსა და წრეს კუთხოვნობითა და მრგვალობით. ადეკვატური ქცევით ადასტურებს ცოდნას ფიგურის შიდა და გარე არის შესახებ.
რიცხვები	განასხვავებს ცნებებს – „ერთი“ და „ბევრი“, „ცოტა“ და „არცერთი“.		იყენებს სიტყვებს – მეტი, ბევრი, ერთი, ცოტა, არცერთი. ესმის ცნებები – ყველა, არცერთი.	
	მზრუნველის დახმარებით ცდილობს თვლას თითებით.	ითვლის საგნებს მზრუნველთან ერთად.	ითვლის სამამდე.	ითვლის ხუთამდე.
გაზომვა	ერთმანეთში აწყობს ორ ან სამ სხვადასხვა ზომის სათამაშო კონტეინერს.	ავსებს და ცლის ჭურჭელს (მაგ., წყლით ან ქვიშით).	მოთხოვნის მიხედვით ორი ერთგვაროვანი საგნიდან ამოარჩევს დიდსა და პატარას, გრძელსა და მოკლეს, ვიწროსა და განიერს, მაღალსა და დაბალს.	იყენებს ზომის აღმნიშვნელ სიტყვებს - დიდი და პატარა, გრძელი და მოკლე, ვიწრო და განიერი, მაღალი და დაბალი;

ბ.გ.ვ) ბავშვი შესაბამისი დანიშნულებით იყენებს ტექნიკას:

ყოველდღიური ტექნოლოგია	იცის, რას და სად უნდა დააჭიროს თითი სათამაშოს მოსამართად.	როდესაც სთხოვენ, შეუძლია აანთოს ან ჩააქროს შუქი.	იცის ჯგუფში არსებული ტექნიკის ჩამრთველი და გამომრთველი სპეციალური ღილაკის დანიშნულება და შეუძლია მისი შესაბამისად გამოყენება.	ასახელებს ტექნიკას გამოყენების ან ჩვენების დროს (მაგ., ტელეფონი, ტელევიზორი, მობილური და სხვა) და საუბრობს თავის გამოცდილებაზე.
ინსტრუმენტები და ხელსაწყოები	აკვირდება და შეისწავლის სათამაშო ან ნამდვილ სამედიცინო ინსტრუმენტებს, სამშენებლო ინსტრუმენტებს და მანქანებს.	მარტივ ინსტრუმენტებს მიზნობრივად იყენებს (მაგ.,სათამაშო ჩაქუჩს სათამაშო ლურსმნის ჩასარჭობად იყენებს, ფონენდოსკოპი დათუნიას გულთან მიაქვს).		საუბრობს და კითხვებს სვამს სპეციფიკური ინსტრუმენტებისა და მანქანების შესახებ, ასევე მათი დანიშნულების შესახებ (მაგ., სამედიცინო, სამშენებლო, სამეცნიერო).

3-დან 4 წლამდე და 4-დან 5 წლამდე ბავშვის აღზრდისა და განათლების სტანდარტები

3-დან 4 წლამდე და 4-დან 5 წლამდე ბავშვის აღზრდისა და განათლების სტანდარტები

ა) ბავშვის განვითარების (აღზრდა-განათლების) სფეროები:

ა.ა) სფერო	ფიზიკური და სენსორული აღზრდა-განათლება

სტანდარტის შედეგები

ა.ა.ა) ბავშვმა უნდა შეძლოს სხეულის მოძრაობის კონტროლი, მიზანმიმართულად მოძრაობა, წონასწორობის შენარჩუნება.
ინდიკატორები: ბავშვს განვითარებული აქვს მსხვილი (უხეში) მოტორიკა:
თავისუფლად ისვრის და იჭერს ბურთს, დაუხმარებლად ადის და ჩადის კიბეზე, სწრაფად დარბის, სამთვლიანი ველოსიპედით ლახავს დაბრკოლებებს, უხვევს, აჩერებს, ძრავს. ხტუნავს ფეხის მონაცვლეობით;

ა.ა.ბ) ბავშვმა უნდა შეძლოს კოორდინირებულად გამოიყენოს სხეულის წვრილი კუნთები.
ინდიკატორები: ბავშვს განვითარებული აქვს წვრილი (ნატიფი) მოტორიკა: ერთმანეთზე ამაგრებს ხრახნიან საგნებს. აწყობს მარტივ ფაზლსა და მოზაიკას, კონტურის მიხედვით ამოჭრის სურათს, სხვადასხვა ფორმის ფიგურას, შეუძლია წერის იმიტაცია, ხატვა, კუბებით აწყობს მარტივ კონსტრუქციას;

ა.ა.გ)ბავშვმა უნდა შეძლოს შეგრძნების ორგანოების (მხედველობის, სმენის, შეხების, გემოვნების, ყნოსვის) გამოყენებით შეასრულოს გარკვეული მოძრაობები, შეძლოს კოორდინირება და გარემოს აღქმა თუ შეცნობა.
ინდიკატორები: მონაწილეობას იღებს მრავალფეროვან ფიზიკურ აქტივობებში. სიამოვნებს, წიგნს რომ უკითხავენ, წიგნს დამოუკიდებლად ათვალიერებს. ტაშით იმეორებს მარტივ რიტმებს. ნივთებს ამოიცნობს შეხებით, განასხვავებს საკვების გემოს, სუნს, ფორმას, შეუძლია მოძრაობით აყვეს მუსიკას. უსმენს მუსიკას და ცდილობს მის რიტმში მოძრაობას;

ა.ბ) სფერო	სოციალურ-ემოციური აღზრდა-განათლება

ა.ბ.ა) ბავშვმა უნდა შეძლოს საკუთარი დამოკიდებულებების გამოხატვა საკუთარი თავისა და ახლო გარემოცვის მიმართ.
ინდიკატორები: ბავშვს შეუძლია საკუთარი შესაძლებლობების ამოცნობა, ასახელებს მისთვის საინტერესო საქმიანობებს, დამოუკიდებლად ცდის ახალ საქმიანობებს, იაზრებს, თუ რა გამოსდის კარგად, უვითარდება თანამშრომლობითი უნარ-ჩვევები, საყვარელი ადამიანების მიმართ მესაკუთრული დამოკიდებულება აქვს, ადვილად ეგუება მზრუნველთან განშორებას, საკუთარ თავს გვარით და სახელით მოიხსენიებს, აღწერს საკუთარ გარეგნობას, იცის იმ ადგილის სახელი, სადაც ცხოვრობს, აღწერს საკუთარ ოჯახს და ესმის, რომ ოჯახი გარკვეულ ერთობას წარმოადგენს.
იჩენს ინიციატივას, აკეთებს არჩევანს მაგ., რომელი ტანსაცმელი ჩაიცვას, რა ითამაშოს. ირჩევს ინდივიდუალურ საქმიანობას (მაგალითად, ხატავს ან თავსატეხს აწყობს). მზრუნველს სთხოვს დახმარებას. სიფრთხილეს იჩენს საგნებთან ურთიერთობის დროს, ესმის მათი დანიშნულება და იცის, თუ როგორ უნდა გამოიყენოს. იწყებს საკუთარ თავზე ზრუნვას;

ა.ბ.ბ) ბავშვმა უნდა შეძლოს ემოციების გაგება და გამოხატვა.
ინდიკატორები: ამჩნევს და ასახელებს სხვების ემოციებს (მაგ., სიხარულს, შიშს, მოწყენილობას). საუბარის დროს სახის შესაბამის გამომეტყველებას შეუსაბამებს ემოციას. ასახელებს და საუბრობს საკუთარი გრძნობებისა და განცდების შესახებ. შეუძლია ძლიერი ემოციების კონსტრუქციულად გამოხატვა. მზრუნველის მცირე დახმარებით ცდილობს საკუთარი თავის გაკონტროლებას. იწყებს იმპულსების კონტროლს (მაგ., ამბობს - „არა“, როდესაც აწვდიან აკრძალულ ნივთებს. ცდილობს თავი შეიკავოს და ფეხი არ დაადგას იატაკზე დაგდებულ წიგნს). მზრუნველის ხელმძღვანელობით, უმტკივნეულოდ გადადის ერთი მოქმედებიდან მეორეზე და გარემოების შესაბამისად იქცევა;

ა.ბ.გ) ბავშვს უნდა შეეძლოს პროსოციალური ქცევის გამოვლენა.
ინდიკატორები: იცის, რომ „ცუდ ქცევას“ მზრუნველისაგან უარყოფითი რეაქცია მოჰყვება. სხვებისგანაც მოითხოვს წესების დაცვას (მაგ., დედამ ჩვეულ ადგილას დადოს სათამაშო). აღწერს სხვა ბავშვის კარგ საქციელს. იქცევა გარემოს შესაბამისად (მაგ., მუზეუმში, სათამაშო მოედანსა თუ ტრანსპორტში). ამყარებს ურთიერთობებს მზრუნველებთან და თანატოლებთან. ესაუბრება „საკუთარ საქმეებზე“ , ბაძავს მზრუნველის ქცევას (მაგ., მასთან ერთად კითხულობს წიგნს), აფიქსირებს თავის დამოკიდებულებას – „მომწონს – არ მომწონს“ და შეუძლია მიზეზის ახსნა. ინფორმაციის მისაღებად ხშირად უსვამს კითხვებს უფროსს. გამოხატავს საკუთარ აზრსა და მოლოდინს. ემორჩილება მზრუნველის მითითებებს და მისგან იღებს რჩევებს. თამაშობს სხვადასხვა სოციალურ თამაშს. იცავს თამაშის წესებს, მაგ., რიგითობას, ცდილობს კონფლიქტის მოგვარებას მზრუნველის დახმარებით, ურთიერთობს სხვა ბავშვებთან კონფლიქტის მოსაგვარებლად. კონფლიქტურ სიტუაციაში ცდილობს ახსნას საკუთარი პოზიცია;

ა.გ) სფერო კომუნიკაციური უნარების, ენისა და მეტყველების გამოყენება

ა.გ.ა) ბავშვმა უნდა შეძლოს მოსმენა და მოსმენილი ამბის გადმოცემა (რეცეფციული მეტყველება).
ინდიკატორები: ბავშვმა იცის, რომ მოსმენა სწორი კომუნიკაციის შემადგენელი მნიშვნელოვანი ეტაპია. კარგი მოსმენის უნარის განვითარებისთვის ფლობს მოსმენის ტექნიკებს. იცის, რომ მოსმენილი ამბის გადმოსაცემად თავად უნდა შეწყვიტოს საუბარი, დაამყაროს მოსაუბრესთან თვალით კონტაქტი, მოუსმინოს მოსაუბრეს. ბავშვს ესმის ვერბალური და არავერბალური კომუნიკაცია თანატოლებისა და აღმზრდელების მხრიდან. უსმენს და რეაგირებს თხოვნაზე, მითითებებზე. უსმენს ზეპირად მოთხრობილ ან წაკითხულ ზღაპრებს, ამბებს. იგებს და ასრულებს მარტივ ინსტრუქციებს. ბავშვს შეუძლია სწორი მეტყველება და მოსმენა. მოსმენილი ამბის გააზრება, შესაბამისი შეკითხვების დასმა, ინფორმაციისა და აზრების გადმოცემა;

ა.გ.ბ) ბავშვმა უნდა შეძლოს საკუთარი აზრების გამოსახატავად ჟესტიკულაციისა და სიტყვების გამოყენება, საუბარი (ექსპრესიული მეტყველება).
ინდიკატორები: ბავშვს კომუნიკაციის დროს შეუძლია საკუთარი განცდების, არჩევანის, სურვილის გამოსახატად, თავისუფლად გამოიყენოს სხვადასხვა საშუალება - სიტყვები, ჟესტები. შეუძლია ფრაზების წარმოთქმა, გაბმულად მეტყველებს, შეუძლია ჩაერთოს დიალოგში და მოჰყვეს იმას, რაც ნახა და მოისმინა;

ა.გ.გ) ბავშვმა უნდა შეძლოს ენის სხვადასხვა მიზნისათვის გამოყენება (პრაგმატული მეტყველება).
ინდიკატორები: ბავშვს განვითარებული აქვს კომუნიკაციისა და თხრობის უნარი. თავისუფლად გადასცემს შეტყობინებას, სვამს კითხვებს პასუხის მისაღებად (მაგ., რატომ? როდის? როგორ?). სხვებისთვის იდეების გასაზიარებლად და ინფორმაციის მოსაპოვებლად, იყენებს მეტყველებას. მზრუნველის დახმარებით ყვება მოკლე გამოგონილ ისტორიას, ან იხსენებს წარსულში მომხდარ ამბავს. ზღაპრიდან ან მოთხრობიდან გამოყოფს და სხვა ადამიანს უყვება მისთვის მნიშვნელოვან რამდენიმე ფრაგმენტს;

ა.გ.დ) ბავშვმა უნდა შეძლოს წერისა და კითხვის საგაზისო უნარების გამოვლენა.
ინდიკატორები: ბავშვს შეუძლია მარტივი ფონოლოგიური სავარჯიშოების შესრულება: ასახელებს სიტყვას, რომელიც იწყება მზრუნველის მიერ შეთავაზებული ასო-ბგერით. მზრუნველის დახმარებით ასახელებს სიტყვის პირველ მარცვალს.
ავლენს კითხვისთვის მზაობას – სხვადასხვა ნიშანსა და სიმბოლოს აღიქვამს როგორც ინფორმაციის წყაროს. ერთმანეთისაგან განასხვავებს ასოებსა და რიცხვებს. განასხვავებს ნაბეჭდსა და ნაწერს. ცნობს რამდენიმე ასოს. აცნობიერებს, რომ წიგნის წაკითხვისას ხმამაღლა წარმოთქმული სიტყვები უკავშირდება ნაბეჭდ ტექსტს. ავლენს წერისთვის მზაობას – თამაშისას იყენებს წარმოსახვით წერას (ხატავს პატარა ზომის ფიგურებს, ვითომ წერს). საკუთარ სახელს ნიმუშს ამსგავსებს. ხატავს სიმბოლოებს, რომლებიც შეხვედრია და ახსოვს. მზრუნველს სიტყვების დაწერას სთხოვს. გამოთქვამს საკუთარ იდეებს, აზრებს და მზრუნველს მათ ჩაწერას სთხოვს;

ა.დ) სფერო | შემეცნებითი განვითარება

ა.დ.ა) ბავშვმა უნდა შეძლოს ცნობისმოყვარეობის გამოვლენა სიახლის მიმართ, შეძლოს მოცემულ ამოცანაზე ყურადღების შეჩერება და შენარჩუნება.

ინდიკატორები: ბავშვი ავლენს ცნობისმოყვარეობას, ინტერესდება მიმდინარე მოვლენებით. სვამს შეკითხვებს, რათა მიიღოს ინფორმაცია მისთვის გაუგებარ საკითხებზე. ინტერესდება, ატარებს „ექსპერიმენტებს", რათა თვითონ გაერკვეს ზოგიერთი მოვლენისა და საგნის არსში. (მაგ., ტივტივის ჩასაძირად სხვადასხვა რაოდენობის კენჭებს აწყობს). აქვს ინტერესთა სფეროები (მაგ., დინოზავრები, სატვირთო მანქანები, შინაური ცხოველები და სხვა) ყურადღებით ეკიდება დაწყებულ საქმიანობას, რაიმე მიზეზით შეწყვეტის შემთხვევაში აგრძელებს და ასრულებს წარუმატებლობის შემთხვევაშიც კი;

ა.დ.ბ) ბავშვმა უნდა შეძლოს ყოველდღიური საქმიანობისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულების გამოვლენა და პრობლემის გადაჭრის სხვადასხვა გზის მოძიება.

ინდიკატორები: ბავშვი შემოქმედებითად უდგება თამაშს, იყენებს ფანტაზიას, იგონებს ახალ თამაშებს. თამაშობს წარმოსახვით თამაშებს (მაგ., სახლობანას, მაღაზიობანას და სხვა). სხვადასხვა საგნის კომბინაციით ქმნის რაღაც ახალს (მაგ.,მაგიდის ქვეშ ზეწრისა და გადასაფარებლის გამოყენებით აწყობს კარავს). შეუძლია შეთხზას ამბავი, მოიგონოს ახალი სიტყვები და მელოდია.
ბავშვი პრობლემის გადასაჭრელად სხვადასხვა გზას ეძებს და საბოლოოდ ერთ-ერთს ირჩევს. ასახელებს ან ხატავს პრობლემის გადაჭრის გზას. ცვლის ქცევას ახალი ინფორმაციისა და გამოცდილების შესაბამისად (მაგ., კუბებით კოშკის აგებისას, როდესაც ხედავს, რომ ენგრევა, ცვლის კონსტრუქციას);

ა.დ.გ) ბავშვმა უნდა შეძლოს გამოცდილების ინტერპრეტაციის უნარის გამოვლენა, ჩაწვდეს მოვლენების მიზეზშედეგობრიობას, დაიწყოს კრიტიკული და სიმბოლოებით აზროვნება.

ინდიკატორები: ბავშვი ფიქრობს საგნებსა და მოვლენებზე წარმოსახვით, სიმბოლოებით. თამაშის დროს სათამაშოს იყენებს როგორც ნამდვილ, რეალურ საგანს (მაგ., საუბრობს სათამაშო ტელეფონით, როგორც ნამდვილით). აღწერს იმ საგანს ან პიროვნებას, რომელსაც იმ მომენტში ვერ ხედავს. ინტერესდება ზღაპრისა და ანიმაციური ფილმის გმირები ნამდვილად არსებობენ თუ არა. ზღაპრის ან ანიმაციური ფილმის გმირებს რეალურ ადამიანებთან აკავშირებს. გამოთქვამს ვარაუდს რაიმე სიტუაციასთან დაკავშირებულ შესაძლო შედეგზე (მაგ., ღამე, როდესაც შუქს ჩავაქრობ, დაბნელდება). ახდენს ინტერპრეტაციას – ხმამაღლა ფიქრობს და მსჯელობს მიმდინარე სიტუაციის, მოვლენის შესახებ. პრობლემის მოგვარებამდე, წინასწარ ცდილობს მოქმედების გააზრებას (მაგ., თუ კარგად მოვიქცევი, სახლში არ დამტოვებენ და სასეირნოდ მეც წამიყვანენ). აკვირდება უფროსებს და აღწერს თავის დაკვირვებას. აკვირდება ბუნების მოვლენებს (მაგ., სვამს კითხვას: (მაგ., „რატომ წვიმს?");

ა.ე) სფერო | დამოუკიდებლობა და ადაპტური ქცევის განვითარება

ა.ე.ა) ბავშვმა უნდა შეძლოს ინიციატივისა და დამოუკიდებლობის გამოვლენა.

ინდიკატორები: ბავშვი ითხოვს გარკვეული საქმიანობების დამოუკიდებლად კეთებას (მაგ., კვებას, ჩაცმას, იჩენს მაგიდის გაშლის სურვილს. დამოუკიდებლად მოიპოვებს მასალას თავისი ჩანაფიქრის განსახორციელებლად (მაგ., აპლიკაციის გასაკეთებლად იღებს ფერად ფურცლებს). მითითების გარეშე აბრუნებს ნივთებსა და მასალას თავის ადგილას. აკეთებს არჩევანს მაგ., დამოუკიდებლად წყვეტს, შემოთავაზებული მასალიდან რომელი გამოიყენოს (მაგ., პასტელებით ხატოს თუ ფანქრებით). შემოთავაზებული ორი საქმიანობიდან დამოუკიდებლად ირჩევს ერთ-ერთს. თამაშის დროს დამოუკიდებლად ირჩევს თავის როლს. ამუღავნებს ინიციატივას, გამოთქვამს თავის აზრს, რისი გაკეთება სურს. ირჩევს წიგნს და მიაქვს მზრუნველთან წასაკითხად. უერთდება უკვე დაწყებულ თამაშს და ეძებს საკუთარ როლს (ადგილს);

ა.ე.ბ) ბავშვმა უნდა შეძლოს პირადი ჰიგიენისა და თვითმომსახურების უნარ-ჩვევების გამოვლენა.

ინდიკატორები: კვების დროს იცავს ქცევის წესებს, ასუფთავებს მაგიდას, ამზადებს მარტივ საკვებს (ფცქვნის, ანაკუწებს, აცლის შეფუთვას და სხვა). დამოუკიდებლად იცვამს მზრუნველის მცირედი დახმარებით. დამოუკიდებლად სარგებლობს საპირფარეშოთი. დამოუკიდებლად იბანს, იხეხავს კბილებს და იმშრალებს ხელებს;

ა.ე.გ) ბავშვს უნდა გაუჩნდეს დაცულობის გრძნობა, შეეძლოს საჭიროების შემთხვევაში დახმარების თხოვნა, უნდა იცოდეს უსაფრთხოების წესები.

ინდიკატორები: ცნობს სახიფათო სიტუაციებს/ნივთებს. მზრუნველის დახმარებით იცავს უსაფრთხოების ძირითად წესებს. იცის სასწრაფო დახმარების ნომერი და რა შემთხვევაში უნდა გამოიყენოს. ნებისმიერი საფრთხის/დაშავების შემთხვევაში ატყობინებს უფროსს დახმარების საჭიროებას სიტყვიერად ან ჟესტებით. ერთვება ჯგუფურ თამაშებში, ასრულებს სხვადასხვა როლს (ლიდერის ან რიგითი მონაწილის). გამოხატავს ინტერესს სიახლის მიმართ, სვამს კითხვებს, ცდილობს საკუთარი თავის ახალ საქმეში გამოცდას;

ა.ე.დ) ბავშვმა უნდა შეძლოს საკუთარი ქცევა შეუსაბამოს არსებულ გარემოსა და ყოველდღიურ საქმიანობებს.

ინდიკატორები: ბავშვის მზრუნველის ხელმძღვანელობით იქცევა გარემოების შესაბამისად.
სვამს კითხვებს გარემოს შესახებ ან განსხვავებულად იქცევა, როცა ახალ გარემოში ხვდება. თავის ქცევას სხვადასხვა გარემოს უსადაგებს (მაღაზია, სპორტული მოედანი სათამაშო მოედანი და სხვა);

ბ) თემატური მიმართულებები:

ბ.ა) მიმართულება ხელოვნება

ბ.ა.ა) ბავშვმა უნდა გამოხატოს ინტერესი ვიზუალური ხელოვნებისადმი და გამოიყენოს თვითგამოხატვისთვის.

ინდიკატორები: სვამს შეკითხვებს ვიზუალური ხელოვნების ნამუშევრების შესახებ. ინტერესდება ნამუშევრის შინაარსით, სვამს კითხვებს, ან მარტივად აღწერს, რა არის ნახატზე გამოსახული. შთაბეჭდილებებს უზიარებს სხვებს/გარშემომყოფებს ვიზუალური ხელოვნების იმ ფორმების შესახებ, რომლებსაც თავის გარემოში ხვდება. ინტერესდება სხვადასხვა ქვეყნის, რეგიონისა და კულტურის ვიზუალური ხელოვნების ნიმუშებით (მაგ., ძველი ეგვიპტური, აფრიკული, შუა საუკუნეების ევროპული). იყენებს სხვადასხვა სამუშაო მასალას (მაგალითად, ფერებს სპონტანურად ურევს ერთმანეთში; ხატავს მარტივი მონასმენით; პლასტელინით ან თიხით იწყებს მარტივი ფორმების გამოძერწვას). აკვირდება ნაწარმოების შესრულების პროცესს და სვამს შეკითხვებს მისი მნიშვნელობის გასაგებად;

ბ.ა.ბ) ბავშვი ინტერესდება საშემსრულებლო ხელოვნებით და იყენებს მას თვითგამოხატვისთვის.

ინდიკატორები: ისმენს სიმღერას, უსმენს და უყურებს საბავშვო წარმოდგენას, ანიმაციურ ფილმს, თოჯინურ სპექტაკლს. ადამიანებს შთაბეჭდილებებს უზიარებს საშემსრულებლო ხელოვნების იმ სხვადასხვა ფორმის შესახებ, რომლებსაც თავის გარემოში ხვდება. მღერის 1) უნისონში სხვასთან ერთად; 2) ინსტრუმენტის თანხლებით; 3) დამოუკიდებლად საცნობი ფორმით (ღიღინით, წამღერებით და.ა.შ. ცვლის ნაცნობი სიმღერების ტექსტს ან მელოდიას, მონაწილეობს რიტმულ-ინტონაციურ იმპროვიზაციებში, თამაშობებში. გაითამაშებს რეალურსა და თავის გამოგონილ სიტუაციებს. მონაწილეობს მზრუნველის/აღმზრდელის მიერ მართულ თეატრალიზებულ თამაშებში;

ბ.ბ) მიმართულება წიგნიერება

ბ.ბ.ა) ბავშვი ინტერესდება და სიამოვნებას ღებულობს მხატვრული ნაწარმოებებით.

ინდიკატორები: განასხვავებს საბავშვო ლიტერატურის ძირითად ჟანრებს (მაგ., ლექსი, ზღაპარი, პროზა). შეუძლია გამოთქვას საკუთარი აზრი იმის შესახებ, მოთხრობის რომელი ნაწილი მოეწონა და რომელი - არა.
იცნობს წიგნის კონცეპტებს: ყდა, სათაური, ილუსტრაცია, ტექსტი, ავტორი. იცის როგორ დაიჭიროს წიგნი, როგორ გადაშალოს. აკეთებს წიგნის კითხვის იმიტაციას - ვითომ კითხულობს, უკითხავს თოჯინას. სიამოვნებით ათვალიერებს სხვადასხვა თემაზე შექმნილ წიგნებს.
აქვს გამორჩეული, საყვარელი წიგნები, იხსენებს სხვადასხვა პერსონაჟსა და მოქმედებას ნაცნობი წიგნებიდან. წარმოსახვითი თამაშისას იყენებს წიგნებს, ვითომ კითხულობს. იმახსოვრებს ფრაზებს საყვარელი ნაწარმოებებიდან. გამოთქვამს საკუთარ აზრს იმის შესახებ, მოთხრობის რომელი ნაწილი მოეწონა და რომელი - არა.
მონაწილეობს საყვარელი ამბის მოყოლაში, ამატებს სიტყვებს, აკეთებს კომენტარებს. იყენებს წიგნიდან მიღებულ შთაბეჭდილებებს რუტინული საქმიანობების და სხვადასხვა ტიპის თამაშებისას. დამოუკიდებლად იგონებს მარტივ ამბავს და შეუძლია მისი ილუსტრირება ან მზრუნველს სთხოვს მის ჩაწერას. ასრულებს მარტივ ფონემური ცნობიერების განსავითარებელ სავარჯიშოებს.
აკეთებს წერის იმიტაციას – ვითომ წერს, ცდილობს მოხაზოს ასო. აღმზრდელის დახმარებით ქმნის საკუთარ წიგნს;

ბ.გ.ა) ბავშვმა უნდა შეძლოს ფიზიკურ აქტივობებში მონაწილეობის მიღება, პირადი ჰიგიენის დაცვა, გაეცნოს სწორად კვების მნიშვნელობას, ჯანსაღი ცხოვრების წესის რაობასა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ უსაფრთხოების წესებს.

ინდიკატორები: ბავშვი მონაწილეობს მზრუნველის მიერ მართულ ფიზიკურად აქტიურ საქმიანობაში. იცის, ვინ ემსახურება მის ჯანმრთელობას (მაგ., კბილის ექიმი, ექთანი, პედიატრი). საუბრობს ჯანსაღ ქცევებზე, მათ შორის ჰიგიენასთან, კვებასთან, ძილთან, ავადმყოფობასთან, ფიზიკურ აქტივობასთან დაკავშირებით. ასახელებს ჯანსაღი ქცევების მაგალითებს (მაგ., საუბრობს წამლის მოხმარებაზე და მასთან დაკავშირებულ უსაფრთხოებაზე, ბაქტერიებზე). არჩევს ჯანსაღ ქცევას არაჯანსაღისაგან.

ერთვება სხვადასხვა ტიპის თამაშებში, რომლებიც ეხება სხეულის ნაწილებსა და/ან შინაგან ორგანოებს. იცის, რომ აქვს შინაგანი ორგანოები (მაგ., გული, ფილტვები და სხვა). ერთვება საუბარში სხეულის ნაწილებისა და შინაგანი ორგანოების დანიშნულებაზე.

ბავშვი მზრუნველის დახმარებით იცავს პირად ჰიგიენას – იბანს ხელებს, ბანაობს, იწმენდს კბილებს, ივარცხნის თმებს, იცვამს ტანსაცმელს, ზრუნავს ტანსაცმლისა და პირადი ნივთების სისუფთავეზე. სარგებლობს საპირფარეშოთი. ჩამოთვლის პირადი ჰიგიენის ნივთებს: საპონი, კბილის პასტა, პირსახოცი, სავარცხელი და სხვა

ბავშვი მზრუნველის დახმარებით ეცნობა კვებასთან დაკავშირებულ საკითხებს – რა უნდა ჭამოს (ხილი, ბოსტნეული, ტკბილეული, წყალი, გაზიანი სასმელები და სხვა) და როგორ უნდა მოიქცეს ჯანმრთელი რომ იყოს. ბავშვი აჩვენებს ფოტოზე ან ასახელებს სხეულის რამდენიმე ნაწილს, რომელიც საკვების მიღების პროცესში იღებს მონაწილეობს (მაგ., პირი, კბილები, ხელები, საყლაპავი და სხვ).

ბავშვის მზრუნველის დახმარებით ეცნობა ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ უსაფრთხოების წესებს - რა საფრთხეები არსებობს და როგორ აიცილოს თავიდან. იცის რას იწვევს დაბინძურებული საკვების, წყლის მიღება. მზრუნველის დახმარებით ეცნობა შინაური ცხოველების მოვლის წესებს, საშუალებებსა და მათთან ურთიერთობის უსაფრთხოების წესებს. იცის მაგიდასთან ქცევის წესები. იცის მავნე ჩვევებს (მაგ., ფრჩხილების კვნეტას), რა ზიანი მოაქვს ჯანმრთელობისთვის. იცის და იცავს ქუჩაში მოძრაობის წესებს;

ბ.გ.ბ) ბავშვმა უნდა შეძლოს ბუნებაზე დაკვირვებით აღმოჩენების გაკეთება.

ინდიკატორები: ბავშვი მრავალფეროვან ბუნებრივ მასალას აღმოაჩენს შეხებით. ამინდის მოვლენების გასააზრებლად იყენებს შეგრძნებებს – მზეზე ცხელა, წვიმა ასველებს და სხვა. თამაშობს ბუნებრივი მასალით და აკვირდება მზეს და ღრუბლებს. იცის ბუნების ელემენტებისა და მათი მახასიათებლების გამომხატველი სიტყვები – წყალი, ქვა, ქვიშა, მზე, თოვლი, წვიმა, ღრუბელი, ცივი, ცხელი, თბილი, სველი, მშრალი და ა.შ. აკვირდება ცოცხალ არსებებს ბუნებაში, მონაწილეობს ცხოველის ან/და მცენარის მოვლაში. მზრუნველის დახმარებით სწავლობს გარემოზე ზრუნვას – იცის, სად არის ნაგვის ყუთი და სად უნდა ჩაყაროს ნაგავი. ცდილობს დაახარისხოს განმეორებით გამოყენებადი და გადასაგდები ნაგავი.

იცის, რომ ადამიანებს სჭირდებათ (მაგ., საკვები, წყალი, თავშესაფარი, ტანსაცმელი).

მზრუნველის დახმარებით ეცნობა ცოცხალ და არაცოცხალ ბუნებასთან დაკავშირებულ საფრთხეებსა და მათთან დაკავშირებულ უსაფრთხოების წესებს. (მაგ., ბუნებრივ კატასტროფებთან დაკავშირებულ რისკებს, ამინდთან დაკავშირებულ რისკებს – რუჯი, კიდურების მოყინვა და სხვა) ამოიცნობს და ერიდება მის გარემოში არსებულ სახიფათო მწერებსა და ცხოველებს.

აინტერესებს ბუნება და მისი მოვლენები და სვამს კითხვებს მეტი ინფორმაციის გასაგებად (მაგ., რაში გამოიყენება წყალი, როგორი ფოთლები არსებობს და სხვა). ასახელებს შინაურ და გარეულ ცხოველებს, ფრინველებს, ხილსა და ბოსტნეულს; ამჩნევს და სვამს შეკითხვებს ცხოველების, მცენარეების ზრდისა და ცვლილებების შესახებ, ასევე შეუძლია მარტივად მოჰყვეს, თუ როგორ იზრდება და იცვლება მცენარე, ცხოველი. არაცოცხალ და ცოცხალ ბუნებას აკვირდება და შეისწავლის ჩანახატებისა და სურათების შეგროვებით და სხვებსაც უზიარებს.

საუბრობს წელიწადის დროებზე და აღწერს მათთვის დამახასიათებელ ამინდს შესაბამისი სიტყვების გამოყენებით (მაგ., მზიანი, წვიმიანი, თოვლიანი).

ზრუნავს გარემოზე, ცნობს და ყურადღებას აქცევს იმ საგნებსა და მოვლენებს, რომლებიც გარემოს აბინძურებს ან აზიანებს (მაგ., კვამლს, გადაყრილ მინის ტარას, პლასტიკატს).

ადამიანის ქმედებებიდან, განასხვავებს, რომელია გარემოსთვის უსაფრთხო და რომელი – საფრთხის შემცველი (მაგ., ნაგვის დაყრა აზიანებს მცენარეებს; მოვლა ხელს უწყობს ზრდას);

ბ.გ.გ) ბავშვი ინტერესდება საგნებისა და მოვლენების ფიზიკური მახასიათებლებით.

ინდიკატორები: ბავშვი თამაშობს სხვადასხვა ბუნებრივი ნივთიერებით: ქვიშით, კენჭებით, ქვებით, წყლით. თამაშის დროს იყენებს მარტივ ხელსაწყოებს: ნიჩაბს, ძაბრს, სხვადსხვა ზომის ჭურჭელს და სხვა. თამაშისას საკუთარი შეგრძნებებით აღმოაჩენს ნივთიერებებისა და საგნების ფიზიკურ მახასიათებლებს მაგ., ქვიშა მსუბუქია, ქვა მძიმეა და სხვა. ბავშვი ცდისა და აღმოჩენის გზით, მაგალითად, ნივთიერებების შერევით იღებს ახალ ნაერთს. ბავშვი საგნის დასახასიათებლად იყენებს შესაბამის სიტყვებს – სწრაფი, ნელი, წინ, უკან. საუბრობს საგნების გადაადგილების შესახებ.

იცის, რომ ნივთიერება შეიძლება არსებობდეს მყარ, თხევად და აირად მდგომარეობაში. პროგნოზირებს, რა მოხდება მარტივი ექსპერიმენტის ჩატარებისას (მაგ., თუ ყინულს გავალღობთ, ან წყალს გავყინავთ). ფიზიკურ მოვლენებზე დაკვირვებისას უზიარებს ადამიანებს საკუთარ „აღმოჩენებს“, ინტერესდება მათი აზრით და ადარებს საკუთარს (მაგ., ეუბნება უფროსს: „წვიმის შემდეგ ცისარტყელა ჩნდება. ინტერესდება მასაც თუ დაუნახავს);

ბ.გ.დ) ბავშვი ინტერესდება და ეცნობა მის გარშემო არსებულ სივრცეს, საკუთარი ცხოვრებისეული მოვლენების მიმდინარეობას დროსთან მიმართებაში, სხვადასხვა კულტურას, ტრადიციებს.

ინდიკატორები: ბავშვმა იცის იმ ქალაქისა თუ სოფლის, ქუჩის სახელი, სახლის ნომერი, სადაც ცხოვრობს. სამეზობლოში ამოიცნობს ნაცნობ ადგილებს. იცის საბავშვო ბაღის გზა. ჩამოთვლის ტრანსპორტის სახეობებს. იცის ბუნებაში და ისტორიულ ადგილებში მარტივი ქცევისა და უსაფრთხოების წესები; ამოიცნობს მარტივ საგზაო ნიშნებს.

ბავშვს შეუძლია გაიაზროს საკუთარი ცხოვრებისეული მოვლენების მიმდინარეობა დროსთან მიმართებაში, მაგალითად, ერთმანეთს უკავშირებს ძველ და ახალ მოვლენებს. თანამიმდევრულად აღწერს რომელიმე მარტივი ამბის ან მოვლენის მიმდინარეობას, დაბადების დღემდე ქრონოლოგიურად ალაგებს საკუთარ ფოტოებს, ქრონოლოგიურად ჩამოთვლის დღის რეჟიმის აქტივობებს, მაგალითად, დილა იწყება დილის შეხვედრით (დილის წრე), სადილის შემდეგ წიგნის კითხვის დროა და სხვა.

ბავშვი ინტერესდება სხვა ბავშვების ეთნიკური და კულტურული წარმომავლობით და სხვა ერების ლეგენდებით, ზღაპრებით, სიმღერებითა და ტრადიციებით. ცნობს ეროვნულ მუსიკას, ცეკვას, საკვებს, ჩაცმულობას. მონაწილეობს ეროვნულ-ტრადიციულ დღესასწაულებში.

იცის საკუთარი ოჯახის ისტორია (ცნობს ოჯახის წევრებს სურათზე, იცის მათი პროფესიები, ხატავს ოჯახურ პორტრეტებს);

ბ.გ.ე) ბავშვს უნდა განუვითარდეს თავდაჯერებულობა და პასუხისმგებლობა, გაუჩნდეს სურვილი დაამყაროს კარგი ურთიერთობები თანატოლებთან, ოჯახის წევრებთან, მასზე მზრუნველ ადამიანებთან.

ინდიკატორები: ბავშვი ამოიცნობს რა მოსწონს და რა არ მოსწონს, უზიარებს მზრუნველს, თანატოლს საკუთარ შეხედულებებს იმის შესახებ, თუ რა მოსწონს და რა არა, რა არის სწორი და არასწორი, რა უხარია და რა სწყინს (მაგ., უხარია, როცა ეთამაშებიან, სწყინს, როცა გარიყავენ, უბრაზდებიან), ამოიცნობს რისი გაკეთება შეუძლია და სიამოვნებს. ბავშვი ამოიცნობს და ჩამოთვლის გრძნობებს, როდის არის ბედნიერი, გახარებული, მოწყენილი, შეშინებული, გაბრაზებული. ბავშვი ასახელებს საკუთარ პასუხისმგებლობებს ოჯახში (მაგ., საკუთარი სათამაშოების დალაგება და სხვა), საბავშვო ბაღში (დაიცვას ჯგუფის წესები).

ბავშვი ამოიცნობს, თუ როგორ მოქმედებს მისი საქციელი სხვაზე. როდის გრძნობს კარგად და ბედნიერად თავს. სხვებიც როდის გრძნობენ თავს კარგად და ბედნიერად. იცის, რომ სხვის გრძნობებს პატივი უნდა სცეს. მაგალითად, უნდა ამოიცნობს, თუ როგორ გრძნობენ თავს, როდესაც მას არ ეთამაშებიან? საუბრობს, რა ეწყინათ თანატოლებისგან, უფროსებისგან. იციან თანამშრომლობის მარტივი წესები (მაგ., იციან, რომ უნდა მოუსმინოს მზრუნველს, თანატოლს, რათა თამაშისა და საქმიანობის დროს კარგად ითანამშრომლონ). აღმოაჩენენ განსხვავებასა და მსგავსებას გარეგნობაში (ზოგს ღია ფერის თმა აქვს, ზოგს მუქი), ვის რა აინტერესებს (ზოგს ბურთის თამაში მოსწონს, ზოგს ქვიშაში და სხვა) ტოლერანტული დამოკიდებულება უჩნდებათ განსხვავებული კულტურისა და ეროვნების ადამიანების მიმართ. იციან, რომ ოჯახის წევრებმა და მეგობრებმა უნდა იზრუნონ ერთმანეთზე, უფროსების დახმარებით აღმოაჩენენ თავიანთ როლს და პასუხისმგებლობებს ოჯახში. იწყებენ მარტივი საქმიანობების უფროსის დახმარებით კეთებას. იწყებენ კარგი მეგობრისთვის დამახასიათებელი თვისებების გააზრებას.

ბავშვი ამოიცნობს ჩაგვრის (ბულინგის) შემთხვევებს, მაგ., თამაშის დროს გარიყვას. მზრუნველის დახმარებით სწავლობს როგორ უნდა მოიქცეს მსგავს შემთხვევებში;

ბ.გ.ვ) ბავშვმა უნდა შეძლოს მოქალაქეობასთან დაკავშირებული საკითხების გამოყენება

ინდიკატორები: ბავშვი ასრულებს მარტივ მითითებებს და დამკვიდრებულ ყოველდღიურ რუტინას. უსმენს უფროსს, მზრუნველის დახმარებით შეიმუშავებს საზოგადოებაში ქცევის მარტივ წესებს და იცავს მათ. იცის, რომ სხვადასხვა ადგილას სხვადასხვა წესი მოქმედებს (მაგ., თეატრში, საბავშვო ბაღში, ოჯახში და სხვა).იცის საზოგადოებში ქცევის მარტივი წესები: მისალმება, გამომშვიდობება, მადლობის გადახდა, ბოდიშის მოხდა, მოსმენა, იცის, რომ ხმამაღალი საუბარი მიუღებელია, მაგიდასთან ქცევის წესები, როგორ უნდა მოიქცეს სტუმრად, ქუჩაში, მაღაზიაში, თოჯინების თეატრში, მუზეუმში. იცის, რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს წესების დარღვევას. ესმის რამდენად მნიშვნელოვანია წესების შექმნა და დაცვა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

იცის, რომ ის არის ბაღის ჯგუფისა და ოჯახის წევრი. იცის, რომ ოჯახის წევრები, ბაღში აღმზრდელები ზრუნავენ მასზე, თავადაც ზრუნავს საკუთარ ნივთებზე, გარემოზე (მაგ., იცის, რომ არ უნდა დააბინძუროს ეზო, სათამაშო მოედანი, პარკი) ზრუნავს ახლობლებზე. იცის, რომ თავად უნდა მიიღოს მონაწილეობა გარკვეულ საქმიანობებში. იღებს პასუხისმგებლობას რუტინულ საქმიანობებზე, აკეთებს არჩევანს მაგ., რომელი სათამაშოთი ითამაშოს. ამოიცნობს ოჯახის წევრების საქმიანობებს. იყენებს სხვადასხვა პროფესიის რეკვიზიტებს. იცის, რომ საყიდლებისთვის და სხვა მომსახურებისთვის საჭიროა ფული. იაზრებს, როგორ უნდა გამოიყენოს ფული. ასახელებს ფულის ერთეულს (ლარი, თეთრი). იცის, სად უნდა შეინახოს უსაფრთხოდ ფული. იცის, როგორ დაზოგოს და გამოიყენოს ჯიბის ფული (ყულაბა, საჩუქრის ყიდვა და სხვა).

გაცნობიერებული აქვს, რომ ყურადღებით მოსმენა ეხმარება ურთიერთობაში, პატივს სცემს სხვა ადამიანის შეხედულებებს. გაცნობიერებული აქვს ჯგუფსა და ოჯახში საქმიანობებში მონაწილეობის მიღების მნიშვნელობა, აღმოაჩენს, რა ახდენს გავლენას არჩევანის გაკეთებასა და გადაწყვეტილების მიღებაზე, იცის განსხვავება, რა არის სწორი და არასწორი, იცის გადაწყვეტილების მიღების მარტივი ტექნიკები (გზები); იცის, რომ ადამიანებსა და სხვა ცოცხალ არსებებს აქვთ საჭიროებები და მოთხოვნილებები. ეცნობა საკუთარ საჭიროებებსა და მოთხოვნილებებს, ცდილობს გაიგოს განსხვავება, რა სჭირდება და რა უნდა. აცნობიერებს სხვისი დახმარების მნიშვნელობას.

გამომუშავებული აქვს შრომის ჩვევები მაგ., მაგიდის ალაგება, ოჯახის წევრების დახმარება სხვადასხვა საქმიანობის დროს.

აღმოაჩენს, რა აყენებს ზიანს ლოკალურ გარემოს, ბუნებას, და უფროსის დახმარებით ცდილობს დასახოს პრობლემის გადაჭრის მარტივი გზები. ცდილობს მონაწილეობა მიიღოს ჯგუფის, საბავშვო ბაღის გარემოს მოვლაზე.

ცნობს სახელმწიფო დროშასა და სახელმწიფო ჰიმნს. მონაწილეობს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და აცნობიერებს თავის როლს/პასუხისმგებლობას ჯგუფში. ავლენს ლიდერობის/წამყვანობის სურვილს საქმიანობაში ან მზრუნველს სთავაზობს დახმარებას;

ბ.გ.ზ) ბავშვმა უნდა შეძლოს მარტივი მათემატიკური უნარების გამოყენება.

ინდიკატორები: ინდიკატორები: ბავშვს შეუძლია საგნების ელემენტარული ნიშნით დაჯგუფება, გროვიდან საგნის ამორჩევა, საგნების ერთი ნიშნით დახარისხება. ფიგურების ფორმის მიხედვით დალაგება, განასხვავებს ცნებებს ერთი, ბევრი, იყენებს სიტყვას – მეტი. ესმის ცნებები – ყველა, არცერთი. შეუძლია დაითვალოს ხუთამდე. იყენებს სიტყვას – მეტი. ესმის ცნებები – ყველა, არცერთი. განასხვავებს ასოებს ციფრებისაგან. იცის, რომ რიცხვი აღნიშნავს რაოდენობას (მაგ., იღებს იმდენ ვაშლს, რამდენსაც სთხოვენ). აკავშირებს რიცხვს საგნის რაოდენობასთან.

შეუძლია საგნების ზომის მიხედვით გარჩევა, მაგ., მოთხოვნის მიხედვით ორ ერთნაირ საგანს შორის ამოირჩევს უფრო დიდს ან უფრო პატარას.

იყენებს ზომის აღმნიშვნელ სიტყვებს – დიდი და პატარა. ადეკვატურად იყენებს სიგრძისა და წონის აღმნიშვნელ სიტყვებს (გრძელი, მოკლე, მძიმე და მსუბუქი). ახარისხებს საგნებს ერთი ნიშნის (ფერი, ზომა, ფორმა) მიხედვით ორ ან მეტ ჯგუფად. ახარისხებს საგნებს სხვადასხვა ნიშნის მიხედვით, ხსნის რატომ. ამოიცნობს და ასახელებს სამ ფორმას (მაგ., ოთხკუთხედი, სამკუთხედი, წრე). ამოიცნობს და გეომეტრიული სახელწოდებით მოიხსენიებს რამდენიმე სამგანზომილებიან ფორმას (მაგ., სფერო, კუბი, ცილინდრი, პირამიდა).

ბავშვს შეუძლია გაარკვიოს, რომ სიმრავლის ელემენტების ყოველ რაოდენობას (არაუმეტეს ხუთისა) შეესაბამება გარკვეული სახელწოდება. ზომის, ფერისა და გვარობის მიუხედავად, ერთ საგანს შეესაბამება გარკვეული სიტყვა ანუ სახელწოდება – ერთი. ორი საგანის აღსანიშნავად ხმარობს ტერმინს ორი და ა.შ. ბავშვს შეუძლია შეამჩნიოს თანადობა (მაგ., ამჩნევს, რომ ერთ მხარეს იმდენი საგანია, რამდენიც მეორე მხარეს, ე.ი. ერთნაირი და/ან ტოლი რაოდენობაა. შემდგომ ერთ მხარეს „აღმოჩნდება“ იმდენი საგანი, რამდენიც მეორე მხარეს და კიდევ ამდენით მეტი ან ნაკლები).

ბავშვი ერკვევა სივრცითი ფიგურების (კუბი, ბირთვი, ცილინდრი, კონუსი და პირამიდა) სახელწოდებაში, მათ მრგვალობაში, კუთხოვნობასა და გაგორებადობის ხარისხში. ბრტყელ გეომეტრიული ფიგურებს – სამკუთხედს, ოთხკუთხედისა და წრის კონტურებს გრაფიკულად გამოსახავს – ეზოში, იატაკზე ან სხვა ბრტყელ ზედაპირზე.
ბავშვი ამჟღავნებს სივრცითი წარმოდგენების ცოდნას – წინ, უკან, ზევით, ქვევით, მარჯვნივ, მარცხნივ, შუაში.
ერკვევა დღე-ღამის ისეთ მონაკვეთებზე, როგორიცაა დილა, შუადღე, საღამო, დღე, ღამე. შეუძლია წელიწადის დროებთან დაკავშირებული ქცევების ჩამოთვლა;

გ.გ.თ) ბავშვმა უნდა შეძლოს ტექნიკის შესაბამისი დანიშნულებით გამოყენება.

ინდიკატორები: ინდიკატორები: ბავშვს შეუძლია მარტივი ტექნიკის გამოყენება. ასახელებს ან მიუთითებს ტექნიკაზე (მაგ., ტელეფონი, ტელევიზორი, მობილური და სხვა). მიზნობრივად იყენებს მარტივ ინსტრუმენტებს. საუბრობს და კითხვებს სვამს სპეციფიკური ინსტრუმენტებისა და მანქანების, ასევე მათი დანიშნულების შესახებ (მაგ., სამედიცინო, სამშენებლო, სამეცნიერო). ბავშვი შესაბამისი დანიშნულებით იყენებს ტექნიკას. შეუძლია მარტივი ტექნიკის გამოყენება. ასახელებს ტექნიკას გამოყენების ან ჩვენების დროს (მაგ., ტელეფონი, ტელევიზორი, მობილური და სხვა) და საუბრობს თავის გამოცდილებაზე. იყენებს ტელეფონს ახლობელ ადამიანებთან სასაუბროდ და ტელევიზორს, მუსიკალურ ცენტრს ელემენტარულ დონეზე (მაგ., ხმის აწევ-დაწევა).
ემორჩილება შემუშავებულ წესებს ტექნიკის გამოყენებისას. მიზნობრივად იყენებს სხვადასხვა ტიპის ტექნიკას (მაგ., პულტი, ტელევიზორი, კომპიუტერი.). იცის, რომ შესაძლებელია ტექნოლოგიების გამოყენება ინფორმაციის მოსაპოვებლად; ინტერესით უყურებს მზრუნველს, როდესაც ის ეძებს მისთვის სასურველ ინფორმაციას ინტერნეტში.
საუბრობს მანქანების მრავალფეროვნებაზე, რომელიც გამოყენებულია სხვადასხვა პროფესიაში (სახანძრო, სასწრაფო, სატვირთო მანქანა, თვითმფრინავი, გემი და სხვა). სახელოსნოში უფროსის ზედამხედველობის ქვეშ იყენებს სხვადასხვა სამშენებლო იარაღს (მაგ., სახრახნისს, ჩაქუჩსა და ლურსმანს). იცის ტექნიკის გამოყენებასთან დაკავშირებული უსაფრთხოების წესები.

2. 3-დან 4 წლამდე და 4-დან 5 წლამდე ბავშვის აღზრდის სტანდარტი:

ა) ბავშვის განვითარების სფეროები:

ა.ა) ბავშვის განვითარების სფერო – ფიზიკური და სენსორული განვითარება:

ა.ა.ა) ბავშვი აკონტროლებს სხეულის მოძრაობას, მოძრაობს მიზანმიმართულად, კოორდინირებულად და ინარჩუნებს წონასწორობას:

დგომა	ბურთს ფეხს ურტყამს.	ერთი წამის განმავლობაში დამოუკიდებლად დგება ცალ ფეხზე.	ცალ ფეხზე დგომისას იცავს წონასწორობას დოინჯით.	ფეხს ურტყამს მისი მიმართულებით მოძრავ დიდი ზომის ბურთს.	ზურგზე წოლის შემდეგ ადგომისას წონასწორობას არ კარგავს.
სიარული	თამაშის მიზნით დადის ფეხის წვერებზე.	თავს არიდებს დაბრკოლებებს (მაგ.,გვერდს უვლის ან გადააბიჯებს).		დადის 6 მეტრი დიამეტრის წრეზე.	სიარულის დროს თან დააქვს დიდი ზომის ნივთები, რომლებიც იატაკის მხედველობას უბლოკავს.
სირბილი	დარბის ფეხის წვერებზე.	სირბილისას კუთხეებში მკვეთრად უხვევს.		სირბილისას მიმართულებას იცვლის გაჩერების გარეშე.	დარბის „ჭენებ-ჭენებით“.
კიბეზე ასვლა-ჩასვლა	კიბეზე ადის ფეხის მონაცვლეობით, მზრუნველის ან კიბის მოაჯირის დახმარებით.	კიბეზე ჩამოდის ფეხის მონაცვლეობით, მზრუნველის ან კიბის მოაჯირის დახმარებით.		კიბეებზე ფეხის მონაცვლეობით დამოუკიდებლად ადის.	კიბეზე ფეხის მონაცვლეობით დამოუკიდებლად, მოაჯირის გამოუყენებლად ჩამოდის.
ველოსიპედი	სამთვლიან ველოსიპედს ატარებს სატერფულების გამოყენებით.			სამთვლიან ველოსიპედს ატარებს დაბრკოლებებში, უხვევს, აჩერებს და ძრავს.	
ხტომა	ახტება დაბალ დაბრკოლებას.	ხტება კიბის ქვედა საფეხურიდან.	აბამს ნახტომებს ორივე ფეხით ხტომისას.	ხტება ადგილზე ფეხის მონაცვლეობით.	წინ ხტება დაუხმარებლად (რომელიმე ფეხი წამყვანია).
ძრომა	სავარჯიშო კიბეზე ძვრება და ხტება ქვედა საფეხურიდან.		კოტრიალობს წინ მიმართულებით.		ძელზე ხელების მოჭიდებით ეკიდება.
სროლა და დაჭერა	გაჩერებულ მდგომარეობაში მყოფი მკერდზე მიკრობით იჭერს დიდი ზომის ბურთს.		ბურთს ისვრის თავზე გადატარებით.		იატაკს ურტყამს დიდი ზომის ბურთს და ასხლეტილს იჭერს;

ა.ა.ბ) ბავშვი აკონტროლებს და კოორდინირებულად იყენებს სხეულის წვრილ კუნთებს:

საგნებიმანიპულირება	ნატიფი მოძრაობები	ფანქარს იჭერს შუა თითზე დაყრდნობით, ცერა და საჩვენებელ თითებს შორის.			
	ხელების შეთანხმებული მოძრაობები	ხსნის პატარა შეფუთულ ნივთს.	ფანქარს ავლებს შიგნიდან ამოჭრილ ფორმებს.	ერთმანეთზე ამაგრებს ხრახნიან საგნებს.	
	კუბები და ფაზლი	3 კუბით აშენებს ხიდს (ნიმუშის მიხედვით).	აწყობს მარტივ ფაზლს (სამნაწილიან სწორ ხაზს ან ჩასასმელ ფაზლს).	დემონსტრირების შემდეგ იმეორებს ორგანზომილებიან კონსტრუქციებს.	აწყობს მარტივ სურათს, ან 8-10 ნაწილისაგან შემდგარ ფაზლსა და მოზაიკას.
ფანქრის და ხელის	მაკრატელი	ჭრის სწორ ხაზზე, ჩაჭრის განცალკევებული მოძრაობებით.	ნახაზის მიხედვით ჭრის წრეებსა და დაკლაკნილ ხაზებს.	დამოუკიდებლად გამოჭრის პატარა ოთხკუთხედებსა და სამკუთხედებს.	
	ხატვა	ხატავს პირველ განზრახულ მონახაზს ან სპონტანურ ფორმებს (თითქოს ნახატს ხატავდეს ან წერდეს).	წრეს ხატავს ფანქრით, ძერწავს და იხატავს.	ოთხკუთხედს ფანქრით ხატავს, ძერწავს და იხატავს.	დომინანტური ხელით შეუძლია მეორე ხელის ირგვლივ კონტურის შემოვლება.
	მძივების აცმა	თოკზე ასხამს საშუალო ზომის მძივებს.	თოკზე აცვამს პატარა ზომის მძივებს, კუბებს, ცილინდრებს მარტივი ფორმის ნიმუშის მიხედვით.	პატარა მძივებს აცვამს ნიმუშის მიხედვით ფერისა და ფორმის მონაცვლეობის დაცვით;	

ა.ა.გ) ბავშვი გრძნობათა ორგანოებს (მხედველობას, სმენას, შეხებას, გემოვნებას, ყნოსვას) საკუთარი მოძრაობის გასაკონტროლებლად გამოიყენებს:

სმენა და მხედველობა	სიამოვნებს, წიგნს რომ უკითხავენ და დამოუკიდებლად ათვალიერებს.			ტაშით იმეორებს მარტივ რიტმებს.		
შეხება და გემო	ნაცნობ ნივთებს შეხებით ცნობს.	მსგავს საგნებს: ცხელს/ცივს, სველს/მშრალს არჩევს ხელის შეხებით.	მსგავს საგნებს: პრიალას/ ხორკლიანს; წებოვანს/ არა წებოვანს; გრძელს/ მოკლეს არჩევს ხელის შეხებით.	მსგავს საგნებს: მკვრივს/რბილს, წვრილი/ მსხვილი არჩევს ხელის შეხებით.	მსგავს საგნებს: მრგვალსა და კუთხოვანს, , ასევე მსუბუქსა და მძიმეს არჩევს ხელის შეხებით.	ნივთებს ამოიცნობს შეხებით.
ყნოსვა	ყნოსვის შეგრძნებას იყენებს საგნების და მასალის იდენტიფიკაციისა და დიფერენცირებისთვის (მაგ., როდესაც გრძნობს შემწვარი კარტოფილის სუნს, ამბობს, რომ ეს შემწვარი კარტოფილის სუნია).					
კინესთეტიკა	სივრცეში კოორდინირებულად, დაბრკოლებების წინასწარი შემჩნევითა და თავის არიდებით გადაადგილდება (მაგ., შემოუვლის მაგიდას ან რაიმე სხვა საგანს, თუ ეს საგანი მას გზაზე ეღობება).			უსმენს მუსიკას და ცდილობს მის რიტმში მოძრაობას;		

ა.ბ) ბავშვის განვითარების სფერო სოციალურ-ემოციური განვითარება:

ა.ბ.ა) ბავშვი ამჟღავნებს ცოდნას და რწმენას საკუთარი თავისა და შესაძლებლობების მიმართ:

<table>
<tr><td rowspan="2">მიჯაჭვულობა</td><td>საყვარელი ადამიანების მიმართ მესაკუთრის დამოკიდებულება აქვს (მაგ., სიტყვიერად გამოხატავს „დედიკო ჩემია“).</td><td>გამოხატავს მზაობას მზრუნველის გარეშე დაკავდეს ახალი საქმიანობებით.</td><td>ასრულებს ინსტრუქციას და ემორჩილება ავტორიტეტულ ფიგურას (მაგ., მშობელს, აღმზრდელ-პედაგოგს, აღმზრდელს, ძიძას და სხვა).</td><td>საქმიანობს ახალგაცნობილი ადამიანის თანდასწრებით ან მასთან ერთად.</td><td>დამოუკიდებლად ცდის ახალ საქმიანობებს.</td></tr>
<tr><td colspan="3">ნაცნობ გარემოში იოლად ეგუება მზრუნველთან განშორებას</td><td colspan="2">ახლობელ მზრუნველებს ძლიერი შფოთვის გამოუმჟღავნებლად შორდება.</td></tr>
<tr><td>თვით-იდენტობა</td><td>იცის საკუთარი, ოჯახის წევრების, აღმზრდელებისა და რამდენიმე თანატოლის სახელი.</td><td>საკუთარ თავს სახელითა და გვარით მოიხსენიებს.</td><td>აღწერს საკუთარ ძირითად ფიზიკურ მახასიათებლებს (გარეგნობას).</td><td>იცის იმ ადგილის სახელი (ქალაქი, სოფელი), სადაც ცხოვრობს.</td><td>აღწერს ოჯახს და ესმის, რომ მისი წევრები გარკვეულ ერთობას ქმნიან.</td><td>საკუთარ თავს ახასიათებს, როგორც პიროვნებას, რომელსაც აქვს აზრები, სხეული და შეგრძნებები.</td></tr>
<tr><td>ინიციატივა</td><td colspan="2">აკეთებს არჩევანს, რა ტანსაცმელი ჩაიცვას, რა ითამაშოს.</td><td colspan="2">ირჩევს ინდივიდუალურ საქმიანობას (მაგალითად, ხატავს ან თავსატეხს აწყობს).</td><td colspan="2">მზრუნველს აძლევს საშუალებას, რომ ამოცანის შესრულებაში დაეხმაროს.
მზრუნველს სთხოვს დახმარებას.</td></tr>
<tr><td>კომპეტენ-ტურობა</td><td>აღიარებს საკუთარ მიღწევებს. გამოხატავს სიხარულს და უზიარებს სხვებს (მაგ., მზრუნველს აჩვენებს შესრულებულ ნამუშევარს- „შეხედე, რა გავაკეთე“).</td><td>ცდილობს იზრუნოს საკუთარ თავზე.</td><td>ცდის და ამოწმებს საკუთარ თავს, შესწევს თუ არა უნარი ახალი მოქმედებების განსახორცი-ელებლად, ასევე იქცევა შეზღუდვების მიმართ, აინტერესებს და ცდილობს გაარკვიოს, სად გადის მისი შესაძლებლობების ზღვარი.</td><td>გამოხატავს სიხარულს ახალი უნარ-ჩვევის დაუფლების გამო (მაგ., ამბობს: „უკვე შემიძლია ჩემით ვიქანაო საქანელაზე!“).</td><td>ამჟღავნებს თავისი შესაძლე ბლობების ცოდნას (მაგ., ამბობს: „მე შემიძლია სასრიალოს წვერზე ავცოცდე“).</td><td>სიფრთხილეს იჩენს საგნებით მანიპული-რებისას, კარგად ესმის მათი დანიშნულება და იცის გამოყენება;</td></tr>
</table>

ა.ბ.ბ) ბავშვი ამჟღავნებს ემოციურ კომპეტენციებს:

ემოციების გაგება	ამჩნევს და ასახელებს სხვების ემოციებს (მაგ., სიხარულს, შიშს, მოწყენილობას).		ამჟღავნებს ცნობისმოყვარეობას, როდესაც სხვა ბავშვი ნაწყენია.	სხვების განცდების სწორად გაგებისა და შესაბამისად გამოხმაურებისთვის იყენებს დრამატულ თამაშს.	აღწერს შემთხვევას, როდესაც მისმა ქცევამ სხვისი ემოცია განაპირობა (მაგ., ლუკას ეწყინა, როდესაც უარი ვუთხარი დაჭერობანას თამაშზე).
ემოციების გამოხატვა	ასახელებს რამდენიმე გრძნობას, როგორიცაა: სიხარული, წყენა, შიში.		თავის მსჯელობასა და გამოხატულ ემოციას სახის გამომეტყველებას უსადაგებს.	ასახელებს და საუბრობს საკუთარი გრძნობებისა და განცდების შესახებ.	
ემოციების და ქცევის მართვა	ეძებს მზრუნველის მხარდაჭერას და ყურადღებას, როდესაც ძლიერი ემოციები იპყრობს.	არ აფრთხობს დღის განრიგში ცვლილებები და ამის გამო არ ჭირვეულობს.	ძლიერ ემოციებს (გაბრაზებას, წყენას) კონსტრუქციულად გამოხატავს.	ასახელებს საკუთარ ემოციებს და მზრუნველის მცირე დახმარებით ცდილობს საკუთარი თავის გაკონტროლებას.	ძლიერი განცდების შემდეგ ცდილობს დაწყნარებას და უარს არ ამბობს მზრუნველის დახმარებაზე.
იმპულსების და ქცევის მართვა	იწყებს იმპულსების კონტროლს (მაგ., ამბობს - „არა“, როდესაც უწვდიან აკრძალულ ნივთებს. ცდილობს თავი შეიკავოს და ფეხი არ დაადგას იატაკზე დაგდებულ წიგნს).	რადგან დღის განრიგი მეორდება, იცის რა იქნება შემდეგ და მიყვება დღის განრიგს.	ჯგუფური საქმიანობის დროს თავის რიგს ელოდება (იცავს რიგითობას, ამჟღავნებს მოთმინების უნარს).	იცავს წესებს მზრუნველის მიერ ორგანიზებულ თამაშში და ელოდება თავის რიგს.	მზრუნველის ხელმძღვანელობით, უმტკივნეულოდ გადადის ერთი მოქმედებიდან მეორეზე და გარემოების შესაბამისად იქცევა;

ა.ბ.გ) ბავშვი ავლენს პროსოციალურ ქცევას:

სოციალური მოლოდინები და ნორმები	იცის, რომ „ცუდ ქცევას“ მზრუნველისაგან უარყოფითი რეაქცია მოჰყვება.	თანატოლებს სათამაშოებსა და სხვა საგნებს მზრუნველის დახმარებით უყოფს და უნაწილებს.	ავლენს, რომ მისთვის გასაგებია კავშირი ორ მოქმედებას შორის (მაგ., თუ დედა სამსახურიდან ადრე მოვა, იცის, რომ სასეირნოდ წავლენ).	სხვებისგანაც მოითხოვს წესების დაცვას (მაგ., დედამ ჩვეულ ადგილას დადოს სათამაშო).	აღწერს სხვა ბავშვის კარგ საქციელს.	საკუთარ ქცევას სხვადასხვა გარემოს უსადაგებს (მაგ., მუზეუმი, სათამაშო მოედანი, ტრანსპორტი).
ურთიერთობა	მზრუნველს ესაუბრება ახლახან დასრულებული საქმიანობის შესახებ.	ბაძავს მზრუნველის ქცევას (მაგ., წიგნს „კითხულობს“ იმ მზრუნველთან ერთად, რომელიც უკითხავს).	აფიქსირებს თავის დამოკიდე-ბულებას „მომწონს – არ მომწონს“ და შეუძლია მიზეზის ახსნა.	ინფორმაციის მისაღებად ხშირად უსვამს კითხვებს უფროსს.	გამოხატავს საკუთარ აზრსა და მოლოდინს.	ემორჩილება მზრუნველის მითითებებს და მისგან იღებს რჩევებს.
სოციალური თამაში	ზოგჯერ განცალკევდება მზრუნველისაგან მეგობართან სათამაშოდ.	დრამატული თამაშის დროს ირგებს სხვადასხვა როლს (მაგ., სახლობანას თამაშისას შეიძლება იყოს დედა, მამა, შვილი, მძღოლი, ძაღლი და ა.შ.).	სხვა ბავშვებთან ერთობლივი თამაშის წამომწყებია, ამყარებს, რომ სიამოვნებს მათთან თამაში.	ერთ ბავშვთან მაინც ინარჩუნებს მეგობრულ ურთიერთობას.	იცავს თამაშის წესებს (მაგ., რიგითობას თამაშის დროს).	უერთდება სხვადასხვა თამაშით დაკავებული ბავშვების ჯგუფს.
კონფლიქტის მოგვარება	ემორჩილება მზრუნველის ჩარევას, სათამაშოების გამო წარმოქმნილი დავის დროს, რაც დავის, უთანხმოების მოლაპარაკების გზით მოგვარებას გულისხმობს.	მზრუნველის დახმარებით, ურთიერთობს სხვა ბავშვებთან კონფლიქტის მოსაგვარე-ბლად.	მზრუნველის ყურადღებას ამახვილებს პრობლემურ სიტუაციაზე და მისი დახმარებით აწარმოებს, მართავს მოლაპარაკებას სხვა ბავშვებთან პრობლემის გადასაჭრელად.	პრობლემის გადასაჭრელად იყენებს მარტივ და განსხვავებულ სტრატეგიებს (მაგ., ითხოვს მზრუნველის დახმარებას, როდესაც მას არ რთავენ ნებას ითამაშოს ან ხელს უშლიან თამაშში).		კონფლიქტურ სიტუაციაში ხსნის საკუთარ პოზიციას;

ა.გ) ბავშვის განვითარების სფერო – კომუნიკაციური უნარების, ენისა და მეტყველების განვითარება:

ა.გ.ა) ბავშვი ავლენს მოსმენის უნარს და იგებს მოსმენილის მნიშვნელობას (რეცეპტული ენა):

<table>
<tr><td rowspan="2">სიტყვების მნიშვნელობა</td><td>ესმის ყველა ძირითადი ზმნის, უმრავლესი ძირითადი ზედსართავის, ზოგიერთი წინდებულის/ თანდებულის მნიშვნელობა.</td><td>ესმის სივრცითი მიმართებების გამომხატველი სიტყვებისა და თანდებულების მნიშვნელობა (მაგ., შიგნით, გარეთ,ზემოდან, ქვეშ).</td><td>ესმის პასიური წინადადებები (მაგ., სათამაშო გატყდა, საუზმე მზადაა).</td><td>როდესაც სიტყვიერად აღუწერენ რაიმე ობიექტს, ხვდება რომელ ობიექტს გულისხმობენ.</td><td>კითხულობს ახალი და უცნობი სიტყვების მნიშვნელობას.</td></tr>
<tr><td colspan="3">ესმის რამდენიმე ასეული სიტყვის მნიშვნელობა.</td><td colspan="2">ესმის 1500-ზე მეტი სიტყვის მნიშვნელობა.</td></tr>
<tr><td>ინსტრუქციები</td><td>ასრულებს ორსაფეხურიან ინსტრუქციას, რომელშიც მოქმედებები შეიძლება არ უკავშირდებოდეს ერთმანეთს (მაგ., „თუ შეიძლება, აალაგე შენი სათამაშოები და მერე ფეხსაცმელი ჩაიცვი!“).</td><td colspan="2">თანმიმდევრულად ასრულებს ლოგიკურად დაკავშირებულ 4 მარტივ მითითებას.</td><td colspan="2">მითითებებს (ორიდან ხუთამდე) ასრულებს მოცემული თანმიმდევრულობით, რომელშიც მოქმედებები შეიძლება არ უკავშირდებოდეს ერთმანეთს;</td></tr>
</table>

ა.გ.ბ) საკუთარი აზრების გამოსახატავად ბავშვი იყენებს სიტყვებს, ჟესტიკულაციას, საუბრობს (ექსპრესიული ენა და მეტყველება):

<table>
<tr><td rowspan="2">არავერბალური კომუნიკაცია</td><td colspan="4">ათავისი განცდების, არჩევანის, სურვილის გამოსახატავად, თავისუფლად იყენებს სხვადასხვა საშუალებას - როგორც სიტყვებს, ისე ჟესტებს.</td><td colspan="2">სწორად აღიქვამს არასიტყვიერ ნიშნებს: სახის გამომეტყველებასა და ჟესტებს (მაგ: მოსაუბრეს სახეზე აწერია უკმაყოფილება).</td></tr>
<tr><td rowspan="2">ვერბალური კომუნიკაცია</td><td>იმ მნიშვნელობების გამოსახატავად, რომელთა აღმნიშვნელებიც არ იცის, თავად აწარმოებს, იგონებს ახალ სიტყვებს (მაგ., ნაცვლად იმისა, რომ თქვას - „კოვზით ურევს“, ამბობს - „ანკოვზიალებს“, „ადექის“ ნაცვლად - „აჯექის“).</td><td>იყენებს საგნის, მოქმედების, მდგომარეობის აღმნიშვნელ სიტყვებს.</td><td>იყენებს საგნის ზომის, ფერის, კუთვნილების, დანიშნულების აღმნიშვნელ სიტყვებს.</td><td>იწყებს წინადადებაში სიტყვების შესაბამისი ფორმით ხმარებას, იყენებს ბრუნვის, პირისა და რიცხვის ნიშნებს.</td><td>სწორად იყენებს ქვემდებარის ბრუნვას, ათანხმებს არსებითსა და ზედსართავ სახელებს ბრუნვასა და რიცხვში.</td><td>მოყოლის დროს ერთმანეთთან აკავშირებს რამდენიმე წინადადებას.</td></tr>
<tr><td colspan="4">იყენებს 200-მდე სიტყვას.</td><td colspan="2">იყენებს 500-დან 1000-მდე სიტყვას;</td></tr>
</table>

ა.გ.გ) ბავშვი ენას სხვადასხვა მიზნისათვის იყენებს (პრაგმატული განვითარება):

ინტერაქცია	შთაბეჭდილებებს უზიარებს სხვებს.	თავისუფლად გადასცემს შეტყობინებას.	სვამს კითხვებს პასუხის მისაღებად (მაგ., რატომ? როდის? როგორ?).	სხვებისთვის იდეების გასაზიარებლად და ინფორმაციის მოსაპოვებლად იყენებს მეტყველებას.
ამბის მოყოლა	აღწერს იმას, რაც აღიქვა წარსულში. ამბის მოყოლის დროს ქრონოლოგიის დაუცველად ჩამოთვლის იმ მოვლენებს, რაც მისთვის მნიშვნელოვანია.	მზრუნველის დახმარებით ყვება მოკლე გამოგონილ ისტორიას, ან იხსენებს წარსულში მომხდარ ამბავს.	ზღაპრიდან ან მოთხრობიდან გამოყოფს და სხვა ადამიანს უყვება მისთვის მნიშვნელოვან რამდენიმე ფრაგმენტს;	

ა.გ.დ) ბავშვი ავლენს წერისა და კითხვის საბაზისო უნარებს:

ფონოლოგია	მღერის სიმღერებს, ამბობს ლექსებს, მონაწილეობს თამაშებში, რომლებიც ენის ბგერების ჟღერადობასა და რიტმიკასთან არის დაკავშირებული.		განასხვავებს მსგავსი ჟღერადობის მქონე სიტყვებს (მაგ., სკამი და სამი).	ასახელებს სიტყვას, რომელიც იწყება მზრუნველის მიერ შეთავაზებული ასო-ბგერით.		მზრუნველის დახმარებით ასახელებს სიტყვის პირველ მარცვალს (მაგ., სიტყვა „დათვი“ იწყება „და“-თი და ა.შ.).
კითხვისათვის მზაობა	ცნობს ისეთ ნიშნებს, სიმბოლოებს, რომლებიც გარემოში ხვდება (მაგ., სიტყვებს - „ღიაა“, „დაკეტილია“).	სხვადასხვა ნიშანსა და სიმბოლოს აღიქვამს როგორც ინფორმაციის წყაროს.	ერთმანე-თისაგან განასხვავებს ასოებსა და რიცხვებს.	განასხვავებს ნაბეჭდსა და ნაწერს.	ცნობს რამდენიმე ასოს.	აცნობიერებს, რომ წიგნის წაკითხვისას ხმამაღლა წარმოთქმული სიტყვები უკავშირდება ნაბეჭდ ტექსტს.
წერისათვის მზაობა	ავლებს ჰორიზონტა-ლურ და ვერტიკალურ ხაზებს.	თამაშისას იყენებს წარმოსახვით წერას, (ხატავს პატარა ზომის ფიგურებს, ვითომ წერს).	საკუთარ სახელს ნიმუშს ამსგავსებს.	ხატავს სიმბოლოებს, რომლებიც შეხვედრია და ახსოვს.	მზრუნველს სიტყვების დაწერას სთხოვს.	გამოთქვამს საკუთარ იდეებს, აზრებს და მზრუნველს მათ ჩაწერას სთხოვს;

ა.დ) ბავშვის განვითარების სფერო – შემეცნებითი განვითარება:

ა.დ.ა) ბავშვი ავლენს ცნობისმოყვარეობას სიახლის მიმართ, შეუძლია შეაჩეროს და შეინარჩუნოს ყურადღება მოცემულ ამოცანაზე:

ცნობისმოყვარეობა	სვამს მარტივ შეკითხვებს: „რატომ?“, „სად?“ (რატომ უნდა წავიდეს სახლში? სად არის მამა? და ა.შ.).	სვამს შეკითხვებს, რათა მიიღოს ინფორმაცია მოვლენების შესახებ და გაიგოს, როგორაა	ინტერესდება, ატარებს „ექსპერიმენტებს“, რათა თვითონ გაერკვეს ზოგიერთი მოვლენისა და საგნის არსში. (მაგ., ტივტივის ჩასაძირად სხვადასხვა რაოდენობის კენჭებს აწყობს).	აქვს გამოკვეთილი ინტერესების სფერო (მაგ., დინოზავრები, სატვირთო მანქანები, შინაური ცხოველები და სხვა).	იჩენს ახალი მოვლენების შესწავლისა და ახალი გამოცდილების შეძენის ინტერესსა და სურვილს.
ყურადღების კონცენტრაცია	თავისივე ინიციატივით წამოწყებულ საქმიანობაში ჩართულია დაახლოებით 30 წუთის განმავლობაში.	გარეგანი გამღიზიანებლების მიუხედავად (მაგ., ხმაური), განაგრძობს თავის არჩეულ საქმიანობას.	უბრუნდება დაწყებულ საქმიანობას, რომელიც შეაწყვეტინეს.	წარუმატებლობის შემთხვევაშიც კი არ წყვეტს მცდელობას, შეასრულოს ესა თუ ის მოქმედება და გადაჭრას ამოცანა;	

ა.დ.ბ) ბავშვი შემოქმედებითად უდგება ყოველდღიურ საქმიანობას და ეძებს პრობლემის გადაჭრის სხვადასხვა გზებს:

შემოქმედებითობა	ცდილობს მოქნილად და გონივრულად მიუდგეს ამოცანას, მის გადასაჭრელად ცვლის მოქმედების ხერხს.	იყენებს ფანტაზიას, იგონებს ახალ თამაშებს, დრამატული თამაშის დროს იგონებს ახალ სცენარებს.	თამაშობს წარმოსახვით თამაშებს (მაგ., სახლობანას, მაღაზიობანას და სხვა).	სხვადასხვა საგნის კომბინაციით ქმნის რაღაც ახალს (მაგ.,მაგიდის ქვეშ ზეწრისა და გადასაფარებლის გამოყენებით აწყობს კარავს).	შეუძლია შეთხზას ამბავი, მოიგონოს ახალი სიტყვები და მელოდია.
პრობლემის გადაჭრა	პრობლემის გადასაჭრელად იყენებს მინიმუმ ორ განსხვავებულ სტრატეგიას.	პრობლემის გადასაჭრელად სხვადასხვა გზას ეძებს და საბოლოოდ ერთ-ერთს ირჩევს.	ასახელებს ან ხატავს პრობლემის გადაჭრის გზას.	ასახელებს იმ საჭირო საგნებს, რომლებიც პრობლემის გადასაჭრელად შეიძლება გამოიყენოს.	ცვლის ქცევას ახალი ინფორმაციისა და გამოცდილების შესაბამისად (მაგ., კუბებით კოშკის აგებისას, როდესაც ხედავს, რომ ენგრევა, ცვლის კონსტრუქციას);

ა.დ.გ) ბავშვი ავლენს გამოცდილების ინტერპრეტაციის უნარს, სწვდება მიზეზ-შედეგობრიობას, იწყებს კრიტიკულ და სიმბოლოებით აზროვნებას:

სიმბოლური აზროვნება	ანსახიერებს ადამიანის, საგნის, ცხოველის რომელიმე ძირითად მახასიათებელს, მაშინაც კი, თუ განსასახიერებელ ობიექტს ვერ ხედავს (მაგ., აჩვენებს, რისი გაკეთება შეუძლია ძაღლს და ყეფს).	დრამატულ თამაშში სათამაშოს იყენებს როგორც ნამდვილ, რეალურ საგანს (მაგ., საუბრობს სათამაშო ტელეფონით, როგორც ნამდვილით).	დრამატულ თამაშში იყენებს წარმოსახვით ობიექტს (მაგ., ასახიერებს მორევის მოძრაობას, როცა ხელში არაფერი უჭირავს).	აღწერს იმ საგანს ან პიროვნებას, რომელსაც იმ მომენტში ვერ ხედავს (მაგ., აღწერს, რომ ძაღლი, რომელსაც ჰქვია ჯერი, არის შავი და ყეფს. აქვე იგი ხელებით აჩვენებს, თუ რა ზომისაა ჯერი).
რეალობა და ფანტაზია	როლებისა და სიტუაციების გათამაშებისას ხმას, მეტყველებას და ქცევას ერთმანეთს შეუსაბამებს (მაგ.,ჩვილის განსახიერებისას დახოხავს და „აღუ-აღუს“ გაიძახის).	აინტერესებს, ზღაპრისა და ანიმაციური ფილმის გმირები ნამდვილად არსებობენ თუ არა.	ერთვება კომპლექსურ დრამატულ თამაშებში (მაგ., რაღაც კონკრეტულ თემაზე აგებულ თამაშში, რომელშიც მრავალი მონაწილეა და განსხვავებული სიტუაციები თამაშდება).	ზღაპრის ან ანიმაციური ფილმის გმირებს რეალურ ადამიანებთან აკავშირებს (მაგ., ამბობს: „მამა ცისკარასავით ჭკვიანი და ძლიერია“).
რეალობა და ფანტაზია	ინტერესდება და სვამს შეკითხვებს სხვების მოქმედებასთან დაკავშირებით, რათა დაინახოს	სვამს შეკითხვას „რატომ?“, რათა გაარკვიოს, თუ რატომ ხდება ესა თუ ის მოვლენა, ან რა აკავშირებს მას ამა თუ იმ მოვლენასთან.	ამოიცნობს და განსაზღვრავს იმ საგნებს, რომელთა ზეგავლენა სხვა საგნებზე თვალსაჩინოა (მაგ., „ლურჯი საღებავის წყალში შერევით წყალმა ლურჯი ფერი მიიღო“).	გამოთქვამს ვარაუდს რაიმე ქცევასთან დაკავშირებულ შესაძლო შედეგზე (მაგ., ღამე, როდესაც შუქს ჩავაქრობ, დაბნელდება).

ინტერპრეტაცია	ერთ მოქმედებას მეორეთი ანაცვლებს (მაგ., ეს არ გამომივიდა, სამაგიეროდ, ეს გავაკეთე).	იხსენებს წარსულში მომხდარ რეალურ მოვლენებს (მაგ., ნივთის დანახვისას იხსენებს მის მფლობელს).	ხმამაღლა ფიქრობს და მსჯელობს მიმდინარე სიტუაციის, მოვლენის შესახებ.	ცდილობს პრობლემის გადაჭრას წარმოსახვაში (მაგ., თბილად, რომ ჩამეცვა, არ შემცივდებოდა).	პრობლემის მოგვარებამდე, წინასწარ ცდილობს მოქმედების გააზრებას (მაგ., თუ კარგად მოვიქცევი, სახლში არ დამტოვებენ და სასერნოდ მეც წამიყვანენ).
კვლევა	ცდისა და შეცდომის მეთოდით პოულობს მისთვის საინტერესო ობიექტის გამოყენების გზას.	სწორად აღიქვამს და განასხვავებს შეგრძნებებს.	აკვირდება უფროსების ცდებს და აღწერს თავის დაკვირვებას (მაგ., მზრუნველმა ორი ფერის საღებავი შეურია, ბავშვი ამბობს: „ყვითლისა და ლურჯის შერევით მივიღებთ მწვანეს“).	გარემოს გამოსაკვლევად იყენებს სტანდარტულ იარაღს (მაგ., გამადიდებელ შუშას, მაგნიტს და სხვა).	აკვირდება ბუნების მოვლენებს (მაგ., სვამს კითხვას: „რატომ წვიმს?“);

ა.ე) ბავშვის განვითარების სფერო – დამოუკიდებლობა და ადაპტური ქცევის განვითარება:

ა.ე.ა) ბავშვი ავლენს ინიციატივას და დამოუკიდებლობას:

ავტონომია	ითხოვს დამოუკიდებლობას თამაშის, კვების, ჩაცმის დროს				
დამოუკიდებლობა	მონაწილეობს დალაგებაში (სათამაშოების, ტანსაცმლის და სხვა) და იცის საკუთარი ნივთების ადგილი.	იჩენს მაგიდის გაშლის სურვილს.	დამოუკიდებლად მოიპოვებს მასალას თავისი ჩანაფიქრის განსახორციელებლად (მაგ., აპლიკაციის გასაკეთებლად იღებს ფერად ფურცლებს).	შეუხსენებლად აბრუნებს ნივთებსა და მასალას თავის ადგილას.	
პრობლემის გადაჭრა	აკეთებს მარტივ „კი თუ არა“ არჩევანს.	დამოუკიდებლად წყვეტს, რომელი გამოიყენოს შემოთავაზებული ორი მასალიდან (მაგ., პასტელებით ხატოს თუ ფანქრებით).	შემოთავაზებული ორი საქმიანობიდან დამოუკიდებლად ირჩევს ერთ-ერთს.	შესაძლებელი რამდენიმე საქმიანობიდან ერთ-ერთში ერთვება.	თამაშის დროს დამოუკიდებლად ირჩევს თავის როლს.
პრობლემის გადაჭრა	გამოთქვამს თავის აზრს, რის გაკეთება სურს.	ირჩევს წიგნს და მიაქვს მზრუნველთან წასაკითხად.	მიაქვს სათამაშო თანატოლთან.	მზრუნველს, შეუხსენებლად ან თხოვნის გარეშე, თვითონ სთავაზობს დახმარებას ყოველდღიურ	უერთდება უკვე დაწყებულ თამაშს და ეძებს საკუთარ როლს (ადგილს);

ა.ე.ბ) ბავშვი ავლენს პირადი ჰიგიენისა და თვითმომსახურების უნარ-ჩვევებს:

კვება	ასხამს სასმელს პატარა დოქიდან ან ბოთლიდან.	ასუფთავებს დაღვრილ სითხეს.	მაგიდასთან ემსახურება საკუთარ თავს, დასვრის გარეშე ისხამს და იღებს საკვებს.	საწრუპით სმის დროს ჭიქა ცალ ხელში უჭირავს,	ღია დოქში/ჭიქაში ჩასხმულ სითხეს (მინიმუმ - სავსე) დაღვრის გარეშე გადააადგილებს.	
	იყენებს ჩანგალს და ხელსახოცს	საკუთარ თავს ემსახურება მაგიდასთან (საკვების გადაღებისას შეიძლება ცოტა დაეყაროს, ან ზედმეტად ცოტა ან ბევრი გადაიღოს).	ყლაპავს საკვებს მომდევნო ლუკმის ჩადებამდე.	ამზადებს მარტივ საკვებს (ფცქვნის, ანაკუწებს, აცლის შეფუთვას და სხვა).	შეუძლია საკვებზე დანის გადასმა.	
ჩაცმა-გახდა	სხვისი დახმარებით იცვამს ტანსაცმელს (ქუდი, ფეხსაცმელი, წინდები, შარვალი, საცვალი, მაისური, ჟაკეტი, ქურთუკი; დახმარება შეიძლება დასჭირდეს შესაკრავებთან და წაღმა-უკუღმა პირის გასარკვევად).	იხდის დამოუკიდებლად, მცირედი დახმარებით.	საგარეო ტანსაცმელს თავის ადგილას აწყობს.	ყოველდღე ერთსა და იმავე დროს, შეუხსენებლად იხდის ტანსაცმელს (მაგ., ძილის წინ).		
		ტანსაცმელს დამოუკიდებლად, მცირედი დახმარებით იცვამს, ფეხსაცმელსაც - შესაბამის ფეხზე.	ტანსაცმელს სწორად, წინა და უკანა მხარის შესაბამისად იცვამს. თასმებს ერთდროული გამოქაჩვით უჭერს.	ყოველდღე ერთსა და იმავე დროს, შეუხსენებლად იცვამს (მაგ., ეზოში გასვლის წინ).	იკრავს ტანსაცმლის წინა მხარეს განთავსებულ ელვას.	
	კრავს დიდი ზომის ღილებს		ხსნის ყველანაირ შესაკრავს (მაგ., თასმა, ელვა და ღილი)			
ტუალეტის ჩვევა	უმეტესწილად სწორად ასახელებს საჭიროებას, განასხვავებს შარდვასა და დეფეკაციას.	დამოუკიდებლად იყენებს ტუალეტს, დახმარება სჭირდება გასუფთავებაში (ქაღალდის რაოდენობასა და გამოწმენდაში).	რეგულა-რულად, დაუკითხავად შედის საჭირო ოთახში.	ტუალეტის ქაღალდს სწორად ხევს და გამოყენების შემდეგ უნიტაზსაც რეცხავს.	იწმენდს დამოუკი-დებლად.	ტანსაცმელს საჭირო ოთახიდან გამოსვლამდე ისწორებს.
ჰიგიენა	დამოუკი-დებლად იმშრალებს ხელებს.	ონკანს დამოუკიდებლად კეტავს, როდესაც სთხოვენ.	ხელს იბანს და იმშრალებს მზრუნველის უმნიშვნელო დახმარებით.	პირს დამოუკი-დებლად იმშრალებს, თუმცა შეიძლება შეხსენება დასჭირდეს.	პირს საპნით იბანს, როდესაც სთხოვენ.	
	ცხვირს იხოცავს, მაგრამ მზრუნველის შეხსენება სჭირდება, რომ ბოლომდე მოიწმინდოს ან/და ცხვირსახოცი ურნაში ჩააგდოს.	ცხვირის ირგვლივ იწმენდს ცხვირსახოცით, თუ შეახსენებენ.	მოხოცვისას ცხვირსახოცს ცხვირზე მოიჭერს.	დამოუკი-დებლად იხოცავს ცხვირს, თუ შეახსენებენ.	ხველისას ან დაცემინებისას ხელსახოცს ან ხელს იფარებს.	ცხვირს დამოუკი-დებლად იხოცავს შეხსენების გარეშე.

ჰიგიენა	მზრუნველის დახმარებით ცდილობს კბილების გახეხვას.	პასტას ათავსებს ჯაგრისზე და ასველებს.	კბილებს იხეხავს ჰორიზონტალური და ვერტიკალური მოძრაობებით.	ანერწყვებს კბილის პასტას.	გამოყენების შემდეგ რეცხავს კბილის ჯაგრისს და თავის ადგილას აბრუნებს;

ა.ე.გ) ბავშვი ავლენს, რომ თავს დაცულად გრძნობს, ამჟღავნებს ნდობას და უსაფრთხოების წესების ცოდნას:

უსაფრთხოება	თავიდან იცილებს რისკებსა და ნაცნობ საფრთხეს (მაგ., არ კიდებს ხელს გახურებულ ზედაპირს, ბასრ საგნებს).	ცნობს სახიფათო სიტუაციებს/ნივთებს.	მზრუნველის დახმარებით იცავს უსაფრთხოების ძირითად წესებს (მაგ., უცნობებთან ურთიერთობისას, ქუჩაზე გადასვლისას და სხვა).	იცის სასწრაფოს ნომერი და ისიც, რა შემთხვევაში უნდა გამოიყენოს.
	მზრუნველს მიმართავს ტკივილის და დისკომფორტის შეგრძნებისას.	ატყობინებს ბავშვებს და უფროსებს, როდესაც საფრთხეს გრძნობს (მაგ., „ნუ ისვრი ქვას!“, „ბაჩა ქვას ისვრის!“).	ნებისმიერი საფრთხის/დაშავების შემთხვევაში ატყობინებს უფროსს დახმარების საჭიროებას სიტყვიერად ან ჟესტებით.	
დაცულობის განცდა	იცავს ჯგუფური მოქმედების მარტივ წესებს.	ერთვება ჯგუფურ თამაშებში, ასრულებს სხვადასხვა როლს (ლიდერის ან რიგითი მონაწილის).	თავის განცდებს უზიარებს რამდენიმე ახლობელ ადამიანს.	გამოხატავს ინტერესს სიახლის მიმართ, სვამს კითხვებს, ცდილობს საკუთარი თავის ახალ საქმეში გამოცდას;

ა.ე.დ) ბავშვი ამჟღავნებს მოქნილობას და გარემოსა და ყოველდღიური საქმიანობის ცვლილებას უსადაგებს საკუთარ ქცევას:

მოქნილობა	სვამს კითხვებს გარემოს შესახებ ან განსხვავებულად იქცევა, როცა ახალ გარემოში ხვდება.		თავის ქცევას სხვადასხვა გარემოს უსადაგებს.	მზრუნველის ხელმძღვანელობით, უმტკივნეულოდ გადადის ერთი მოქმედებიდან მეორეზე, იქცევა გარემოების შესაბამისად.	
მედეგობა	მიზნის მისაღწევად იყენებს მზრუნველის მიერ შემოთავაზებულ ალტერნატიულ გზებს.	როცა რამე ისე არ ხდება, როგორც მას სურდა, სიმშვიდეს ინარჩუნებს.	ცდილობს შეცდომების გამოსწორებას და არ წყვეტს საქმიანობას პირველივე წარუმატებლობისას.	წარუმატებელი მცდელობის შემდეგ დახმარებას ითხოვს.	ამჩნევს, რომ ყველა უშვებს შეცდომებს და ხვდება, რომ შეცდომების დაშვების გარეშე შეუძლებელია ახლის სწავლა;



ბ) თემატური მიმართულებები:

ბ.ა) თემატური მიმართულება – ხელოვნება:

ბ.ა.ა) ბავშვი ინტერესდება ვიზუალური ხელოვნებით და იყენებს მას თვითგამოხატვისთვის:

ესთეტიკა და კრიტიკული დამოკიდებულება	სვამს შეკითხვებს ვიზუალური ხელოვნების ნამუშევრების შესახებ.	ინტერესდება ნამუშევრის შინაარსით, სვამს კითხვებს ან მარტივად აღწერს, რა არის ნახატზე გამოსახული.	განასხვავებს ხელოვნების სხვადასხვა ფორმას (მაგ., ფოტოსურათსა და ქანდაკებას).	შთაბეჭდილებებს უზიარებს სხვებს/ გარშემომყოფებს ვიზუალური ხელოვნების იმ ფორმების შესახებ, რომლებსაც თავის გარემოში ხვდება.	ინტერესდება განსხვავებული კულტურიდან წარმოშობილი ვიზუალური ხელოვნების ნამუშევრებით (მაგ., ძველი ეგვიპტური, აფრიკული, შუა საუკუნეების ევროპული).
შემოქმედებითი თვითგამოხატვა	დამოუკიდებლად და თავისი ინიციატივით იწყებს ნამუშევრის შექმნას (ასახელებს, აღწერს ნამუშევარს).	იყენებს სხვადასხვა სამუშაო მასალას (მაგალითად, ფერებს სპონტანურად ურევს ერთმანეთში; ხატავს მარტივი მონასმენით; პლასტელინით ან თიხით იწყებს მარტივი ფორმების გამოძერწვას).	ქმნის სქემატურ ნახატებს და ხშირ შემთხვევაში ეს ნახატი ჰგავს ნაგულისხმევ საგანს, ხატვისას იყენებს სხვადასხვა ფერს.	ხატავს ავტოპორტრეტს, რეალურ და წარმოსახვით საგნებსა და ადამიანებს.	ნახატებისა და სამგანზომილებიანი კონსტრუქციების საშუალებით გადმოსცემს აზრებსა და ემოციებს;

ბ.ა.ბ) ბავშვი ინტერესდება საშემსრულებლო ხელოვნებით და იყენებს მას თვითგამოხატვისთვის:

ესთეტიკა და კრიტიკული დამოკიდებულება	აკვირდება ნაწარმოების შესრულების პროცესს და სვამს შეკითხვებს მისი მნიშვნელობის გასაგებად.	უსმენს და უყურებს საბავშვო წარმოდგენასა თუ თოჯინურ სპექტაკლს.	ერთმანეთისგან განასხვავებს საშემსრულებლო ხელოვნების სხვადასხვა ფორმას (მაგ., ცეკვას და თეატრალურ წარმოდგენას).	შთაბეჭდილებებს უზიარებს სხვებს/ გარშემომყოფებს საშემსრულებლო ხელოვნების იმ ფორმების შესახებ, რომლებსაც თავის გარემოში ხვდება.	ინტერესდება სხვადასხვა ქვეყნების, რეგიონისა და კულტურის მუსიკალური ინსტრუმენტებით, ცეკვებით, მუსიკის ჟანრებით.
შემოქმედებითი თვითგამოხატვა მუსიკა	მღერის 1) უნისონში სხვასთან ერთად; 2) ინსტრუმენტის თანხლებით; 3) დამოუკიდებლად საცნობი ფორმით (ღიღინით, წამღერებით და ა.შ.).	იმეორებს მუსიკის მელოდიასა და ცეკვის ილეთებს; მუსიკაზე აყოლებს შარფებს, ლენტებს, ინსტრუმენტებს და სხვა.	მონაწილეობს ჯგუფურ მუსიკალურ და საცეკვაო აქტივობებში და იცავს პირად სივრცეს.	დამოუკიდებლად და თავისი ინიციატივით წამოიწყებს მუსიკალურ და საცეკვაო აქტივობებს.	ცვლის ნაცნობი სიმღერების ტექსტს ან მელოდიას, მონაწილეობს რიტმულ-ინტონაციურ იმპროვიზაციებში, თამაშობებში.

დრამა	გაითამაშებს რეალურსა და თავის გამოგონილ სიტუაციებს.	როლის მიხედვით იცვლის ხმის ტემბრსა და სახის გამომეტყველებას, ირგებს კოსტიუმს და იყენებს რეკვიზიტს.	თამაშობს სხვა თანატოლებთან ერთად; იძლევა ინსტრუქციებს ან მიყვება სხვა თანატოლისას.	სთხოვს სხვებს მისი წარმოდგენის ყურებას.	მონაწილეობს მზრუნველის/ აღმზრდელის მიერ მართულ თეატრალიზებულ თამაშებში;

ბ) თემატური მიმართულება – წიგნიერება:

ბ.ბ.ა) ბავშვი ინტერესდება და სიამოვნებას იღებს მხატვრული ნაწარმოებებით:

ესთეტიკა და კრიტიკული დამოკიდებულება	სვამს შეკითხვებს მზრუნველის მიერ წაკითხული წიგნის შესახებ.	განასხვავებს საბავშვო ლიტერატურის ძირითად ჟანრებს (მაგ., ლექსი, ზღაპარი, პროზა).	შეუძლია გამოთქვას საკუთარი აზრი იმის შესახებ, მოთხრობის რომელი ნაწილი მოეწონა და რომელი – არა.	ყურადღებით ისმენს სხვა ხალხების ლეგენდებს, ზღაპრებს.
წიგნთან ურთიერთობა	აქვს გამორჩეული, საყვარელი წიგნები, იხსენებს სხვადასხვა პერსონაჟსა და მოქმედებას ნაცნობი წიგნებიდან.	წარმოსახვითი თამაშისას იყენებს წიგნებს, ვითომ თავის „შვილს ზღაპარს უკითხავდეს“.	იმახსოვრებს ფრაზებს საყვარელი წიგნებიდან.	გამოთქვამს საკუთარ აზრს იმის შესახებ, მოთხრობის რომელი ნაწილი მოეწონა და რომელი – არა.
	იცის, რომ წიგნი მარცხნიდან მარჯვნივ იკითხება, თითს აყოლებს, ვითომ კითხულობდეს.	დამოუკიდებლად ათვალიერებს წიგნებს, ჟურნალებსა და სხვა ბეჭდურ გამოცემებს.		იცის, რომ წიგნს აქვს სათაური, ყდა, ილუსტრაცია, ტექსტი, ჰყავს ავტორი, ილუსტრატორი.
შემოქმედებითი თვითგამოხატვა	მონაწილეობს საყვარელი ამბის მოყოლაში, ამატებს სიტყვებს, აკეთებს კომენტარებს. აკეთებს წერის იმიტაციას - ვითომ წერს, ავლებს ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ ხაზებს.	იყენებს წიგნიდან მიღებულ შთაბეჭდილებებს რუტინული საქმიანობების და სხვადასხვა ტიპის თამაშებისას	მზრუნველის დახმარებით შეუძლია მოკლე, გამოგონილი ისტორიის მოყოლა. ცდილობს მოხაზოს ასო.	დამოუკიდებლად იგონებს მარტივ ამბავს და შეუძლია მისი ილუსტრირება ან მზრუნველს სთხოვს მის ჩაწერას.

ბ.გ) თემატური მიმართულება – მეცნიერების ელემენტები:

ბ.გ.ა) ბავშვი სწავლობს ჯანსაღი ცხოვრების წესს, სწორად კვებას, ჰიგიენას და ფიზიკურ აქტივობას:

ფიზიკური აქტივობა	მონაწილეობს მზრუნველის მიერ მართულ ფიზიკურად აქტიურ საქმიანობაში 5-10 წუთის განმავლობაში.		სიხარულით ერთვება სხვადასხვა ფიზიკურ აქტივობაში (მაგ., დარბის, დაცოცავს, დახტის).	
ჯანსაღი ქცევა	იცის, ვინ ემსახურება მის ჯანმრთელობას (მაგ., კბილის ექიმი, ექთანი, პედიატრი).	საუბრობს ჯანსაღ ქცევებზე, მათ შორის ჰიგიენასთან, კვებასთან, ძილთან, ავადმყოფობასთან, ფიზიკურ აქტივობასთან დაკავშირებით.	ასახელებს ჯანსაღი ქცევების მაგალითებს (მაგ., საუბრობს წამლის მოხმარებაზე და მასთან დაკავშირებულ უსაფრთხოებაზე, ბაქტერიებზე).	არჩევს ჯანსაღ ქცევას არაჯანსაღისაგან.
სხეული	აჩვენებს სურათზე სხეულის 6 ნაწილზე მეტს.	ერთვება სხვადასხვა ტიპის თამაშებში, რომლებიც ეხება სხეულის ნაწილებსა და/ან შინაგან ორგანოებს.	იცის, რომ აქვს შინაგანი ორგანოები (მაგ., გული, ფილტვები და სხვა).	ერთვება საუბარში სხეულის ნაწილებისა და შინაგანი ორგანოების დანიშნულებაზე;

ბ.ბ) თემატური მიმართულება – წიგნიერება:

ბ.ბ.ა) ბავშვი ინტერესდება და სიამოვნებას იღებს მხატვრული ნაწარმოებებით:

ბუნება არაცოცხალი ბუნება	იცის ბუნების ელემენტების (წყალი, ქვა, ქვიშა, მზე, თოვლი, წვიმა, ღრუბელი) და მათი მახასიათებლების გამომხატველი სიტყვები (ცივი, ცხელი, თბილი, სველი, მშრალი ა.შ.)	მათ თავისებურებებზე დაყრდნობით, განასხვავებს ცოცხალ და არაცოცხალ ბუნებას (მაგ., სუნთქავს, მოძრაობს, იზრდება) და აჯგუფებს ცხოველებსა და მცენარეებს, მიწისა და წყლის ცხოველებს.	აინტერესებს ბუნება და მისი მოვლენები და სვამს კითხვებს, ხშირად თამაშობს უფრო მეტის გასაგებად (მაგ., რაში გამოიყენება წყალი, როგორი ფოთლები არსებობს, როგორ ჩნდება სხვადასხვანაირი ჩრდილი).	ბუნებრივი მასალის, მოვლენებისა და ციური სხეულების შესასწავლად იყენებს ხელსაწყოებს (გამადიდებელ შუშას, ბინოკლს, ვიდეო/ ფოტოკამერას, პრიზმას და სხვა).	არაცოცხალ და ცოცხალ ბუნებას აკვირდება და შეისწავლის ჩანაწერების, ჩანახატებისა და სურათების შეგროვებით და სხვებსაც უზიარებს.
ცოცხალი ბუნება	აქვს წარმოდგენა მარტივ ბუნებრივ კანონზომიერებებზე (მაგ., არსებობისთვის წყალი და საკვები).	ასახელებს შინაურ და გარეულ ცხოველებს, ფრინველებს, ხილსა და ბოსტნეულს; მცენარეებსა და ცხოველებს ერთმანეთს ადარებს თვალსაჩინო ნიშნების მიხედვით.		ამჩნევს და სვამს შეკითხვებს ცხოველების, მცენარეების ზრდისა და ცვლილებების შესახებ, ასევე შეუძლია მარტივად მოყვეს, თუ როგორ იზრდება და იცვლება მცენარე, ცხოველი.	
წელიწადის დროები	ერთვება საუბარში წელიწადის დროებსა და მათ მახასიათებლებზე (მაგ., შემოდგომაზე ხეებს ფოთლები სცვივა)	წელიწადის დროსა და ამინდთან მიმართებაში აწყვილებს შესაბამის ტანსაცმელსა და აქტივობას (მაგ., წვიმაში ვიყენებთ ქოლგას, სიცივესა და თოვლში ვიკეთებთ ხელთათმანებს).	ტემპერატურაზე დასაკვირვებლად იყენებს თერმომეტრს. ამოიცნობს ციფრებს.	სხვებთან ერთად საუბრობს მიმდინარე წელიწადის დროზე და ამინდის ცვლილებებზე.	საუბრობს წელიწადის დროებზე და აღწერს მათთვის დამახასიათებელ ამინდს შესაბამისი სიტყვების გამოყენებით (მაგ., მზიანი, წვიმიანი, თოვლიანი).

გარემოზე ზრუნვა	ცდილობს დაახარისხოს განმეორებით გამოყენებადი და გადასაგდები ნაგავი.	მონაწილეობს საქმიანობებში, რომელიც გარემოს მოფრთხილებისთვის მნიშვნელოვანია (მაგ., იყენებს მეორად მასალას, ნაგავს ყრის ურნაში, უვლის მცენარეებსა და ცხოველებს, ზრუნავს, რომ წვიმის დროს არ დაზიანდეს ნივთი).	იცის, რომ ადამიანი არის ცოცხალი არსება და ცნობს მისთვის საზიანო საგნებსა და მოვლენებს (მაგ., ხანძარი, დაბინძურებული წყალი).	ცნობს და ყურადღებას აქცევს იმ საგნებსა და მოვლენებს, რომლებიც გარემოს აბინძურებს ან აზიანებს (მაგ., კვამლს, გადაყრილ მინის ტარას, პლასტიკატს).	ადამიანის ქმედებებიდან, განასხვავებს, რომელია გარემოსთვის უსაფრთხო და რომელი - საფრთხის შემცველი (მაგ., ნაგვის დაყრა აზიანებს მცენარეებს; მოვლა ხელს უწყობს ზრდას);

ბ.გ.გ) ბავშვი ინტერესდება და ეცნობა საგნებისა და მოვლენების ფიზიკურ მახასიათებლებს:

ფიზიკური გარემო	ამჩნევს და მიუთითებს ცვლილებაზე ბუნებაში.	სვამს კითხვებს და ატარებს ექსპერიმენტებს ნივთიერებების გამოსაკვლევად.	იცის, რომ ნივთიერება შეიძლება არსებობდეს მყარ, თხევად და აირად მდგომარეობაში.	ამჩნევს, რომ საგნების ფორმა დამოკიდებულია მათ აგრეგატულ მდგომარეობაზე (მაგ., მყარ ნივთიერებებს განსაზღვრული ფორმა აქვთ, სითხე იღებს კონტეინერის ფორმას, რომელშიც ის ასხია, გაზს კი ფორმა არ აქვს).	პროგნოზირებს, რა მოხდება კვლევის დროს (მაგ., „ ყინული წყლად გადაიქცევა“).
	საუბრობს საგნებისა და სხეულების გადაადგილების შესახებ (მაგ., აგორებს ბურთს და ამბობს: „ნახე გაგორდა“).	სვამს საგნების მოძრაობასა და სხვა ფიზიკურ მოვლენებთან დაკავშირებულ კითხვებს.	იცნობს ალტერნატიულ ენერგიის წყაროებს (მაგ.,მზის შუქი, ქარი, წყალი).	ატარებს ექსპერიმენტებს საგნების შესასწავლად და იდეების გამოსაცდელად, წინასწარ პროგნოზირებს შესაძლო შედეგებს.	უზიარებს ადამიანებს საკუთარ დაკვირვებებს ფიზიკური მოვლენების შესახებ და ადარებს მათ დაკვირვებებთან (მაგ., ეუბნება უფროსს: „წვიმის შემდეგ ცისარტყელა ჩნდება. შენც დაგინახავს?“);

ბ.გ.დ) ბავშვი ინტერესდება და ეცნობა სივრცეს, დროს, სხვადასხვა კულტურას, ტრადიციებს, სამოქალაქო საკითხებს:

სივრცე	სწავლობს და ხვდება ისეთ ფიზიკურ მიმართებებს, როგორიცაა „ახლოს“ და „შორს“. „ზემოთ“ და „ქვემოთ“, „შიგნით“ და „გარეთ“, „წინ და უკან“.	იცის, საგნების განთავსების ადგილი მათი დანიშნულების მიხედვით (მაგ., გაზქურა – სამზარეულოში, საწოლი – საძინებელში, ხე – პარკში).	იცის იმ ქალაქისა თუ სოფლის სახელი, სადაც ცხოვრობს.	სამეზობლოში ამოიცნობს ნაცნობ ადგილებს.	იცის, რომ გზებზე საგზაო ნიშნებია დამონტაჟებული. ქუჩებს სახელები აქვთ, სახლებს კი – ნომრები.

დრო	ერთმანეთთან აკავშირებს მომხდარ და მიმდინარე მოვლენებს.	იყენებს დროსთან დაკავშირებულ სიტყვებს და ავლენს წარსულის შესახებ ცოდნას (მაგ., დღე და ღამე, დილა, საღამო, დღეს, გუშინ, ხვალ; „მე რომ პატარა ვიყავი...“).	საკუთარ ფოტოებს ქრონოლოგიურად ალაგებს (დაბადებიდან დღემდე).	ავლენს, რომ ელოდება რეგულარულ მოვლენებს და შეუძლია დაასახელოს ყოველდღიური რეჟიმი (მაგ., პირველი – დილის წრეა, სადილის მერე წიგნს ვკითხულობთ და სხვა).	თანამიმდევ-რულად აღწერს რომელიმე მარტივი ამბის ან მოვლენის მიმდინარეობას.
კულტურა და ტრადიციები	იცის, როგორ არის გადანაწი-ლებული თავის ოჯახში ფუნქციები, ანუ ვინ რას აკეთებს, რას საქმიანობს.	მონაწილეობს ეროვნულ-ტრადიციულ დღესასწა-ულებში.	იცის საკუთარი ოჯახის ისტორია (ცნობს ოჯახის წევრებს სურათზე, იცის მათი პროფესიები, ხატავს ოჯახურ პორტრეტებს). როგორ არის თავის ოჯახში ფუნქციები გადანაწილებული. ბავშვი ასახელებს საკუთარ პასუხისმგებლობებს ოჯახში (მაგ., სათამაშოების დალაგება), საბავშვო ბაღში – დაიცვას ჯგუფის წესები).	ინტერესდება სხვა ბავშვების ეთნიკური და კულტურული წარმომავლობით და სხვა ერების ლეგენდებით, ზღაპრებით, სიმღერებითა და ტრადიციებით.	ცნობს ეროვნულ მუსიკას, ცეკვას, საკვებს, ტანსაცმელს.
მოქალაქეობა	იცის, რომ საყიდლებისათვის და სხვა მომსახურები-სათვის საჭიროა ფული.	იცის, რომ სხვადასხვა ადგილას სხვადასხვა წესი მოქმედებს (მაგ., თეატრში, საბავშვო ბაღში, ოჯახში და სხვა).	იცის ჯგუფის წესები და რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს მის დარღვევას.	იცის, რომ უფროსები შესრულებული სამუშაოსათვის იღებენ გასამრჯელოს და ამის საშუალებით ყიდულობენ სხვადასხვა ნივთს ან სარგებლობენ გარკვეული მომსახურებით.	ასახელებს ფულის ერთეულს (ლარი, თეთრი).
	წარმოსახვით თამაშებში ასახიერებს სხვადასხვა პროფესიის ადამიანს. ამოიცნობს რა მოსწონს და რა არ მოსწონს.	ცნობს სახელმწიფო დროშასა და სახელმწიფო ჰიმნს.	მონაწილეობს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და აცნობიერებს თავის როლს/პასუხისმგებლობას ჯგუფში. უზიარებს მზრუნველს და თანატოლს საკუთარ შეხედულებეს იმის შესახებ, თუ რა მოსწონს და რა არ მოსწონს, რა არის სწორი და არასწორი, რა უხარია და რა სწყინს, (მაგ., უხარია როცა ეთამაშებიან, შეაქებენ, სწყინს, როცა გარიყავენ, უბრაზდებიან).	ავლენს ლიდერობის/ წამყვანობის სურვილს საქმიანობაში ან მზრუნველს სთავაზობს დახმარებას. იცის რომ უნდა მიიღოს მონაწილეობა სხვადასხვა საქმიანობებში, იზრუნოს გარემოსა და ახლობელ ადამიანებზე. იცის საზოგადოებაში ქცევის მარტივი წესები: მისალმება, გამომშვიდობება, მადლობის გადახდა, ბოდიშის მოხდა, მოსმენა, იცის რომ ხმამაღლა საუბარი მიუღებელია, მაგიდასთან ქცევის წესები. როგორ უნდა მოიქცეს ქუჩაში, სტუმრად, მაღაზიაში, თეატრში, მუზეუმში;	

ბ.გ.ე) ბავშვი იყენებს მათემატიკურ უნარებს:

<table>
<tr><td rowspan="2">საგნების დაჯგუფება</td><td>მზრუნველის დახმარებით საგნებს ერთი ნიშნით ახარისხებს.</td><td>ობიექტს რომელიმე კრებით კატეგორიას მიაკუთვნებს (მაგ., როდესაც სთხოვენ უჩვენოს ცხოველები ბევრ სხვადასვა გამოსახულებას შორის, უჩვენებს კატას, ძაღლს და ა.შ.).</td><td>ახარისხებს საგნებს ერთი ნიშნის (ფერი, ზომა, ფორმა) მიხედვით ორ ან მეტ ჯგუფად.</td><td>ახარისხებს საგნებს სხვადასხვა ნიშნის მიხედვით, ხსნის რატომ დააჯგუფა ისინი ამ პრინციპით.</td></tr>
<tr><td>ამოიცნობს და ასახელებს ერთ ფერს.</td><td colspan="2">ამოიცნობს და ასახელებს სამ ფერს.</td><td>ამოიცნობს და ასახელებს რამდენიმე ფერს.</td></tr>
<tr><td>ფორმა და სივრცითი აღქმა</td><td>შესაბამის კონტურზე აწყობს სხვადასხვა ზომის გეომეტრიულ ფიგურებს.</td><td>საჭიროების შემთხვევაში, ნივთებს ალაგებს საგნის შიგნით, საგანზე და საგნის ქვეშ.</td><td>ამოიცნობს და ასახელებს სამ ფორმას (მაგ., ოთხკუთხედი, სამკუთხედი, წრე).</td><td>გადაიხატავს სხვადასხვა კონსტრუქციებს (მაგ., კუბებით აშენებული კოშკი).</td><td>ამოიცნობს და გეომეტრიული სახელწოდებით მოიხსენიებს რამდენიმე სამგანზომილებიან ფორმას (მაგ., სფერო, კუბი, ცილინდრი, პირამიდა, კონუსი).</td></tr>
<tr><td rowspan="2">რიცხვები</td><td>იყენებს სიტყვებს – მეტი, ნაკლები. ესმის ცნებები – ყველა, არცერთი.</td><td>განასხვავებს ასოებს ციფრებისაგან.</td><td>ყოველღიურ ცხოვრებაში იყენებს რიცხვებს და თვლას (მაგ., ითვლის ბურთების რაოდენობას ყუთში).</td><td>იცის, რომ რიცხვი აღნიშნავს რაოდენობას (მაგ., იღებს იმდენ ვაშლს, რამდენსაც სთხოვენ).</td></tr>
<tr><td>ითვლის ხუთამდე.</td><td>გადაითვლის მაქსიმუმ 5 საგანს.</td><td>ამოიცნობს ციფრების სიმბოლოს 1-დან 5-ის ჩათვლით, აკავშირებს საგნის რაოდენობასთან.</td><td>ამოიცნობს ციფრების სიმბოლოს ათამდე.</td></tr>
<tr><td>გაზომვა</td><td>მოთხოვნის მიხედვით ორ ერთნაირ საგანს შორის ამოირჩევს უფრო დიდს ან უფრო პატარას.</td><td>იყენებს შედარების აღმნიშვნელ სიტყვებს - დიდი და პატარა.</td><td>ერთმანეთს ადარებს სხვადასხვა საგნის ზომებს, რომლებიც ყოველდღიურ ცხოვრებაში ხვდება (მაგ., გვერდიგვერდ აწყობს სხვადასხვა ადამიანის ფეხსაცმელს იმის სანახავად, თუ რომელი უფრო გრძელია).</td><td>ასახელებს დიდ ან პატარა, მძიმე ან მსუბუქ, გრძელ ან მოკლე საგნებს საგანთა მიწოდებული წყვილიდან და აფასებს ზომას (მაგ., „მე უკვე ვწვდები ყვითელ თაროს“).</td><td>ადეკვატურად იყენებს სიგრძისა და მასის აღმნიშვნელ სიტყვებს (გრძელი, მოკლე, მძიმე და მსუბუქი);</td></tr>
</table>

ბ.გ.3) ბავშვი შესაბამისი დანიშნულებით იყენებს ტექნიკას:

ყოველდღიური ტექნოლოგია	ასახელებს ტექნიკას გამოყენების ან ჩვენების დროს (მაგ., ტელეფონი, ტელევიზორი, მობილური და სხვა) და საუბრობს თავის გამოცდილებაზე.	იყენებს ტელეფონს ახლობელ ადამიანებთან სასაუბროდ და ტელევიზორს, მუსიკალურ ცენტრს ელემენტარულ დონეზე (მაგ., ხმის აწევ-დაწევა).	ემორჩილება შემუშავებულ წესებს ტექნიკის გამოყენებისას (მაგ., იყენებს მხოლოდ განსაზღვრული დროით, ეპყრობა სიფრთხილით, დებს თავის ადგილას, აქრობს შუქს, თუ ოთახში არავინ არის).	სხვადასხვა ტიპის ტექნიკას (მაგ., პულტი, ტელევიზორი, კომპიუტერი,) მიზნობრივად იყენებს.	იცის, რომ შესაძლებელია ტექნოლოგიების გამოყენება ინფორმაციის მოსაპოვებლად; ინტერესით უყურებს მზრუნველს, როდესაც ის ეძებს მისთვის სასურველ ინფორმაციას ინტერნეტში.
ინსტრუმენტები და ხელსაწყოები	საუბრობს და კითხვებს სვამს სპეციფიკური ინსტრუმენტებისა და მანქანების, ასევე მათი დანიშნულების შესახებ (მაგ., სამედიცინო, სამშენებლო, სამეცნიერო).	აწყვილებს პროფესიის წარმომადგენელსა და მის მიერ გამოყენებულ ტექნიკას (მაგ., მეხანძრე და სახანძრო მანქანა, მშენებელი და ჩაქუჩი, ექიმი და ნემსი).	დრამატული თამაშის დროს რეალურ ან სათამაშო სამედიცინო ინსტრუმენტებს ისე იყენებს, როგორც ნანახი აქვს ექიმთან.	საუბრობს მანქანების მრავალფეროვნებაზე, რომელიც გამოყენებულია სხვადასხვა პროფესიაში (სახანძრო, სასწრაფო, სატვირთო მანქანა, თვითმფრინავი, გემი და სხვა).	სახელოსნოში უფროსის ზედამხედველობის ქვეშ იყენებს სხვადასხვა სამშენებლო იარაღს (მაგ., სახრახნისს, ჩაქუჩსა და ლურსმანს).

თავი III

სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტი

სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტი

სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტის რეგულირების სფერო და მიზნები

1. სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტი განსაზღვრავს, თუ რა ცოდნას, უნარ-ჩვევებს, ღირებულებებსა და დამოკიდებულებებს უნდა იძენდეს ბავშვი 5 წლიდან ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის პირველ კლასში შესვლამდე.
2. სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტის მიზნებია:
   - ა) განუვითაროს ბავშვს მომავალი ცხოვრებისათვის, წარმატებულ მოქალაქედ ფორმირებისათვის, მეგობრებსა და ოჯახის წევრებთან პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბებისათვის საჭირო უნარები;
   - ბ) ხელი შეუწყოს ბავშვს სწორი არჩევანის გაკეთებასა და გამოწვევებთან გამკლავებაში; კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებაში;
   - გ) განუვითაროს ბავშვს ფიზიკური და ემოციური სიჯანსაღე;
   - დ) მოამზადოს ბავშვი ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის პირველ კლასში მოსწავლის მიმართ არსებული მოლოდინებისა და გამოწვევებისათვის;
   - ე) შეუქმნას ბავშვს პოზიტიური განწყობა სწავლისადმი სკოლაში წასვლამდე ერთი წლის განმავლობაში;
   - ვ) განუვითაროს ბავშვს კითხვისა და წერის სწავლისათვის საჭირო უნარები და მათემატიკური წარმოდგენები.

სტანდარტის დანერგვის ზოგადი რეკომენდაციები

1. სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტის შინაარსი დაეხმარება აღრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების წარმომადგენლებს სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის წარმართვაში. სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტების მიხედვით სააღმზრდელო პროცესის განხორციელება, თავის მხრივ, მოითხოვს შესაბამის მეთოდოლოგიურ რესურსებს, სააღმზრდელო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელებისათვის საჭირო ინსტრუქცია-რეკომენდაციებს და ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სათანადო მოწყობას.
2. სტანდარტის დანერგვისთვის მნიშვნელოვანი რესურსები და საქმიანობაა:
   - ა) აღმზრდელის სახელმძღვანელო;
   - ბ) სასკოლო მზაობის პროგრამის ყოველკვირეული აქტივობების კრებული;
   - გ) ტრენერთა, მეთოდისტთა/აღმზრდელთა სატრენინგო მოდულები;
   - დ) ფიზიკური და საგანმანათლებლო გარემოს მოწყობისთვის საჭირო რეკომენდაციები;
   - ე) სასკოლო მზაობის ჯგუფებისათვის შესაბამისი მასალებისა და რესურსების ჩამონათვალი;
   - ვ) ფიზიკური გარემოს მოწყობა და შესაბამისი საგანმანათლებლო მასალითა და რესურსით აღჭურვა;
   - ზ) ადამიანური რესურსის მომზადება/გადამზადება;
   - თ) სტანდარტის დანერგვის მონიტორინგი;
   - ი) საკონსულტაციო მხარდაჭერა.

ბავშვის განვითარების სფეროები, ქვესფეროები, მიმართულებები და შედეგები

1. ბავშვის განვითარების სფერო – ჯანმრთელობა და ფიზიკური განვითარება – ადრეულ ასაკში ადამიანის სხეული მუდმივად და მნიშვნელოვნად იცვლება. ეს ცვლილებები გამოიხატება არა მხოლოდ ბავშვის სიმაღლეში ზრდასა და სხეულის მასის მატებაში, არამედ მისი აღნაგობისა და პროპორციების ცვლილებებში, კოორდინაციის უნარისა და მოძრაობის დახვეწაში. ბავშვის ჯანმრთელობა და კეთილდღეობა მისი ადეკვატური ზრდისა და განვითარების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. ჯანმრთელობისა და ფიზიკური განვითარების სფერო წარმოდგენილია შემდეგი ქვესფეროებით:

   ა) ფიზიკური განვითარება, მათ შორის, მოტორული განვითარება – ფიზიკური განვითარება ზრდის დინამიკური პროცესია, რომელიც დამოკიდებულია როგორც გენეტიკურ, ასევე გარემო ფაქტორებზე. ზრდის დინამიკური პროცესი გულისხმობს სხეულის მასის, სიგრძის, თავისა და გულმკერდის გარშემოწერილობების მატებას, სხეულის ცალკეული ნაწილის პროპორციების ჩამოყალიბებასა და ბავშვის ორგანიზმის ბიოლოგიურ მომწიფებას. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვის ფიზიკური ჩვევები და უნარები გარკვეული კანონზომიერებით ვითარდება, გასათვალისწინებელია, რომ ყველა ბავშვი უნიკალურია და განვითარების ტემპიც ინდივიდუალური აქვს. მოტორული განვითარება არის ბავშვის უნარი, სხვადასხვა ჯგუფის კუნთების ამოქმედებით შეასრულოს ესა თუ ის მოძრაობა. მოტორული განვითარება მოიცავს მსხვილ, ანუ უხეშ და წვრილ, ანუ ნატიფ მოტორიკასა და სენსო-მოტორულ, ანუ მგრძნობელობით-მოძრაობით უნარებს. მსხვილი მოტორიკა (უხეში მოტორიკა) არის ბავშვის უნარი, აკონტროლოს კიდურები და მსხვილი კუნთები, რომელთა საშუალებითაც იგი ახერხებს სიარულს, სირბილს, ხტომასა და სხვა. წვრილი მოტორიკა (ნატიფი მოტორიკა) არის ბავშვის უნარი, აკონტროლოს მაჯისა და თითების მომხრელი და გამშლელი კუნთები, თვალის სწორი და ირიბი კუნთები, რომლებიც მხედველობის მიმართულებას განსაზღვრავენ და რომელთა საშუალებითაც ბავშვი ახერხებს ხატვას, ძერწვასა და თასმების შეკვრას. სენსორული (გრძნობადი) პროცესები არის შეგრძნებების (მხედველობის, ყნოსვის, სმენის, გემოს, შეხების) საშუალებით გარემოს აღქმისა და შეცნობის უნარი, რაც ბავშვს კოორდინირებული მოქმედებების შესრულებაში ეხმარება;

   ბ) ჯანმრთელობა – ჯანმრთელობა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია პირადი ჰიგიენისა და მოვლის ძირითადი უნარ-ჩვევების ცოდნაზე. კარგი ფიზიკური მდგომარეობა, ჯანმრთელობა განაპირობებს ბავშვის ენერგიულობას, ძალას, ამტანობასა და მოქნილობას. ეს საშუალებას აძლევს ბავშვს, ჩაერთოს სხვადასხვა აქტივობაში, გამოხატოს ინტერესი, შეძლოს ყურადღების კონცენტრაცია, რაც მეტად მნიშვნელოვანია სწავლის პროცესში;

   გ) კვება – კვება ჯანმრთელობისა და ფიზიკური განვითარების უმნიშვნელოვანესი ასპექტია. სკოლამდელ ასაკში ბავშვებს ექმნებათ წარმოდგენები ჯანსაღი და არაჯანსაღი კვებისა და საკვები პროდუქტების შესახებ, უყალიბდებათ კვებასთან დაკავშირებული ჩვევები. ამასთანავე, კვების პროცესი იძლევა ბავშვებში სხვა მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევების (კომუნიკაცია, სოციალურ-ემოციური უნარები, შემეცნებითი უნარები და ზოგადი ცოდნა) განვითარების შესაძლებლობას;

   დ) უსაფრთხოება – უსაფრთხოება ფიზიკური კეთილდღეობის სრულყოფილების მნიშვნელოვანი ასპექტია. უსაფრთხოებისათვის აუცილებელია ბავშვის დაცვა ზიანის მომტანი სხვადასხვა ნივთიერებისა და სიტუაციის ზემოქმედებისაგან. ამავდროულად, მნიშვნელოვანია ბავშვისათვის იმის სწავლება, თუ როგორ მოერიდოს სახიფათო ნივთსა და როგორ აიცილოს თავიდან სხვადასხვა საშიში სიტუაცია. ამ უნარების განვითარებისათვის ბავშვმა უნდა ისწავლოს უსაფრთხოების წესები, მათ შორის, სხვადასხვა ბუნებრივი კატასტროფების შემთხვევაში მოქცევის წესები, უნდა იცოდეს, როდის და როგორ ითხოვოს დახმარება და გაიაზროს, რომ არსებობს ზღვარი უსაფრთხოებასა და საშიშროებას შორის. ფიზიკურ უსაფრთხოებასთან ერთად ბავშვები სწავლობენ პირადი უსაფრთხოების დაცვის ძირითად წესებს, სწავლობენ განსხვავებას მისაღებ და მიუღებელ ფიზიკურ შეხებებს შორის.

1. ბავშვის განვითარების სფერო – ჯანმრთელობა და ფიზიკური განვითარება		
ქვესფერო	მიმართულება	მიმართულება
ა) ფიზიკური განვითარება	ა.ა) მსხვილი მოტორიკა	ბავშვს შეუძლია განახორციელოს კოორდინირებული მოძრაობები სირბილის, ხტუნვის და ცოცვის დროს; დაიცვას წონასწორობა და სიამოვნება მიიღოს ფიზიკური აქტიურობისაგან.
	ა.ბ) ნატიფი მოტორიკა	ბავშვს შეუძლია ადვილად ჩაერთოს მისთვის ნაცნობ აქტივობებში, რომლებიც თვალისა და ხელის კოორდინაციას მოითხოვს; ბავშვს მოსწონს ახალი დავალებების შესრულება, რომლებიც ნატიფი მოტორიკის გამოყენებას მოითხოვს: მაგ., ძერწვა, „ფაზლების“ აწყობა, ხატვა და ა.შ.
	ა.გ) სენსორული პროცესები	ბავშვს შეუძლია აღიქვას სამყარო მხედველობის, სმენის, შეხების, გემოსა და ყნოსვის შეგრძნებებით.
	ა.დ) ფიზიკური აქტივობა	ბავშვს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს მრავალფეროვან ფიზიკურ აქტივობებში, აქვს ენერგია და გამძლეობა.
ბ) ჯანმრთელობა	ბ.ა)პირადი ჰიგიენა და თავის მოვლის უნარ-ჩვევები	ბავშვს შეუძლია თვითმომსახურება და პირადი ჰიგიენის დაცვა. კერძოდ, საპირფარეშოთი სარგებლობა, ხელ-პირის დაბანა, კბილების გახეხვა და ჩაცმა.
გ) კვება	გ.ა) კვებასთან დაკავშირებული უნარ-ჩვევები	ბავშვს შეუძლია ჯანსაღი და არაჯანსაღი საკვების განსხვავება, დამოუკიდებლად ჭამა, წესების დაცვა ჭამის დროს.
დ) უსაფრთხოება	დ.ა) ფიზიკური უსაფრთხოება	ბავშვს შეუძლია თავი აარიდოს საფრთხის შემცველ საგნებსა და სიტუაციებს, ესმის უსაფრთხოების წესები და ითვალისწინებს მათ; აქვს ინფორმაცია ბუნებრივი კატასტროფების, მაგ., მიწისძვრის, წყალდიდობის, ქარიშხლის და ხანძრის დროს თავდაცვის გზებზე.

2. ბავშვის განვითარების სფერო – სწავლისადმი მიდგომა – სწავლისადმი მიდგომა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სფეროა სასკოლო მზაობისათვის. სწავლისადმი მიდგომა აერთიანებს სწავლისადმი დამოკიდებულებასა და სასწავლო უნარ-ჩვევებს. სწავლისადმი მიდგომა მჭიდროდ უკავშირდება როგორც შემეცნებით, ასევე სოციალურ-ემოციურ სფეროს. სწავლისადმი დამოკიდებულება მოიცავს მოტივაციურ ასპექტებს, რომელიც განმარტავს, რატომ და რისთვის სწავლობს ბავშვი; სასწავლო უნარ-ჩვევები კი მოიცავს შემეცნებით პროცესებს, რომლებიც ხსნის, თუ როგორ სწავლობს ბავშვი. ამ პრინციპზე დაყრდნობით სწავლისადმი მიდგომაში გამოყოფილია შემდეგი ქვესფეროები:

ა) მოტივაცია – არის ქცევის ფსიქოლოგიური საფუძველი. ის აძლევს ბიძგს მოქმედებას. სწავლის მოტივაცია განაპირობებს ბავშვის ჩართვას სწავლის პროცესში. მოტივაცია თავის მხრივ მოიცავს:

ა.ა) ცნობისმოყვარეობას და ინტერესს, რომელიც გამოხატავს ბავშვის ცნობისწადილით აღსავსე დამოკიდებულებას, ახალი ინფორმაციის მოპოვების, ახალი გამოცდილების შეძენისა და სწავლის სურვილს;

ა.ბ) ინიციატივას და დამოუკიდებლობას, რომელიც ეხმარება ბავშვს ჩაერთოს მოქმედებაში, მიიღოს მონაწილეობა სასწავლო აქტივობებში და გაბედულად აითვისოს სიახლეები;

ბ) სასწავლო უნარები – გულისხმობს ინფორმაციის მიღებისა და გადამუშავების გზასა და სტილს.

სასწავლო უნარები მოიცავს:

ბ.ა) ყურადღების კონცენტრირებას, რომელიც არის ბავშვის უნარი, მიმართოს ყურადღება გარკვეულ საქმიანობაზე და გარკვეული დროის განმავლობაში შეინარჩუნოს იგი; არ გადაერთოს სხვა საკითხზე მის წინაშე დასმული ამოცანის შესრულებამდე;

ბ.ბ) შემოქმედებითობასა და გამომგონებლობას, რომელიც გამოხატავს ბავშვის უნარს, გაიღრმავოს არსებული ცოდნა, გამოიყენოს წარმოსახვა და გონებასა და ქმედებაში გარდაქმნას ფორმები და სახეები, რომლებსაც იმ მომენტში რეალურად ვერ ხედავს;

ბ.გ) პრობლემის გადაჭრას, რომელიც გამოხატავს ბავშვის უნარს, გაუმკლავდეს პრობლემურ სიტუაციას, მოძებნოს გამოსავალი და სცადოს მისი გადაჭრა რამდენიმე ხერხით;

ბ.დ) სიმბოლურ აზროვნებას, რომელიც ემსახურება ბავშვის ეტაპობრივ მომზადებას სიმბოლოების გამოყენებისა და გაგებისათვის;

ბ.ე) გააზრებასა და ინტერპრეტაციას, რომელიც გამოხატავს ბავშვის უნარს, ისწავლოს გამოცდილებაზე დაყრდნობით – გაიაზროს ინფორმაცია და მიღებული გამოცდილება გამოიყენოს მომავალი მოქმედებისათვის;

ბ.ვ) კრიტიკულ აზროვნებას, რომელიც პრობლემების კრიტიკულ ანალიზსა და შეფასებას გულისხმობს;

ბ.ზ) კვლევას, რომელიც გამოხატავს ინფორმაციის მიღებისა და გადამუშავების პროცესებსა და საშუალებებს. ბავშვი ამ ასაკში სამყაროს შესახებ ინფორმაციას ძირითადად ობიექტებთან უშუალო კონტაქტით, მოსინჯვით, ცდისა და შეცდომის მეთოდით იღებს. იკვლევს ობიექტებს, მასალებსა და მათ მახასიათებლებს, აღმოაჩენს მათ შორის მსგავსებასა და განსხვავებას.

2. ბავშვის განვითარების სფერო – სწავლისადმი მიდგომა		
ქვესფერო	**მიმართულება**	**მიმართულება**
ა) მოტივაცია	ა.ა) ცნობისმოყვარეობა და ინტერესი	ბავშვს შეუძლია ახალი ინფორმაციის მიღების მიზნით დასვას შეკითხვები და მზად არის ახალი გამოცდილების მისაღებად.
	ა.ბ)ინიციატივა და დამოუკიდებლობა; ბალანსი დამოუკიდებლობასა და დამოკიდებულებას შორის	ბავშვს შეუძლია შეარჩიოს მისთვის სასურველი აქტივობა, გააკეთოს კარგი არჩევანი. ცდილობს პრობლემის გადაჭრას, საჭიროების შემთხვევაში მიმართავს სხვებს დახმარებისთვის.
ბ) სასწავლო და საგაზროვნო უნარები	ბ.ა)პირადი ჰიგიენა და თავის მოვლის უნარ-ჩვევები	ბავშვს შეუძლია თვითმომსახურება და პირადი ჰიგიენის დაცვა. კერძოდ, საპირფარეშოთი სარგებლობა, ხელ-პირის დაბანა, კბილების გახეხვა და ჩაცმა.
	ბ.ა) ყურადღების კონცენტრირება	ბავშვს შეუძლია შეაჩეროს და გარკვეული დროის განმავლობაში შეინარჩუნოს ყურადღება კონკრეტულ ამოცანაზე, მათ შორის გარკვეული დაბრკოლებების წარმოქმნის შემთხვევაშიც.
	ბ.ბ) შემოქმედებითობა და გამომგონებლობა	ბავშვს მოსწონს სხვადასხვა სახის შემოქმედებითი აქტივობები; შეუძლია მოიგონოს ახალი როლები, დიალოგები, ამბები და თამაშები. ძერწვისას და ხატვისას შექმნას ახალი ფორმები და შინაარსები.
	ბ.გ) პრობლემის გადაჭრა	ბავშვს შეუძლია მოძებნოს პრობლემების გადაჭრის განსხვავებული გზები.

ბ) სასწავლო და სააზროვნო უნარები	ბ.დ) სიმბოლური აზროვნება	ბავშვს შეუძლია ამოიცნოს და სხვადასხვა საგნის, თუ მოვლენების წარმოსადგენად გამოიყენოს სიმბოლოები და ნიშნები (მაგ., ამოიცნოს სიმბოლო, რომელიც მიუთითებს მედ. პუნქტს, საპირფარეშოს; როლური თამაშის დროს გამოიყენოს განსხვავებული საგნები როგორც სიმბოლოები).
	ბ.ე)გააზრება და ინტერპრეტირება	ბავშვს შეუძლია ისწავლოს საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით.
	ბ.ვ)კრიტიკული აზროვნება	ბავშვს შეუძლია საგნებისა და მოვლენების შედარება, მათ შორის მსგავსებისა და განსხვავების ამოცნობა.
	ბ.ზ)კვლევა	ბავშვს შეუძლია მიიღოს ინფორმაცია შეკითხვების დასმის, უშუალო დაკვირვების, ცდისა და შეცდომის გზით.

3. ბავშვის განვითარების სფერო – სოციალურ-ემოციური განვითარება – ადამიანის შემეცნების (აზროვნების, კოგნიციის) განვითარებასთან ერთად ეტაპობრივად ვითარდება სოციალური უნარ-ჩვევებიც. სოციალურ-ემოციური სფერო განსაზღვრავს ბავშვის პიროვნული თვისებების ჩამოყალიბებასა და ადამიანებთან ურთიერთობას. სოციალურ-ემოციური განვითარების ქვესფეროებია:

   ა) ემოციური განვითარება – განაპირობებს ბავშვის უნარს, შეძლოს საკუთარი გრძნობების გააზრება და გამოხატვა, სხვათა გრძნობების გაგება (თანაგრძნობა) და სათანადოდ რეაგირება. წინასასკოლო ასაკში ბავშვები აქტიურად ურთიერთობენ ერთმანეთთან, მეგობრობენ, ჩხუბობენ, რიგდებიან, სწყინთ, ეჭვიანობენ და ასევე ეხმარებიან ერთმანეთს. ბავშვები ამ ურთიერთობებს ძალიან მძაფრად განიცდიან და განსხვავებული გრძნობები ეუფლებათ. ამ ასაკში მიღებული გამოცდილება მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ბავშვის შემდგომ ურთიერთობებსა და დამოკიდებულებებზე სამყაროს მიმართ. ამიტომ ამ სფეროს განვითარებას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ბავშვის პიროვნების ფორმირების თვალსაზრისით. ემოციური განვითარება მოიცავს შემდეგ მიმართულებებს:

   ა.ა) თვითშეფასება – ეს არის ადამიანის დამოკიდებულება საკუთარი თავის მიმართ, როგორ აფასებს საკუთარ თავსა და ქცევას – დადებითად თუ უარყოფითად, აგრეთვე საკუთარი თავის რწმენასა და იმედს, რომ წარმატებული იქნება ამა თუ იმ საქმიანობაში ან სხვებთან ურთიერთობის დროს;

   ა.ბ) იდენტობა („მე“ – კონცეფცია)– ეს არის ადამიანის წარმოდგენა საკუთარი თავის შესახებ: ვინ ვარ მე? რომელ ჯგუფს ვაკუთვნებ ჩემ თავს? ბავშვი მიაკუთვნებს საკუთარ თავს გარკვეულ ეროვნებას, სქესსა და ა.შ.;

   ა.გ) თვითმართვა – გულისხმობს ადამიანის მიერ საკუთარი ქცევებისა და ემოციების მართვის უნარს. ამაში მოიაზრება სტრესული სიტუაციების დაძლევა, იმედგაცრუებისა და მარცხის გადატანა, ნებისყოფის გამომუშავება ყოველდღიური საქმიანობითა და წესების დაცვით;

   ა.დ) თვითგამოხატვა – გულისხმობს ადამიანის უნარს, სწორად გაიგოს საკუთარი განცდები და სათანადოდ გამოხატოს საკუთარი თავი, დამოკიდებულებები და გრძნობები;

   ბ) სოციალური განვითარება – განაპირობებს ბავშვის უნარს, დაამყაროს ურთიერთობა გარემოსა და გარშემომყოფებთან. სოციალური განვითარება თავის მხრივ მოიცავს შემდეგ მიმართულებებს:

   ბ.ა) ურთიერთობა უფროსებსა და თანატოლებთან – ეს არის, ერთი მხრივ, ბავშვებს შორის ურთიერთობა და, მეორე მხრივ, ბავშვებსა და ზრდასრულებს შორის კავშირის დამყარების პროცესი, რომელიც რთული და მრავალმხრივია. თანატოლებთან ურთიერთობის მნიშვნელოვანი ნაწილია კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების უნარ-ჩვევები;

   ბ.ბ) ჯგუფში ქცევისა და ადაპტაციის უნარი (ადაპტაციური სოციალური ქცევა) – გულისხმობს ბავშვის უნარს, შეეგუოს იმ ადამიანებს, რომლებთანაც ურთიერთობს და იმ სიტუაციას, რომელშიც იმყოფება. ერთი მხრივ, გამოამჟღავნოს ნდობა, გასაგებად და თავდაჯერებულად გამოხატოს თავისი სურვილები და განცდები და, მეორე მხრივ, გაუგოს სხვას. თუ ბავშვს არ აქვს სხვისი როლის გათავისების უნარი, მას უჭირს, დაინახოს მოვლენები სხვა ადამიანის თვალთახედვიდან, თანაუგრძნოს სხვა ადამიანს. ასაკობრივ ზრდასთან ერთად ბავშვს ეს უნარი უვითარდება.

3. ბავშვის განვითარების სფერო – სოციალურ-ემოციური განვითარება		
ქვესფერო	მიმართულება	მიმართულება
ა) ემოციური განვითარება	ა.ა) თვითშეფასება	ბავშვს გააზრებული აქვს საკუთარი შესაძლებლობები და მათთან დაკავშირებული სირთულეები.
	ა.ბ) იდენტობა	ბავშვი აკუთვნებს თავს სხვადასხვა ჯგუფს (ოჯახს, ბაღს, ბაღის ჯგუფს, სამშობლოს).
	ა.გ) თვითმართვა	ბავშვს შეუძლია საკუთარი ემოციების და იმპულსების მართვა;
	ა.დ) თვითგამოხატვა	ბავშვს შეუძლია სიამოვნების/ჯილდოს მოკლე დროით გადავადება.
ბ) სასწავლო და საგზაო უნარები	ბ.ა) ურთიერთობა უფროსებთან	ბავშვს შეუძლია ენდოს ნაცნობ უფროსებს და ჰქონდეს მათთან პოზიტიური ურთიერთობა.
	ბ.ბ) ურთიერთობა თანატოლებთან	ბავშვს შეუძლია გამოამუღავნოს კეთილგანწყობა და ითამაშოს თითქმის ყველა თანატოლთან, მათ შორის მათთან, ვინც რაიმე ნიშნით განსხვავდება მისგან – სქესის, შეზღუდული შესაძლებლობის, გარეგნული ან სხვა რაიმე ნიშნით;
	ბ.გ) ჯგუფში ქცევისა და ადაპტაციის უნარი	ბავშვს შეუძლია მოლაპარაკების გზით კონფლიქტის გადაჭრა.
	ბ.გ.ა) თავდაჯერებულობა და ავტონომიურობა	ბავშვს შეუძლია თავი იგრძნოს უსაფრთხოდ და დაცულად ნაცნობ გარემოში, იოლად ჩაერთოს მიმდინარე ჯგუფურ აქტივობებში.
	ბ.გ.ბ) მოქნილობა	ბავშვს შეუძლია გაიაზროს გარკვეული ქცევის შესაძლო შედეგები.
	ბ.გ.გ)თანაგრძნობა	ბავშვს შეუძლია გამოამუღავნოს მოქნილობა და საკუთარი ქცევა მიუსადაგოს გარემოსა და ყოველდღიურ საქმიანობებს.

4. ბავშვის განვითარების სფერო – შემეცნებითი განვითარება და ზოგადი ცოდნა – შემეცნება არის ცოდნის მიღების პროცესი, წარმოდგენების შექმნა სამყაროს მოვლენების, მათი თანაარსებობისა და თანმიმდევრობის შესახებ. შემეცნებით განვითარებას ეტაპობრიობა ახასიათებს, კერძოდ, განვითარების ყოველი შემდგომი ეტაპი ეფუძნება წინა ეტაპზე მიღებულ გამოცდილებას. შემეცნებითი უნარებისა და შესაძლებლობის განვითარებისათვის მეტად მნიშვნელოვანია ბავშვის განვითარების პირველი წლები. ბავშვს ცოდნის შეძენასთან ერთად უვითარდება ის ფუნქციები, რომელთა მეშვეობითაც ამ ცოდნას იძენს. ადამიანს სამყაროს შესახებ წარმოდგენა ადრეული ასაკიდანვე ექმნება. შემეცნებით განვითარებას სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება როგორც ყოველდღიური ფუნქციონირებისათვის, ასევე წარმატების მისაღწევად. შემეცნებითი განვითარებისათვის საჭიროა, ბავშვს განუვითარდეს რაოდენობრივი წარმოდგენები, ჩაწვდეს სივრცით მიმართებებს, მოვლენებს შორის დროით და მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს. ცოდნას, ინფორმაციას როგორც ფიზიკური, ისე სულიერი სამყაროს შესახებ, ბავშვი სხვადასხვა გზით იღებს, მათ შორის, ადამიანებთან, საზოგადოებასთან ურთიერთობის საშუალებით. ასევე მნიშვნელოვანია, ბავშვი ჩართული იყოს შემოქმედებით პროცესებში და ჰქონდეს თვითგამოხატვის მრავალფეროვანი საშუალება. ყოველივე ეს ბავშვს ეხმარება წარმოდგენის შექმნაში ადამიანის იმ სპეციფიკურ მახასიათებლებზე, რაც განასხვავებს მას სხვა არსებებისგან, კერძოდ, შემოქმედებითობაზე, ზოგადად, კულტურის გავლენასა და სოციალურ მახასიათებლებზე – ოჯახზე, საზოგადოებაზე. შემეცნებითი განვითარება და ზოგადი ცოდნა აერთიანებს შემდეგ ქვესფეროებს:

ა) ესთეტიკა და კულტურა – ესთეტიკა და კულტურა აერთიანებს ბავშვის უნარებს, გამოხატოს და წარმოადგინოს საკუთარი თავი, მისი შინაგანი სამყარო მუსიკის, ცეკვის, წარმოდგენის (პერფომანსის), ხატვისა და ხელოვნების სხვა მრავალფეროვანი გამომსახველობითი

საშუალებებით. ეს კი, თავის მხრივ, გულისხმობს ბავშვის მიერ ხელოვნების სხვადასხვა ფორმის აღქმას, გაგებასა და დაფასებას. ამ ქვესფეროში დიდი ყურადღება ეთმობა ბავშვის მიერ საკუთარი ოჯახის, საზოგადოებისა და ქვეყნის კულტურის შესახებ ცნობიერების განვითარებას;

ბ) მათემატიკური წარმოდგენები – მათემატიკური წარმოდგენების ფორმირება მოიცავს პირველი ათეულის ფარგლებში ნატურალური რიცხვების თვლასა და უკუთვლას, ნუმერაციულ შეკრება-გამოკლებას, შედარებას, მოცულობითი (კუბი, ბირთვი, პირამიდა, ცილინდრი, კონუსი) და ბრტყელი გეომეტრიული ფიგურების (წრე, სამკუთხედი, კვადრატი) დახასიათებას, სივრცესა და დროში ორიენტაციის შესახებ უნარების განვითარებას. ისინი დაეხმარებიან ბავშვებს ეფექტურად გადაწყვიტონ ყოველდღიურ ცხოვრებაში არსებული პრობლემები მათემატიკური კუთხით;

გ) ბუნება – ბუნება აერთიანებს ბავშვის უნარებს, გაიგოს, შეიმეცნოს ფიზიკური გარემო, დააკვირდეს, გამოიკვლიოს, ჩაატაროს ექსპერიმენტები იმ პროცესებზე, რომლებსაც თვალსაჩინო შედეგი მოსდევს. გარემოს შესახებ ცოდნის შეძენით ბავშვი ინფორმაციას იღებს, მაგ., დედამიწისა და ცოცხალი ბუნების შესახებ, სწავლობს ბუნებაზე ზრუნვის მნიშვნელობას;

დ) ტექნოლოგია – ტექნოლოგია გულისხმობს ბავშვის უნარ-ჩვევებს, რომლებიც სხვადასხვა ასაკის შესაბამისი ტექნოლოგიების უსაფრთხო გამოყენებას უკავშირდება;

ე) ზოგადი ცოდნა – ზოგადი ცოდნა მოიცავს ცოდნას დროითი და სივრცითი მიმართებების შესახებ. დროითი მიმართებები გულისხმობს – როდის ხდება კონკრეტული მოვლენა? – წარსულში, აწმყოსა თუ მომავალში. ასევე მოვლენათა თანმიმდევრობას, ხანგრძლივობასა და თანხვედრას. სივრცითი მიმართებები გულისხმობს საგანთა მდებარეობისა და საგანთა ურთიერთგანლაგების აღქმასა და წარმოდგენას, სად მდებარეობს კონკრეტული საგანი? ჩემ ზევით, ქვევით და ა.შ.;

ვ) სააზროვნო უნარები (ლოგიკური აზროვნება) – სააზროვნო უნარები (ლოგიკური აზროვნება) გულისხმობს მიზეზ-შედეგობრიობის გააზრებას, საგნების ან მოვლენების დაკავშირებას ერთმანეთთან, იმის გარკვევას, თუ რა იწვევს ცვლილებას, რით არის ცვლილება განპირობებული. მიზეზ-შედეგობრიობის შესახებ წარმოდგენები ბავშვებს უვითარდებათ უშუალო დაკვირვების, ექსპერიმენტების ჩატარების გზით. სააზროვნო უნარები გულისხმობს სხვა მნიშვნელოვან უნარებსაც, რომლებიც ზემოთ დეტალურად არის განხილული სწავლისადმი მიდგომის სფეროს ქვეშ.

4. ბავშვის განვითარების სფერო – შემეცნებითი განვითარება და ზოგადი ცოდნა		
ქვესფერო	**მიმართულება**	**მიმართულება**
ა) ესთეტიკა და კულტურა	ა.ა) გარემოს ესთეტიკური აღქმა და დაფასება	ბავშვს აქვს ყოველდღიური შეხება წიგნებთან, სათამაშოებთან, ანიმაციურ ფილმებთან და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშებთან, ადეკვატურად აღიქვამს მათ. შერჩეული აქვს საყვარელი ნივთი ან ხელოვნების ნიმუში, წიგნი ან ანიმაციური ფილმი.
	ა.ბ) თვითგამოხატვა	ბავშვს მოსწონს ხელოვნების სხვადასხვა სფეროს აქტივობებში მონაწილეობა.
	ა.გ) ოჯახი	ბავშვს შეუძლია აღწეროს საკუთარი ოჯახი, მისი ზოგიერთი გამორჩეული მახასიათებელი, ტრადიციები და წეს-ჩვეულებები.
	ა.დ) გათვიცნობიერებულობა სამოქალაქო საკითხებში	ბავშვს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ჯგუფის წესების შემუშავებაში და დაიცვას ისინი. ბავშვს შეუძლია მოქმედებისას დაიცვას სამართლიანობის და თანასწორობის პრინციპი, დაეხმაროს სხვებს. ბავშვს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს სივრცის მოწესრიგებასა და სხვა ყოველდღიურ, რუტინულ საქმიანობებში, შრომით საქმიანობებში.

	ა.ე) საკუთარი და სხვათა კულტურის შესახებ ცოდნა	ბავშვი მონაწილეობს ტრადიციულ აქტივობებში, ამაყობს თავისი კულტურით და პატივს სცემს სხვა კულტურებს.
ბ) მათემატიკური წარმოდგენები	ბ.ა) რიცხვები და ანგარიში	ბავშვს შეუძლია: – შეადაროს ერთნაირი საგნებისგან შემდგარი მოწესრიგებული ერთობლიობა (ამბობს – მეტია, ნაკლებია ან თანაბარი); – დაასახელოს მოცემული რიცხვის მომდევნო რიცხვი (0-9 მდე); – დაუთვლელად დაასახელოს ზუსტი რაოდენობა ერთგვაროვან, მცირე ზომის საგანთა გროვაში (საგანთა რაოდენობა არ აღემატება 5-ს) და დათვლით შეამოწმოს საკუთარი პასუხი; – შექმნას მოცემული რიცხვის შესაბამისი რაოდენობის საგანთა ერთობლიობა და საგანთა ერთობლიობას შეუსაბამოს რიცხვი; – გადმოწეროს რამდენიმე ციფრი; – შეასრულოს მათემატიკური გარდაქმნები (მიმატება-გამოკლება 10-ის ფარგლებში) ყოველდღიურ აქტივობებში სათამაშოებისა და მონეტების გამოყენებით (მე მივეცი ნინოს ერთი კუბი, მას ახლა ორი კუბი აქვს); – თვლა ათის ფარგლებში და უკუთვლაც; ციფრების სწორი დასახელება და მათი ცნობა ბეჭდურად; რაოდენობითი და რიგობითი რიცხვითი სახელების სწორი გამოყენება; ნუმერაციული შეკრება-გამოკლება (რიცხვზე 1-ის მიმატება-გამოკლება); საგანთა შედარება ზომისა და რაოდენობის მიხედვით (მეტია, ნაკლებია, ტოლი ამდენივე). შეძლოს დამხმარე ეტალონით განახორციელოს გაზომვები, მარტივი გეომეტრიული ფიგურების დასახელება და დახასიათება მრგვალობით და კუთხოვნობით, პრაქტიკული ქმედების საფუძველზე სივრცესა და დროში ორიენტაციის განხორციელება („მოიტანე ბურთი," „იმოძრავე მარჯვნივ ფანჯრისკენ," „ზედა თაროდან ჩამოიღე თოჯინა", „ზაფხულის შემდეგ წელიწადის რომელი დრო დადგება?" „კვირაში რამდენი დღე დავდივართ ბაღში?)
გ) ბუნება	ბ.ბ) გაზომვა	ბავშვს შეუძლია შეადაროს საგნები ზომის, მოცულობის, წონის, სიმაღლის, სიგრძის მიხედვით და შეუძლია საგნის ,,გაზომვა'' არასტანდარტული საზომი ინსტრუმენტებით.
	ბ.გ)კანონზომიერების დადგენა	ბავშვს შეუძლია დაახარისხოს და დააჯგუფოს საგნები ერთი ან ორი ნიშნის მიხედვით და შეთავაზებული ნიმუშის მიხედვით გააგრძელოს კანონზომიერება (გააგრძელოს/დაასრულოს საგნების თანმიმდევრობა).
	გ.ა) ბუნებრივი გარემო	ბავშვმა იცის ბიომრავალფეროვნების მნიშვნელობა, რა სარგებელი მოაქვთ მცენარეებსა და ცხოველებს ადამიანისთვის და იჩენს მზრუნველობას მცენარეებისა და ცხოველების მიმართ. ბავშვი ზრუნავს გარემოზე, უფრთხილდება რესურსებს, აცნობიერებს ენერგიის და წყლის დაზოგვის მნიშვნელობას და იცავს ქცევის წესებს ენერგიისა და წყლის დაზოგვასთან დაკავშირებით.
გ) ბუნება	გ.ა) ბუნებრივი გარემო	ბავშვი არ აბინძურებს გარემოს და ესმის ამ მხრივ გარემოზე ზრუნვის დადებითი შედეგი და აუცილებლობა, იცავს ქცევის წესებს, რათა არ დააბინძუროს გარემო. აცნობიერებს, რომ დაბინძურებული ტერიტორიები საფრთხეს უქმნის ადამიანების ჯანმრთელობას, ფლორასა და ფაუნას.
დ) ტექნოლოგია	დ.ა) ტექნოლოგია	ბავშვი ინტერესდება სხვადასხვა ტექნოლოგიური საშუალებებით; ბავშვს შეუძლია გამოიყენოს გრაფიკულ - კომპიუტერული პროგრამები, რომლის საშუალებითაც ხატავს ან აწყობს სხვადასხვა ფიგურებს (და რომლებიც არ არის დაფუძნებული შეჯიბრზე, გამოცნობაზე და ა.შ.); ბავშვი იჩენს სიფრთხილეს და პასუხისმგებლობით იყენებს ტექნოლოგიურ ინსტრუმენტებს, მაგალითად, ციფრულ ფოტოაპარატს.

	ე.ა) დრო	ბავშვს შეუძლია ადეკვატურად გამოიყენოს დროის აღმნიშვნელი სიტყვები: გუშინ, დღეს, ხვალ. ბავშვმა იცის წელიწადის დროები და მათი ზოგადი მახასიათებლები. ბავშვს შეუძლია საკუთარ გეგმებზე საუბრისას გამოიყენოს ზმნა მომავალ დროში.
	ე.ბ) სივრცე	ბავშვს შეუძლია ოთახში თავისუფლად გადაადგილდეს ისე, რომ თავი აარიდოს ადამიანებსა და საგნებს (არ დაეჯახოს); სწორად გამოიყენოს ადგილმდებარეობის აღმნიშვნელი სიტყვები; ზეპირად მიწოდებული ან მარტივი თვალსაჩინოების გამოყენებით მიაგნოს გარკვეულ ადგილს; შეუძლია დაასახელოს საკუთარი მისამართი, ქალაქი/სოფელი და ქვეყანა.
ვ) სააზროვნო უნარები	ვ.ა) მიზეზშედეგობრიობა (ლოგიკური აზროვნება)	ბავშვს შეუძლია დასვას შეკითხვები შედეგის/მოვლენის მიზეზებთან დაკავშირებით; შეუძლია გამოარჩიოს ერთი შედეგის რამდენიმე შესაძლო მიზეზი და ერთი მიზეზის რამდენიმე შესაძლო შედეგი.
	აგრეთვე იხილეთ ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სწავლისადმი მიდგომის სფერო (იხ. ბ.ბ) შემოქმედებითობა და გამომგონებლობა, ბ.გ) პრობლემის გადაჭრა, ბ.დ) სიმბოლური აზროვნება, ბ.ე) გააზრება და ინტერპრეტაცია, ბ.ვ) კრიტიკული აზროვნება, ბ.ზ) კვლევა).	

5. ბავშვის განვითარების სფერო – მეტყველება, კომუნიკაცია და წიგნიერება – მეტყველება, ენა და აზროვნება ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული. ენა აზრის გამოხატვის საშუალებაა, მას თავისი კანონები აქვს და ის საერთოა ერთ ენაზე მოსაუბრე ადამიანებისათვის. რა განსხვავებაა ენასა და მეტყველებას შორის? მეტყველება ამოქმედებული ენაა, რომელსაც კონკრეტული ადამიანი სხვადასხვა შინაარსის გამოსახატავად იყენებს. განასხვავებენ წერითსა და ზეპირ მეტყველებას. მეტყველების განვითარება კომპლექსური პროცესია, რომელიც დაბადებიდან იწყება ზეპირი მეტყველების განვითარებით. წერით მეტყველებას ბავშვი სასკოლო ასაკში ეუფლება, თუმცა ადრეულ ასაკში ბავშვს ესაჭიროება წერითი მეტყველების ასათვისებლად მომზადება, კითხვისა და წერის წინარე უნარების განვითარება. სფერო აერთიანებს შემდეგ ქვესფეროებს:

   ა) მეტყველება – მეტყველება მოიცავს ზეპირმეტყველებას, რომელიც აერთიანებს ორ სამეტყველო ქცევას: მოსმენას (რეცეფციულ უნარს) და ლაპარაკს (პროდუქციულ უნარს). მეტყველებას უმნიშვნელოვანესი ფუნქცია აკისრია ბავშვის განვითარების პროცესში. იგი აზროვნების მთავარ საყრდენს წარმოადგენს. სახელდება და გააზრება ურთიერთგადაჯაჭვული პროცესებია, ამიტომ ბავშვის მიერ ნააზრევისა თუ განცდილის სიტყვიერად გამოხატვის ხელშეწყობა აღმზრდელის მუდმივი ზრუნვის საგანი უნდა იყოს;

   ბ) კომუნიკაცია – კომუნიკაცია გულისხმობს ამა თუ იმ სამეტყველო სიტუაციის მართებულად შეფასებას (ვინ, რას, რისთვის საუბრობს) და სამეტყველო ქცევის ადეკვატურად წარმართვას. კომუნიკაცია შეიძლება იყოს სიტყვიერი და არასიტყვიერი (ხმის დონე, ინტონაცია, ჟესტი, მიმიკა, სხეულის მოძრაობა). წარმატებული კომუნიკაციის დასამყარებლად, მოსაუბრე სათქმელის ჩამოყალიბებისას ითვალისწინებს მსმენელის ინტერესებსა და იმ სიტუაციას, რომელშიც სოციალური ინტერაქცია მიმდინარეობს, მიზნობრივად იყენებს კომუნიკაციის როგორც სიტყვიერ, ისე არასიტყვიერ ხერხებს. კომუნიკაციის უნარების განსავითარებლად ერთ-ერთი მეთოდია ინსცენირება, რომლის დროსაც ბავშვი სწავლობს საკომუნიკაციო სიტუაციის (როლის) შესაბამისი ჟესტ-მიმიკის, ინტონაციის, ხმის ტემბრისა თუ დონის გამოყენებას;

   გ) წიგნიერება - წიგნიერება არის ცვალებად კონტექსტში კითხვის, წერის, ინფორმაციის დამუშავების, იდეებისა და მოსაზრებების გამოთქმის, გადაწყვეტილების მიღებისა და პრობლემების მოგვარების უნარი იმ ცოდნის საფუძველზე, რომელსაც ადამიანი მთელი ცხოვრების განმავლობაში იძენს. სკოლამდელ ასაკში წიგნიერება გულისხმობს კითხვისა

და წერითი მეტყველების დაუფლებისათვის მომზადებას, კითხვისა და წერის მიმართ ინტერესის გაღვივებასა და დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას, ბავშვის გათვითცნობიერებას იმ საკითხებში, თუ როგორ და რა მიზნით გამოიყენება ნაბეჭდი მასალა. წიგნიერება აერთიანებს შემდეგ მიმართულებებს:

გ.ა) ფონემური ცნობიერება - ემსახურება ბავშვში ფონოლოგიური წარმოდგენების ჩამოყალიბებას, ბგერასა და ასოს შორის არსებული მიმართებების გააზრებას;

გ.ბ) კითხვის მიმართულება - ემსახურება იმ საბაზისო უნარების განვითარებას, რომელიც ხელს უწყობს შემდგომში კითხვის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, კერძოდ:

გ.ბ.ა) წიგნთან მოპყრობის წესების გათავისება – როგორ უნდა დავიჭიროთ წიგნი, როგორ გადავფურცლოთ და როგორ შევინახოთ ის;

გ.ბ.ბ) წიგნის კომპონენტების - გარეკანისა და ფურცლების, ილუსტრაციისა და ტექსტის, სათაურის იდენტიფიცირებას;

გ.ბ.გ) მედია-საშუალებების - აფიშა, წიგნი, აბრა, ჟურნალი და სხვა დანიშნულების ამოცნობას;

გ.ბ.დ) სიტყვის გრაფიკულ (ანუ, გრაფემულ) და აკუსტიკურ (ანუ, ფონემურ) ხატებს შორის არსებული მიმართებების გაგებას;

გ.ბ.ე) ფონოლოგიური წარმოდგენების ჩამოყალიბებას, ბგერასა და ასოს შორის არსებული მიმართებების გააზრებას;

გ.ბ.ვ) უფროსის მიერ წაკითხული ტექსტის გაგება-გააზრებას;

გ.გ) წერის მიმართულება - ემსახურება წინაწერითი (გრაფო-მოტორული) უნარების განვითარებას: ხელით ზუსტი მოძრაობების შესრულებას, იმის გათავისებას, რომ აზრის ფორმირება და კომუნიკაცია წერილობითაც არის შესაძლებელი.

5. ბავშვის განვითარების სფერო – მეტყველება, კომუნიკაცია და წიგნიერება		
ქვესფერო	**მიმართულება**	**მიმართულება**
ა) ესთეტიკა და კულტურა	ა.ა) მოსმენა (რეცეფციული მეტყველება)	ბავშვს თითქმის ყოველთვის ესმის ვერბალური და არავერბალური კომუნიკაცია თანატოლებისა და აღმზრდელების მხრიდან, მათ შორის, მითითებები, თხოვნა, ზეპირად მოთხრობილი ან წაკითხული ზღაპრები და ისტორიები.
	ა.ბ) ლაპარაკი/ზეპირი მეტყველება (ექსპრესიული მეტყველება)	ბავშვს შეუძლია აზრის გამართულად ჩამოყალიბება, ამბის სწორი თანმიმდევრობით გადმოცემა, სიუჟეტის მნიშვნელოვანი მომენტების ჩათვლით.
ბ) კომუნიკაცია	ბ.ა) მეტყველება და კომუნიკაცია	ბავშვს ესმის სოციალური კომუნიკაციის ნორმები და შეუძლია გარკვეული პერიოდით ჩაერთოს დიალოგსა და დისკუსიაში.
გ) წიგნიერება	გ.ა) ფონემური ცნობიერება	ბავშვს გაცნობიერებული აქვს, რომ სიტყვები შედგება უმცირესი ერთეულებისაგან – ბგერებისაგან; ბავშვს შეუძლია მარცვლები ან ბგერები გაამთლიანოს სიტყვებად, და პირიქით, სიტყვები დაშალოს მარცვლებად ან ბგერებად. ბავშვს ესმის, რომ მარცვლის დამატებით/შეცვლით შეიძლება შეიცვალოს სიტყვა, მისი მნიშვნელობა.
	გ.ბ) კითხვა	ბავშვი ითხოვს, რომ წაუკითხონ წიგნები, აქვს საყვარელი წიგნი ან ზღაპრები; იცის, რომ ასოები გარკვეულ ბგერებს აღნიშნავს; იცის, როგორ გამოითქმის ზოგიერთი ასო; ცნობს რამდენიმე ნაწერ სიტყვას, საკუთარ სახელსა და რამდენიმე ჯგუფელის სახელს.
	გ.გ) წერა	ბავშვს შეუძლია საკუთარი სახელის დაწერა; ცდილობს ასოების გამოყვანას.

თავი IV

ხარისხის სტანდარტი

ხარისხის სტანდარტი

მიმართულება – უსაფრთხოება და დაცულობა

1. სტანდარტი - დაწესებულება ზრუნავს თითოეული ბავშვისა და თანამშრომლის ფიზიკური ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვაზე. სტანდარტის ინდიკატორები:

   ა) დაწესებულების ფიზიკური გარემო შექმნილია „ადრეული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შენობა-ნაგებობების, ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოწყობის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად;

   ბ) დაწესებულებას აქვს მკაფიოდ გაწერილი პროცედურები თითოეული ბავშვისა და დაწესებულების თანამშრომლების ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად (გადაუდებელი სამედიცინო დახმარების, მედიკამენტების საჭიროების, თუ სხვა შემთხვევებში);

   გ) უშუალოდ ბავშვთან მომუშავე საგანმანათლებლო პერსონალს (თითოეულ ჯგუფში - მინიმუმ ერთს) აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების შემსწავლელი თეორიული და პრაქტიკული კურსის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი;

   დ) დაწესებულებას გააჩნია ინფექციური დაავადებების გავრცელების პრევენციის მექანიზმები;

   ე) დაწესებულებას აქვს და საჭიროების შემთხვევაში იყენებს საგანგებო სიტუაციების მართვის სტრატეგიას, რომელიც მოიცავს სხვადასხვა პირთა პასუხისმგებლობებს საგანაგებო სიტუაციებისას (ხანძარი, მიწისძვრა, წყალმოვარდნა, ქარიშხალი, მეწყერი, ზვავი და სხვა);

   ვ) დაწესებულებაში უზრუნველყოფილია თითოეული ბავშვის პირადი ჰიგიენის ნორმების (ხელის დაბანა, საპირფარეშოს მოხმარება, კბილების გახეხვა) დაცვა;

   ზ) დაწესებულების თანამშრომლები მოქმედებენ „წყალი, სანიტარია და ჰიგიენა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში“ ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად;

   თ) თითოეულ ბავშვს აქვს დასვენებისა და ძილის საჭიროების დაკმაყოფილების შესაძლებლობა;

   ი) ბავშვებს აქვთ მოძრავი თამაშების ეზოში (მინიმუმ ერთი საათი სრული დღის შემთხვევაში), ხოლო ძლიერი უამინდობის შემთხვევაში (ქარიშხალი, სეტყვა, ძლიერი ყინვა) შენობაში თამაშის შესაძლებლობა;

   კ) დაწესებულების როგორც შიდა სივრცეში, ისე ეზოში იკრძალება თამბაქოს მოწევა და ალკოჰოლური სასმელების მოხმარება;

   ლ) პროგრამის ფარგლებში დაწესებულების ტერიტორიიდან ბავშვების გაყვანის შემთხვევაში (ექსკურსია, ლაშქრობა და სხვა) დაცულია მათი უსაფრთხოება;

   მ) დაწესებულებაში ბავშვების კვებით უზრუნველყოფის შემთხვევაში გათვალისწინებული და დაცულია „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ტექნიკური რეგლამენტის პირობები;

   ნ) ეზოში ყოფნისას თითოეული ბავშვი ჩაცმულია ამინდის შესაბამისად.

2. სტანდარტი - დაწესებულება ზრუნავს თითოეული ბავშვისა და დაწესებულების ყველა თანამშრომლის ემოციური უსაფრთხოების დაცვაზე. სტანდარტის ინდიკატორები:

   ა) დაწესებულებაში წახალისებულია თითოეული ბავშვის მიერ იდეებისა და აზრების თავისუფალი გამოხატვა;

   ბ) დაწესებულების გარემო თითოეული ბავშვისთვის პროგნოზირებადია – ყოველმა მათგანმა იცის საქმიანობათა თანმიმდევრობა და რას მოელიან მისგან;

   გ) დაწესებულების ფიზიკური გარემო ნაცნობია თითოეული ბავშვისთვის – ყოველმა მათგანმა იცის შენობისა და ეზოს ძირითადი ობიექტების ფუნქციური დანიშნულება;

   დ) თითოეულ ბავშვსა და დაწესებულების ყველა თანამშრომელს აქვთ პირადი სივრცე მიკუთვნებულობის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად;

ე) დაწესებულების თანამშრომლები კეთილგანწყობილნი და ემოციურად გაწონასწორებულნი არიან ერთმანეთისადმი და ბავშვებთან ურთიერთობისას;

ვ) დაწესებულების თანამშრომლები პატივს სცემენ თითოეული ბავშვის ემოციებს და ადეკვატურად რეაგირებენ მათზე - გამოხატავენ ემპათიას;

ზ) თითოეული ბავშვი უმეტესად აქტიურადაა ჩართული საგანმანათლებლო პროცესში, ძირითადად, გამოხატავს დადებით ემოციებს, არ შფოთავს და არ იძაბება;

თ) თითოეულ ბავშვს აქვს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ემოციების გამოხატვის საშუალება იმგვარი ფორმით, რომელიც ზიანს არ მიაყენებს სხვებს და საკუთარ თავს.

3. სტანდარტი - თითოეულ ბავშვს აქვს არჩევანის თავისუფლება და გადაწყვეტილების მიღების საშუალება, საკუთარი ინტერესების შესაბამისად. სტანდარტის ინდიკატორები:

ა) დაწესებულების თანამშრომლები ხელს უწყობენ თითოეული ბავშვის დამოუკიდებლობას;

ბ) აღმზრდელ-პედაგოგი და აღმზრდელი აკვირდებიან, უსმენენ თითოეულ ბავშვს, ითვალისწინებენ ბავშვის მოსაზრებებსა და ინტერესებს;

გ) თითოეული ბავშვი არის საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების უშუალო მონაწილე;

დ) თითოეულ ბავშვს ყოველდღიურად აქვს საშუალება, აირჩიოს საქმიანობები და გამოსაყენებელი საგანმანათლებლო რესურსი როგორც ჯგუფში, ისე – მის გარეთ.

4. სტანდარტი - დაწესებულების თანამშრომლები ქმნიან არაძალადობრივ და არადისკრიმინაციულ გარემოს. სტანდარტის ინდიკატორები:

ა) დაწესებულების თანამშრომლები პროგრამის ფარგლებში იცავენ ბავშვის უფლებათა კონვენციას;

ბ) დაწესებულების თანამშრომლებს შეუძლიათ ძალადობის სხვადასხვა ფორმის (ფიზიკური, ემოციური, სექსუალური ძალადობა, უგულებელყოფა) ნიშნების ამოცნობა;

გ) დაწესებულების თანამშრომლები იცნობენ კანონმდებლობით დადგენილ ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებს და ბავშვზე ძალადობის შემთხვევაში, მოქმედებენ აღნიშნული პროცედურების შესაბამისად;

დ) პროგრამაში ჩართული მხარეების ურთიერთობები ამ სტანდარტების მე-16 მუხლის მე-2-მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული სტანდარტების შესაბამისია;

ე) აღმზრდელ-პედაგოგი და აღმზრდელი თითოეულ ბავშვთან ურთიერთობისას, ამკრძალავი სიტყვების, ტყუილისა და დაშინების ნაცვლად, იყენებენ პოზიტიურად ფორმულირებულ დებულებებსა და მართვის სტრატეგიებს;

ვ) დაწესებულების თანამშრომლები იცავენ თითოეული ბავშვისა და ოჯახის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობას, არ განიხილავენ ბავშვს/ბავშვის ოჯახს მისი და სხვა ბავშვების თანდასწრებით;

ზ) დაწესებულების თანამშრომლების დამოკიდებულება თითოეული ბავშვისა და უფროსის მიმართ არადისკრიმინაციულია;

თ) დაწესებულების თანამშრომლები უყურადღებოდ არ ტოვებენ ბავშვებისა თუ უფროსების მიერ სხვადასხვა ნიშნის საფუძველზე (ეთნიკური, ენობრივი, რელიგიური, განსხვავებული საჭიროებების, ასაკის და სხვა) გამოვლენილ დისკრიმინაციულ დამოკიდებულებას ან ქცევას და ხელს უწყობენ სტერეოტიპული დამოკიდებულებების შეცვლას;

ი) დაწესებულების თანამშრომლები მუშაობენ მშობლებთან ბავშვთა უფლებების საკითხში, მათი ცნობიერების ამაღლების მიზნით.

მიმართულება - კურიკულუმი და მეთოდოლოგია

1. სტანდარტი - თამაში საგანმანათლებლო პროცესის წარმართვის ძირითადი ხერხია. სტანდარტის ინდიკატორები:

ა) აღმზრდელ-პედაგოგი და აღმზრდელი ხელმძღვანელობენ თამაშზე დაფუძნებული კურიკულუმით;

ბ) დაწესებულებაში ყოფნისას თითოეული ბავშვი დროის უმეტეს ნაწილს ატარებს თამაშში. თამაში დღის განრიგის მნიშვნელოვანი კომპონენტია;

გ) აღმზრდელ-პედაგოგისა და აღმზრდელის მიერ ინიციირებული საქმიანობები თამაშის ფორმით მიმდინარეობს;

დ) დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს აქვს სხვადახვა ტიპის (წარმოსახვითი, წესებიანი, მოძრავი, შემოქმედებითი) თამაშში ჩართვის საშუალება;

ე) აღმზრდელ-პედაგოგი და აღმზრდელი თამაშის ელემენტებს იყენებენ რუტინული საქმიანობებისა და ტრანზიციის დროს (მაგ., როდესაც ბავშვები ემზადებიან ეზოში გასასვლელად, ბრუნდებიან ეზოდან ან საუზმის შემდეგ ემზადებიან წრეში შეხვედრისთვის).

2. სტანდარტი – თამაშის დროს თითოეულ ბავშვს აქვს შესაძლებლობა, თავისუფლად, შემოქმედებითად გამოიყენოს ჯგუფისა და ეზოს საგანმანათლებლო რესურსი. სტანდარტის ინდიკატორები:

ა) დაწესებულებაში არსებული საგანმანათლებლო რესურსი თითოეული ბავშვისთვის ხელმისაწვდომია; მათ ეძლევათ საშუალება, დამოუკიდებლად და თავისუფლად მოიძიონ და გამოიყენონ ეს რესურსები;

ბ) საგანმანათლებლო რესურსის ხელმისაწვდომობისთვის გათვალისწინებულია ამ სტანდარტების მე-19 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სტანდარტი;

გ) აღმზრდელ-პედაგოგი და აღმზრდელი ახალისებს თითოეული ბავშვის შემოქმედებითობას და გამომგონებლობას საგანმანათლებლო რესურსის გამოყენებისას.

3. სტანდარტი - დაწესებულება ხელმძღვანელობს კურიკულუმით, რომელიც ორიენტირებულია თითოეული ბავშვის მრავალმხრივ, ჰოლისტურ განვითარებაზე. სტანდარტის ინდიკატორები:

ა) კურიკულუმი უზრუნველყოფს თითოეული ბავშვის წინსვლას განვითარების ყველა სფეროში (ფიზიკური და სენსორული განვითარება, სოციალურ-ემოციური განვითარება, კომუნიკაციური უნარების, ენისა და მეტყველების განვითარება, შემეცნებითი განვითარება, დამოუკიდებლობა და ადაპტური ქცევის განვითარება);

ბ) თითოეულ ბავშვს აქვს საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენის საშუალება (ფიზიკური, გონებრივი, შემოქმედებითი, კვლევითი, სოციალური და სხვა);

გ) თითოეულ ბავშვს აქვს საშუალება, დაიკმაყოფილოს ცნობისმოყვარეობა, ჩაატაროს ექსპერიმენტები და აკეთოს აღმოჩენები;

დ) თითოეულ ბავშვს აქვს ინფორმაციისა და ცოდნის თანატოლებისთვის გაზიარების საშუალება;

ე) თამაშის დროს თითოეულ ბავშვს აქვს საკუთარი ცოდნისა და გამოცდილების გამოყენების საშუალება ახალი უნარ-ჩვევებისა და ცოდნის შესაძენად;

ვ) თითოეულ ბავშვს აქვს იმ ტიპის რისკიან თამაშში ჩართვის საშუალება, რომელიც არ შეიცავს საფრთხეს ჯანმრთელობისთვის.

4. სტანდარტი - კურიკულუმი ითვალისწინებს მრავალფეროვან, განმავითარებელ, ასაკისა და განვითარების შესაბამის საქმიანობებს. სტანდარტის ინდიკატორები:

ა) საქმიანობები ხორციელდება როგორც ბაღის შენობაში, ისე - ეზოში;

ბ) საქმიანობები ხორციელდება როგორც დაწესებულების ტერიტორიაზე, ისე - მის გარეთ (ექსკურსიები, ლაშქრობები, სტუმრის ვიზიტები ბაღის სივრცეში და სხვა);

გ) საქმიანობების შინაარსი და ფორმა ითვალისწინებს ამ სტანდარტების მე-19 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ სტანდარტს;

დ) აღმზრდელ-პედაგოგისა და აღმზრდელის მიერ გამოყენებული მეთოდები და საქმიანობები ითვალისწინებს ბავშვების ინტერესებს და ასაკისა და განვითარების შესაბამისია;

ე) თითოეულ ბავშვს შეუძლია ნებისმიერ საქმიანობაში ჩართვა და აქვს არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა;

ვ) თითოეულ ბავშვს აქვს როგორც ინდივიდუალურად, ისე წყვილებში, მცირე და დიდ ჯგუფებში თამაშის შესაძლებლობა.

5. სტანდარტი - დღის განრიგი მოქნილი, პროგნოზირებადია და მრავალფეროვანს ხდის თითოეული ბავშვის გამოცდილებას. სტანდარტის ინდიკატორები:

   ა) დღის განრიგში ერთმანეთს ენაცვლება ფიზიკურად აქტიური და ნაკლებად აქტიური საქმიანობები;

   ბ) დღის განრიგში მონაცვლეობითია მცირე და დიდი ჯგუფებისთვის განსაზღვრული საქმიანობები. დიდი ჯგუფების საქმიანობისთვის გამოყოფილი დრო მინიმალურია;

   გ) დღის მანძილზე ხორციელდება სხვადასხვა ტიპის საქმიანობა თუ აქტივობა;

   დ) ყოველდღიურ განრიგში ბავშვის მიერ ინიციირებული საქმიანობებისთვის გათვალისწინებულია გარკვეული დრო, რომელიც აღემატება აღმზრდელ-პედაგოგისა და აღმზრდელის მიერ ინიციირებული საქმიანობებისთვის განკუთვნილ დროს;

   ე) განრიგი მაქსიმალურად ითვალისწინებს თითოეული ბავშვის საჭიროებებსა და ტემპს (კმაყოფილდება თითოეული ბავშვის საჭიროებები და ინტერესები), საქმიანობაში ჩართულ ნებისმიერ ბავშვს აცდიან პროცესის დასრულებას და არ აჩქარებენ მას;

   ვ) ტრანზიციის (საგანმანათლებლო დაწესებულების ერთი პროცესიდან მეორეზე გადასვლის) დროს არცერთ ბავშვს არ უწევს ხანგრძლივად ლოდინი.

მიმართულება - ფიზიკური გარემო

1. სტანდარტი - დაწესებულების შიდა და გარე სივრცეები მოწყობილია უნივერსალური დიზაინის პრინციპების გათვალისწინებით. სტანდარტის ინდიკატორები:

   ა) გარემო არის უსაფრთხო, კომფორტული, ხელმისაწვდომი და ადვილად გამოსაყენებელი ყველასთვის;

   ბ) დაწესებულების შენობა და ეზო ადაპტირებულია განსაკუთრებული საჭიროების მქონე თითოეული ბავშვისთვის და ხელს უწყობს მათ ჩართულობას პროცესში;

   გ) გარემო იმგვარადაა მოწყობილი, რომ არსებული ინვენტარი და ნივთები მყუდროს ხდის მას (მაგალითად: ფარდები, ხალიჩა, ბალიშები, რბილი ავეჯი და სხვა);

   დ) სივრცეში გადაადგილება თითოეული ბავშვისთვის ზედმეტი ძალისხმევის გარეშეა შესაძლებელი;

   ე) საგანმანათლებლო რესურსი თითოეული ბავშვისთვის ადვილად ხელმისაწვდომია და შესაძლებელია დამოუკიდებლად აღება/სარგებლობა;

   ვ) გარემო მარტივად აღსაქმელია - მოცემულია ვიზუალური მინიშნებები;

   ზ) ფიზიკური გარემო შეცდომებისადმი ტოლერანტულია (ადაპტირებულია ფუნქციური დანიშნულების შესაბამისად) და იმგვარადაა მოწყობილი, რომ უნებლიე ქმედებებისას ნაკლებია უარყოფითი შედეგი;

   თ) თითოეული ბავშვის ნამუშევარი და სხვა ვიზუალური მასალა, ძირითადად, ბავშვის სიმაღლეზეა გაკრული;

   ი) საჭიროების შემთხვევაში, ჯგუფის სივრცე იძლევა ავეჯის გადაადგილების საშუალებას;

   კ) დაწესებულების შიდა და გარე სივრცეები (შენობა, ეზო) ისეა დაგეგმარებული, რომ შესაძლებელია ბავშვის ყველა ძირითადი ფიზიკური საჭიროების დაკმაყოფილება;

   ლ) დაწესებულება აკმაყოფილებს „ადრეული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შენობა-ნაგებობის, ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოწყობის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებულ ნორმებს.

2. სტანდარტი - დაწესებულების შიდა და გარე სივრცე მოწყობილია პროგრამის ფარგლებში განხორციელებული მეთოდოლოგიისა და კურიკულუმის მიზნების შესაბამისად. სტანდარტის ინდიკატორები:

   ა) დაწესებულების სივრცეში ავეჯის განლაგება განხორციელებული მეთოდოლოგიის შესაბამისია;

   ბ) საგანმანათლებლო რესურსი და სივრცეში მისი ორგანიზება განხორციელებული მეთოდოლოგიის შესაფერისია;

   გ) დაწესებულების შენობისა და ეზოს ვიზუალური მანიშნებლები განხორციელებული

მეთოდოლოგის ადეკვატურია;

დ) სივრცის მოწყობის პრინციპი ხელს უწყობს თითოეული ბავშვის მრავალმხრივ და ჰოლისტურ განვითარებას.

3. სტანდარტი - დაწესებულების საგანმანათლებლო რესურსი მრავალფეროვანი, განმავითარებელი, თითოეული ბავშვის ასაკისა და განვითარების შესაბამისია. სტანდარტის ინდიკატორები:

ა) ჯგუფის საგანმანათლებლო რესურსი ხელს უწყობს თითოეული ბავშვის მრავალმხრივ განვითარებას;

ბ) საგანმანათლებლო რესურსი მრავალფეროვანია, გულისხმობს როგორც მზა, ისე - ბუნებრივ, ხელნაკეთ და მეორად მასალებს;

გ) საგანმანათლებლო რესურსი გარკვეული პრინციპით არის ორგანიზებული და ძირითადად, მოთავსებულია ღია თაროებზე;

დ) საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც საჭიროებს საგანმანათლებლო პერსონალის ზედამხედველობას, მოთავსებულია ბავშვებისთვის ხელმიუწვდომელ ადგილას;

ე) ჯგუფსა და ეზოში თითოეული ბავშვისთვის ხელმისაწვდომია ღია მასალები;

ვ) დაწესებულების საგანმანათლებლო რესურსი (მეორადი რესურსის გარდა) ხარისხიანი, ეკოლოგიურად სუფთა და დაუზიანებელია;

ზ) არსებული საგანმანათლებლო რესურსი უბიძგებს ბავშვებს შემოქმედებითი და კვლევითი საქმიანობებისკენ;

თ) საგანმანათლებლო რესურსი ბავშვების რაოდენობის შესაბამისია;

ი) დაწესებულების ტერიტორიაზე ცხოველები და მცენარეები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) არ წარმოადგენენ საფრთხეს ბავშვის ჯანმრთელობისთვის (მაგალითად: აუცრელი ცხოველი, შხამიანი მცენარე, ალერგიული ფონი და სხვა);

კ) ჯგუფში არსებული ტექნიკა (მაგალითად: ტელევიზორი, კომპიუტერი, მაგნიტოფონი, აიპადი, მობილური, ფოტოაპარატი და ა.შ.) გამოყენებულია საგანმანათლებლო მიზნებისთვის (ეკრანის გამოყენების შემთხვევაში, მასთან გასატარებელი დრო შეზღუდულია: 24 საათში მაქსიმუმ 20 წუთი).

4. სტანდარტი - დაწესებულების შიდა და გარე სივრცეები იმგვარადაა გააზრებული და მოწყობილი, რომ ხელი შეუწყოს მრავალფეროვანი საქმიანობების განხორციელებას თითოეული ბავშვის მრავალმხრივი, ჰოლისტური განვითარებისთვის. სტანდარტის ინდიკატორები:

ა) დაწესებულების შენობის იმ სივრცე(ებ)ში, სადაც ბავშვი ძირითად დროს ატარებს და თამაშობს, გათვლილია ერთ ბავშვზე 4-5 კვ.მ ფართი;

ბ) დაწესებულების შიდა და გარე სივრცეები სხვადასხვა ტიპის საქმიანობების ჩატარების საშუალებას იძლევა;

გ) დაწესებულების ეზო დაფარულია სხვადასხვაგვარი საფარით: ბუნებრივი ბალახის საფარი ნარგავებით, სწორი ზედაპირი სარბენად ან ბორბლიანი სათამაშოებისთვის, ქვიშის საფარი, ნიადაგი დასამუშავებლად;

დ) როგორც შენობის შიგნით, ისე ეზოში არის სივრცე განმარტოებისთვის, ინდივიდუალური თამაშებისთვის (მცირე გვირაბი, სათამაშო სახლი, კარავი და სხვა);

ე) ჯგუფის სივრცის ორგანიზებაში მონაწილეობას იღებენ ბავშვებიც.

მიმართულება - ურთიერთობა

1. სტანდარტი - თითოეულ ბავშვს აქვს თანატოლებთან პოზიტიური ურთიერთობის შესაძლებლობა. სტანდარტის ინდიკატორები:

ა) საგანმანათლებლო პერსონალი ხელს უწყობს და წაახალისებს ბავშვებს შორის პოზიტიურ ურთიერთობებსა და თანამშრომლობას (მაგალითად: ჯგუფში ჩართვა, დამეგობრება, გაზიარება და სხვა);

ბ) პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი საქმიანობები ხელს უწყობს თითოეულ ბავშვში

თავდაჯერებულობისა და პოზიტიური მე - კონცეფციის ფორმირებას;

გ) საგანმანათლებლო პერსონალი ხელს უწყობს ჯგუფის ერთობის შექმნას;

დ) თითოეულ ბავშვს აქვს სხვადასხვა მეწყვილესთან თამაშის შესაძლებლობა;

ე) საგანმანათლებლო პერსონალი ეხმარება თითოეულ ბავშვს ბრაზისა და სხვა ემოციების მართვაში/რეგულირებაში;

ვ) საგანმანათლებლო პერსონალი ზრუნავს ასერტულობის განვითარებაზე;

ზ) საგანმანათლებლო პერსონალი ხელს უწყობს თითოეულ ბავშვში ემპათიის განცდისა და მოვლენების სხვისი პერსპექტივის დანახვის უნარის განვითარებას;

თ) თითოეული ბავშვი აღიარებულია თავისი შესაძლებლობებითა და განსხვავებულობით.

2. სტანდარტი - დაწესებულების თანამშრომლები მგრძნობიარენი, გულისხმიერნი არიან, გამოხატავენ პატივისცემას თითოეული ბავშვის მიმართ და აღიარებენ მათ. სტანდარტის ინდიკატორები:

ა) აღმზრდელ-პედაგოგი და აღმზრდელი უსმენენ თითოეულ ბავშვს და ურთიერთობენ თითოეულ ბავშვთან ინდივიდუალურად;

ბ) აღმზრდელ-პედაგოგი და აღმზრდელი გამოხატავენ სიხარულსა და კმაყოფილებას თითოეულ ბავშვთან ურთიერთობისას;

გ) აღმზრდელ-პედაგოგი და აღმზრდელი არიან მზრუნველები, ბავშვების მხარდამჭერები და ქმნიან ისეთ გარემოს, სადაც თითოეული ბავშვი თავს დაცულად გრძნობს;

დ) აღმზრდელ-პედაგოგი და აღმზრდელი პატივს სცემენ თითოეულ ბავშვს, ურთიერთობენ მასთან, როგორც თანასწორთან;

ე) აღმზრდელ-პედაგოგი და აღმზრდელი არ განსჯიან ბავშვებს და არ გამოხატავენ მათ მიმართ შემფასებლურ დამოკიდებულებას. უკუკავშირის მიცემის დროს არ ეხებიან ბავშვის პიროვნულ მახასიათებლებს, აქცენტს აკეთებენ მხოლოდ ქცევაზე;

ვ) აღმზრდელ-პედაგოგი და აღმზრდელი ურთიერთობისას თუ სხვადასხვა საქმიანობის განხორციელებისას იყენებენ ისეთ სტრატეგიებსა და მეთოდებს, რომლებიც სტიმულს აძლევს ბავშვს და არ ულახავს ღირსებას;

ზ) აღმზრდელ-პედაგოგი და აღმზრდელი სთხოვენ ბავშვებს დახმარებას მათი მნიშვნელობის, კომპეტენტურობის ხაზგასასმელად და თვითშეფასების ასამაღლებლად.

3. სტანდარტი - დაწესებულების თანამშრომლები პოზიტიურად ურთიერთობენ თითოეული ბავშვის ოჯახთან. სტანდარტის ინდიკატორები:

ა) დაწესებულების თანამშრომლები ბავშვის ოჯახთან ურთიერთობისას ითვალისწინებენ ამ სტანდარტების მე-18 მუხლით გათვალისწინებულ მიმართულებას;

ბ) დაწესებულების თანამშრომლები პატივისცემით ურთიერთობენ თითოეული ბავშვის ოჯახთან;

გ) დაწესებულების თანამშრომლები თანაბრად კეთილგანწყობილნი არიან ნებისმიერ მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან ურთიერთობისას, განურჩევლად მათი ამა თუ იმ ნიშნით განსხვავებულობისა: სქესი, რასა, ასაკი, რელიგია, ენა, კულტურა, ოჯახის შემადგენლობა, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, ჯანმრთელობის მდგომარეობა და სხვა;

დ) ბავშვის თითოეული წარმომადგენელი თავს გრძნობს აღიარებულად და დაფასებულად;

ე) აღმზრდელ-პედაგოგი და აღმზრდელი ეფექტურ კომუნიკაციას ამყარებენ ბავშვის ოჯახის წევრებთან.

4. სტანდარტი - დაწესებულებაში მომუშავე პერსონალს შორის ურთიერთობა თანამშრომლობითია და ეფუძნება ურთიერთპატივისცემას. სტანდარტის ინდიკატორები:

ა) დაწესებულების თანამშრომლები გამოხატავენ პატივისცემას ერთმანეთის მიმართ;

ბ) დაწესებულებაში მომუშავე პერსონალის დამოკიდებულება ურთიერთთანამშრომლობითია;

გ) დაწესებულების თანამშრომლები პრობლემის შემთხვევაში მიმართავენ მოლაპარაკებას;

დ) დაწესებულების თანამშრომლები მხარს უჭერენ ერთმანეთის პოზიტიურ ინიციატივებს;

ე) დაწესებულების თანამშრომლები უზიარებენ ერთმანეთს იდეებს, გამოცდილებას, რჩევებს,

ეხმარებიან ერთმანეთს.

მიმართულება – საგანმანათლებლო პროცესი

1. სტანდარტი - აღმზრდელ-პედაგოგი აღმზდელთან ერთად გეგმავს და ახორციელებს საგანმანათლებლო პროცესს და აფასებს საგანმანათლებლო პროგრამის ეფექტიანობას. სტანდარტის ინდიკატორები:

   ა) აღმზრდელ-პედაგოგი აღმზრდელთან ერთად წინასწარ გეგმავს საგანმანათლებლო პროცესს დაწესებულებაში გამოყენებული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

   ბ) გეგმა მოქნილია და ამდენად, იძლევა ცვლილებების შეტანის, მოდიფიცირების საშუალებას;

   გ) საგანმანათლებლო პროცესი იგეგმება პროგრამის მიზნების, თითოეული ბავშვის საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინების შესაბამისად;

   დ) აღმზრდელ-პედაგოგი და აღმზრდელი ეფექტურად იყენებენ დაწესებულებაში არსებულ რესურსს;

   ე) აღმზრდელ-პედაგოგი და აღმზრდელი აწყობენ ჯგუფის ფიზიკურ გარემოს და წარმართავენ პროცესს გამოყენებული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

   ვ) აღმზრდელ-პედაგოგი და აღმზრდელი იყენებენ „ხარაჩოს“ მეთოდს საგანმანათლებლო პროცესში;

   ზ) აღმზრდელ-პედაგოგი და აღმზრდელი უზრუნველყოფენ მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა ჩართულობას საგანმანათლებლო პროგრამაში ამ სტანდარტების მე-18 მუხლის პირველი-მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული სტანდარტების შესაბამისად;

   თ) პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, აღმზრდელ-პედაგოგი აღმზრდელთან ერთად გარკვეული პერიოდულობით აფასებს თითოეული ბავშვის პროგრესს, საგანმანათლებლო პროცესს, ფიზიკურ გარემოსა და აკეთებს თვითრეფლექსიას.

2. სტანდარტი - აღმზრდელ-პედაგოგი აღმზრდელთან ერთად თითოეულ ბავშვზე დაკვირვებასა და შეფასებას იყენებს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისა და მოდიფიცირებისთვის, თითოეული ბავშვის მრავალმხრივი და ჰოლისტური განვითარებისთვის. სტანდარტის ინდიკატორები:

   ა) აღმზრდელ-პედაგოგი აღმზრდელთან ერთად იყენებს მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს და ახდენს მათ დოკუმენტირებას თითოეული ბავშვის საჭიროებების, ინტერესებისა და პროგრესის შეფასების მიზნით;

   ბ) ბავშვზე დაკვირვება და შეფასება ემსახურება საგანმანათლებლო პროცესის ინდივიდუალიზაციას თითოეული ბავშვის პროგრესისა და ინდივიდუალური შესაძლებლობების გამოვლენის უზრუნველსაყოფად; ბავშვის შეფასების პროცესში არ ხდება სტიგმატიზაცია (იარლიყების მიწებება);

   გ) აღმზრდელ-პედაგოგი და აღმზრდელი ქმნიან, შემდგომ კი აწარმოებენ თითოეული ბავშვის ინდივიდუალურ პორტფოლიოებს;

   დ) თითოეული ბავშვის მიერ მიღწეული პროგრესისა და საჭიროებების გამოვლენის მიზნით, აღმზრდელ-პედაგოგი და აღმზრდელი რეგულარულად აფასებენ თითოეულ ბავშვს გამოყენებული მეთოდოლოგიისა და კურიკულუმის შესაბამისად;

   ე) მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები ჩართულნი არიან ბავშვის შეფასების პროცესში ამ სტანდარტების მე-18 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული სტანდარტის შესაბამისად.

3. სტანდარტი - აღმზრდელ-პედაგოგი და აღმზრდელი არიან პოზიტიური მაგალითის მიმცემნი. სტანდარტის ინდიკატორები:

   ა) აღმზრდელ-პედაგოგი და აღმზრდელი ამყოვანებენ პატივისცემას თითოეული ბავშვისა და უფროსის მიმართ;

   ბ) აღმზრდელ-პედაგოგი და აღმზრდელი მშვიდად, გაწონასწორებულად ურთიერთობენ გარშემომყოფებთან;

   გ) აღმზრდელ-პედაგოგი და აღმზრდელი იცავენ პირადი ჰიგიენის წესებსა და ჯგუფის სისუფთავეს;

დ) აღმზრდელ-პედაგოგი და აღმზრდელი თავად ასრულებენ იმ მოთხოვნებს, რომელსაც უწესებენ თითოეულ ბავშვს.

4. სტანდარტი - აღმზრდელ-პედაგოგი და აღმზრდელი ხელს უწყობენ ჯგუფში პოზიტიური დისციპლინის დამყარებას. სტანდარტის ინდიკატორი:

ა) ჯგუფის მართვისას აღმზრდელ-პედაგოგი და აღმზრდელი გამიზნულად და თანმიმდევრულად იყენებენ მრავალფეროვან სტრატეგიებსა და მიდგომებს;

ბ) აღმზრდელ-პედაგოგი და აღმზრდელი პროაქტიულად ზრუნავენ კონფლიქტური და პრობლემური ქცევის მოგვარებასა და მართვაზე;

გ) აღმზრდელ-პედაგოგი და აღმზრდელი წაახალისებენ ბავშვებს შორის პოზიტიურ კომუნიკაციას;

დ) აღმზრდელ-პედაგოგი და აღმზრდელი ხელს უწყობენ პრობლემის გადაჭრის უნარის განვითარებას;

ე) აღმზრდელ-პედაგოგი და აღმზრდელი კონფლიქტური სიტუაციების დროს სთავაზობენ მისი მოგვარების იმგვარ სტრატეგიებს, რომელიც უზრუნველყოფს სააზროვნო და სოციალური უნარების განვითარებას;

ვ) თითოეული ბავშვი მონაწილეობს ჯგუფის წესების შემუშავებაში; აღმზრდელ-პედაგოგი და აღმზრდელი ხელს უწყობენ დადგენილი წესების შესრულებას;

ზ) აღმზრდელ-პედაგოგსა და აღმზრდელს თითოეული ბავშვის მიმართ წარმატების მკაფიოდ ჩამოყალიბებული და ბავშვის ასაკისა და განვითარების შესაბამისი მოლოდინები აქვთ.

5. სტანდარტი - აღმზრდელ-პედაგოგი და აღმზრდელი ახორციელებენ ინდივიდუალურ მიდგომას თითოეული ბავშვის მიმართ. სტანდარტის ინდიკატორები:

ა) აღმზრდელ-პედაგოგმა და აღმზრდელმა იციან თითოეული ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებები, ძლიერი მხარეები და ინტერესები;

ბ) აღმზრდელ-პედაგოგს აღმზრდელთან ერთად შეაქვს პროგრამაში ცვლილებები, თითოეული ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინებით;

გ) აღმზრდელ-პედაგოგი და აღმზრდელი უზრუნველყოფენ თითოეული ბავშვის თანაბარ ჩართულობას, განურჩევლად მათი შესაძლებლობებისა, საჭიროებებისა და ინტერესებისა;

დ) აღმზრდელ-პედაგოგი და აღმზრდელი აწარმოებენ ინდივიდუალური განვითარების გეგმას თითოეული ბავშვისთვის, რომლის ფორმაც შემუშავებულია საჭიროებისამებრ.

6. სტადარტი - აღმზრდელ-პედაგოგი და აღმზრდელი ზრუნავენ პირად პროფესიულ განვითარებაზე. სტანდარტის ინდიკატორები:

ა) აღმზრდელ-პედაგოგი და აღმზრდელი მუდმივად ეცნობიან მასალებს ადრეული და სკოლამდელი განათლების საკითხებთან დაკავშირებით;

ბ) აღმზრდელ-პედაგოგი და აღმზრდელი მონაწილეობენ კვალიფიკაციის ასამაღლებელ და პროფესიული განვითარებისთვის ხელშემწყობ სხვადასხვა ღონისძიებაში (ტრენინგები, კურსები, კონფერენციები და სხვა);

გ) აღმზრდელ-პედაგოგი და აღმზრდელი თანამშრომლობენ დარგის სხვა სპეციალისტებთან, პროფესიული განვითარების მიზნით;

დ) აღმზრდელ-პედაგოგისა და აღმზრდელის პროფესიული განვითარების გაღრმავება/ ხელშეწყობა ხორციელდება ამ სტანდარტების მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად.

მიმართულება - ოჯახისა და თემის მონაწილეობა

1. სტანდარტი - დაწესებულების თანამშრომლები, პროგრამაში მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ჩართვის მიზნით, მათთან ურთიერთობისას იყენებენ ფორმალურ და არაფორმალურ კომუნიკაციას. სტანდარტის ინდიკატორები:

ა) დაწესებულების თანამშრომლები ურთიერთობენ ოჯახთან ამ სტანდარტების მე-16 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული სტანდარტის მიხედვით;

ბ) პროგრამაში მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა ჩართვის მიზნით გამოიყენება კომუნიკაციის სხვადასხვა სახე – პირდაპირი, წერილობითი, ელექტრონული, სატელეფონო და ინფორმაციის გავრცელების სხვადასხვა საშუალებები (მაგალითად: მშობელთა დაფა, საინფორმაციო ბუკლეტები, შეკრებები, დაწესებულების ვებგვერდი, სოციალური ქსელები, მშობელთა გზამკვლევი და ა.შ.);

გ) მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები ინფორმირებულნი არიან პროგრამის ფარგლებში განხორციელებული მეთოდოლოგიის, კურიკულუმის მიზნების, დაგეგმილი საქმიანობების შესახებ;

დ) ტარდება რეგულარული შეხვედრები მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან პროგრამის მიმდინარეობასთან დაკავშირებით - საჭიროებისა და სურვილისამებრ, შესაძლებელია შეხვედრების რაოდენობის გაზრდა;

ე) ტარდება რეგულარული ინდივიდუალური შეხვედრები მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან როგორც ბავშვთან მისაღწევი მიზნების განსასაზღვრად, ისე – მისი განვითარებისა და პროგრესის განსახილველად (წელიწადში მინიმუმ 3-ჯერ);

ვ) საჯარო დაწესებულება უზრუნველყოფს საკონსულტაციო საბჭოს მუშაობას და ხელს უწყობს დაინტერესებულ მშობელთა ჩართვას აღნიშნულ საქმიანობაში.

2. სტანდარტი - ოჯახს აქვს საშუალება პროგრამით გათვალისწინებულ საქმიანობებში აქტიურად ჩართვისა როგორც დაწესებულების ფარგლებში, ისე - მის ფარგლებს გარეთ. სტანდარტის ინდიკატორები:

ა) დაწესებულების თანამშრომლები წაახალისებენ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს, პროგრამის ფარგლებში ბავშვებს გაუზიარონ საკუთარი პროფესიული ცოდნა, უნარები, ინტერესები, კულტურა;

ბ) დაწესებულების თანამშრომლები წაახალისებენ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს, მონაწილეობა მიიღონ პროგრამის ფარგლებში დაწესებულების გარეთ დაგეგმილ ღონისძიებებში;

გ) ბავშვის ორივე მშობელს ან ოჯახის სხვა ნებისმიერ წევრს, სურვილის შემთხვევაში, ეძლევათ პროგრამით გათვალისწინებულ საქმიანობებში ჩართვისა და მონაწილეობის შესაძლებლობა;

დ) თითოეული ბავშვის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შეუძლია ბავშვთან ერთად ყოფნა ტრანზიციისას (მაგ., სასწავლო წლის დასაწყისში, ერთი დაწესებულებიდან მეორე დაწესებულებაში გადასვლის შემდეგ).

3. სტანდარტი - პროგრამა უზრუნველყოფს ოჯახის მხარდაჭერას ბავშვის მრავალმხრივი განვითარების საკითხში. სტანდარტის ინდიკატორები:

ა) სასწავლო წლის დასაწყისში მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს მიეწოდებათ ინფორმაცია პროგრამის მიზნებისა და მოსალოდნელი შედეგების შესახებ;

ბ) აღმზრდელ-პედაგოგი აღმზრდელთან ერთად სისტემატურად ახდენს მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირებას ბავშვზე დაკვირვებასა და შეფასებასთან დაკავშირებით;

გ) აღმზრდელ-პედაგოგი აღმზრდელთან ერთად სისტემატურად აცნობს მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს ბავშვის მიერ მიღწეული შედეგების შესახებ ინფორმაციას, სთავაზობს განვითარების ხელშემწყობ საქმიანობებს, მათთან ერთად შეიმუშავებს სხვადასხვა სტრატეგიას პროგრამის ფარგლებში დასახული მიზნების მისაღწევად;

დ) აღმზრდელ-პედაგოგი აღმზრდელთან ერთად მართავს საინფორმაციო შეხვედრებს მშობლების/კანონიერი წარმომადგენლებისთვის ადრეული განათლების, ადრეული ასაკის ბავშვების ასაკობრივი თავისებურებების, განვითარების ხელშეწყობისა და სწავლების სპეციფიკის გასაცნობად.

4. სტანდარტი - პროგრამა უზრუნველყოფს თემთან თანამშრომლობას. სტანდარტის ინდიკატორები:

ა) დაწესებულება ხელს უწყობს თემის ჩართვას პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ საქმიანობებში;

ბ) დაწესებულების თანამშრომლები ფლობენ ინფორმაციას თემში არსებული სერვისების შესახებ (მაგალითად: მშობელთა სკოლები, მუზეუმები, ბიბლიოთეკები, ადრეული განვითარების/

ინტერვენციის პროგრამები, დიაგნოსტიკური ცენტრები, სკოლა და სხვა) და უზიარებენ ოჯახებს;

გ) დაწესებულების თანამშრომლები თემის სხვადასხვა წარმომადგენელთან ერთად ხელს უწყობენ ბავშვისა და მათი ოჯახების ჩართვას ამა თუ იმ მომსახურებაში (მაგალითად: თერაპია, სოციალური დახმარება და ა.შ.);

დ) პროგრამა უზრუნველყოფს თანამშრომლობას სხვადასხვა ტიპის დაწესებულებასთან (მაგალითად: სკოლები, უნივერსიტეტები, ბიბლიოთეკები, მუზეუმები, მაღაზიები, ბიზნეს და არასამთავრობო ორგანიზაციები, მოხალისეები და სხვა);

ე) დაწესებულების თანამშრომლები იყენებენ თემის რესურსს საგანმანათლებლო პროცესისთვის;

ვ) პროგრამა უზრუნველყოფს თანამშრომლობას სხვა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებთან.

მიმართულება - ინკლუზიური განათლება

1. სტანდარტი - პროგრამა აღიარებს და პატივს სცემს კულტურულ მრავალფეროვნებას და ბავშვის სხვადასხვა შესაძლებლობასა და საჭიროებას. სტანდარტის ინდიკატორები:

   ა) ჯგუფის გარემო და საგანმანათლებლო რესურსი ასახავს კულტურულ, ეთნიკურ, ლინგვისტურ და ა.შ. მრავალფეროვნებას;

   ბ) აღმზრდელ-პედაგოგი და აღმზრდელი საჭიროებისამებრ იყენებენ კომუნიკაციის ალტერნატიულ ფორმებს;

   გ) აღმზრდელ-პედაგოგი და აღმზრდელი ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ხელს უწყობენ ქართული ენის სწავლებას;

   დ) აღმზრდელ-პედაგოგი და აღმზრდელი, არაქართულენოვანი ბავშვის პროგრამაში სრულფასოვნად ჩართვის მიზნით, სწავლობენ და იყენებენ რამდენიმე სიტყვას მათ მშობლიურ ენაზე;

   ე) აღმზრდელ-პედაგოგი და აღმზრდელი ხელს უწყობენ თითოეულ ბავშვში განსხვავებულის მიმართ პატივისცემის გრძნობის ჩამოყალიბებას;

   ვ) დაწესებულების ფარგლებში განხორციელებული პროგრამა ხელს უწყობს ოჯახებს საკუთარი კულტურული თავისებურებების (ეროვნული ტრადიციები, კერძები, საკრავები, სამოსი, ზღაპრები და სხვა) სხვებისთვის გაზიარებაში.

2. სტანდარტი - პროგრამა უზრუნველყოფს თითოეული ბავშვის თანაბარ ჩართულობას განურჩევლად მისი შესაძლებლობებისა. სტანდარტის ინდიკატორები:

   ა) აღმზრდელ-პედაგოგი და აღმზრდელი თანაბრად ურთიერთობენ თითოეულ ბავშვთან - არ გამოარჩევენ მათ შესაძლებლობების, გარეგნული თავისებურებების, რელიგიის, ასაკის, ეთნიკური მიკუთვნებულობის, სოციალური მდგომარეობისა და სხვა რაიმე ნიშნის მიხედვით;

   ბ) დაწესებულების გარემო მორგებულია თითოეული ბავშვის საჭიროებებზე;

   გ) აღმზრდელ-პედაგოგი და აღმზრდელი ბავშვებს არ გამოარჩევენ გენდერული ნიშნით - ხელს უწყობენ გოგოებსა და ბიჭებს ყველა ტიპის საქმიანობაში მონაწილეობის მისაღებად.

3. სტანდარტი – აღმზრდელ-პედაგოგი და აღმზრდელი აქტიურად არიან ჩართულნი მულტიდისციპლინური გუნდის მუშაობის პროცესში. სტანდარტის ინდიკატორები:

   ა) აღმზრდელ-პედაგოგი და აღმზრდელი თანამშრომლობენ დაწესებულების სხვა სპეციალისტებთან (მაგალითად: სასწავლო პროგრამის კოორდინატორი/მეთოდისტი, სპეც-პედაგოგი, ფსიქოლოგი, ენისა და მეტყველების თერაპევტი და სხვა);

   ბ) აღმზრდელ-პედაგოგი და აღმზრდელი თანამშრომლობენ თითოეული ბავშვის ჯანმრთელობის დაცვასა და განვითარებაში ჩართულ სპეციალისტებთან (ადრეული განვითარების სპეციალისტი, ოკუპაციური თერაპევტი, ფიზიკური თერაპევტი);

   გ) მულტიდისციპლინური გუნდის მუშაობა წერილობით არის ასახული ბავშვის ინდივიდუალური განვითარების გეგმაში.

მიმართულება - მართვა და შეფასება

1. სტანდარტი - დაწესებულებას აქვს მისია და ხედვა, რომელიც წარმოაჩენს დაწესებულების თვითმყოფადობას, განსაზღვრავს საქმიანობებსა და მიმართულებებს და შეესაბამება „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიერ განსაზღვრულ სტანდარტებსა და რეგულაციებს. სტანდარტის ინდიკატორები:
   ა) დაწესებულებას აქვს გაწერილი მისია და ხედვა;
   ბ) დაწესებულებას აქვს და იყენებს სამოქმედო გეგმას, რომელიც გამომდინარეობს მისიიდან, შესაბამისობაშია „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიერ განსაზღვრულ სტანდარტებსა და რეგულაციებთან;
   გ) დაწესებულების მისია და ხედვა გაზიარებულია ყველა ჩართული და დაინტერესებული მხარისთვის და ასახულია პროგრამის ყველა ასპექტში.
2. სტანდარტი - დაწესებულებას შემუშავებული აქვს დოკუმენტები პროგრამის პოლიტიკისა და პროცედურების შესახებ: ჯანმრთელობა და უსაფრთხოება, ბავშვთა დაცვა ნებისმიერი სახის ძალადობისაგან, დაწესებულებაში ჩარიცხვა, მშობლის ნებართვა და სხვა. სტანდარტის ინდიკატორები:
   ა) დაწესებულებაში შემუშავებულია ამ სტანდარტების მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პროცედურები;
   ბ) დაწესებულებაში არსებობს გაწერილი პროცედურები ბავშვისთვის მედიკამენტის მიღების საჭიროების შემთხვევაში;
   გ) დაწესებულებაში ინახება თითოეული ბავშვის/ზრდასრულის ჯანმრთელობის მდგომარეობის დამადასტურებელი დოკუმენტები;
   დ) დაწესებულებას აქვს თითოეული მომუშავე თანამშრომლის იდენტიფიცირებისთვის საჭირო დოკუმენტაცია;
   ე) დაწესებულებას აქვს მშობლისგან ნებართვის წერილობითი ფორმა (მაგალითად: ნებართვა დაწესებულების გარეთ გასვლებზე, ფოტო და ვიდეოგადაღებაზე და სხვა);
   ვ) დაწესებულებაში დადგენილია ბავშვის ჩარიცხვის პროცედურა;
   ზ) დაწესებულებაში განსაზღვრული და გაწერილია პროცედურები ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედებისთვის;
   თ) დაწესებულება ინახავს საჭირო დოკუმენტაციას ბავშვისა და ოჯახის შესახებ (მაგალითად: დაბადების მოწმობის ასლი, მისამართი, ტელეფონის ნომერი და სხვა).
3. სტანდარტი - დაწესებულება დამოუკიდებელია მართვაში. სტანდარტის ინდიკატორები:
   ა) დაწესებულება განსაზღვრავს საჭირო პერსონალს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად და ბავშვთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით;
   ბ) დაწესებულება დამოუკიდებლად განკარგავს ადამიანური რესურსის მიღებასა და დათხოვნას;
   გ) დაწესებულება დამოუკიდებლად განკარგავს ბიუჯეტს;
   დ) დაწესებულება დამოუკიდებლად ირჩევს კურიკულუმს;
   ე) დაწესებულებასა და მის დამფუძნებელს შორის უფლება-მოვალეობები წესრიგდება დაწესებულების წესდებით, რომელიც შეთანხმებულია თითოეულ მხარესთან და წინააღმდეგობაში არ მოდის ხარისხის სტანდარტებთან.
4. სტანდარტი - დაწესებულება ზრუნავს პერსონალის კეთილდღეობასა და პროფესიულ წინსვლაზე. სტანდარტის ინდიკატორები:
   ა) დაწესებულების ყველა თანამშრომელი ფლობს დაკავებული პოზიციის, როლისა და პასუხისმგებლობების შესაბამისი ცოდნისა და კომპეტენციების დამამტკიცებელ საბუთს, რომელიც ინახება დაწესებულებაში;
   ბ) დაწესებულებაში არსებობს თანამშრომელთა შრომითი ხელშეკრულებები, რომელშიც განსაზღვრულია სამუშაო და შესვენების საათები შრომის კოდექსის შესაბამისად;
   გ) საგანმანათლებლო პერსონალისთვის სამუშაო საათების ფარგლებში განსაზღვრულია

ბავშვებთან საკონტაქტო და არასაკონტაქტო დრო (არასაკონტაქტო დროს აღმზრდელ-პედაგოგი გეგმავს საგანმანათლებლო პროცესს და ზრუნავს პირად პროფესიულ განვითარებაზე);

დ) დაწესებულება წაახალისებს და ხელს უწყობს დაწესებულების თანამშრომლების პროფესიულ განვითარებას (მაგალითად, განსაზღვრავს საჭიროებებს, პირობებს ქმნის თანამშრომელთა ტრენინგებში მონაწილეობისთვის, იწვევს სპეციალისტებსა და ექსპერტებს, ორგანიზებას უკეთებს შეხვედრებს/დისკუსიებს), საჯარო დაწესებულების შემთხვევაში, ამ ვალდებულებას ინაწილებს მისი დამფუძნებელი;

ე) დაწესებულებაში თანამშრომლებისთვის ხელმისაწვდომია თანამედროვე რესურსები პროფესიული განვითარებისთვის (წიგნები, ჟურნალები, ვიდეოები და ა.შ.);

ვ) დაწესებულების თანამშრომლები სარგებლობენ შრომის კოდექსით გათვალისწინებული შესვენების უფლებით.

5. სტანდარტი- დაწესებულებას განსაზღვრული აქვს პროგრამის შიდა მონიტორინგისა და შეფასების პოლიტიკა და პროცედურები. სტანდარტის ინდიკატორები:

ა) დაწესებულებას აქვს პროგრამის კომპონენტების განვითარებაზე ორიენტირებული შეფასების სისტემა;

ბ) შეფასების ინსტრუმენტი შესაბამისობაშია დაწესებულების კურიკულუმთან, კანონმდებლობასა და ხარისხის სტანდარტებთან;

გ) დაწესებულების თანამშრომლებისთვის ხელმისაწვდომია შეფასების ინსტრუმენტი;

დ) პროგრამის მიმდინარე შეფასებას ახორციელებენ დაწესებულების შესაბამისი სფეროს წარმომადგენელი თანამშრომლები.

6. სტანდარტი - პროგრამის გარე მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. სტანდარტის ინდიკატორები:

ა) პროგრამის მიმდინარე მონიტორინგისა და შეფასების დროს მუშავდება რეკომენდაციები;

ბ) პროგრამის შეფასების ინსტრუმენტები ეფუძნება „აღრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიერ განსაზღვრულ სტანდარტებსა და რეგულაციებს;

გ) პროგრამის მონიტორინგს ახორციელებენ შესაბამისი დარგის კვალიფიციური სპეციალისტები;

დ) პროგრამის შეფასებისას გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტები არის ვალიდური და შედგენილია სპეციალისტის მიერ არსებულ სტანდარტებზე დაყრდნობით;

ე) შეფასების ინსტრუმენტი ზომავს პროგრესს;

ვ) პროგრამის ხარისხი დგინდება მასში შემავალი ყველა კომპონენტის ჯამური შეფასების გზით;

ზ) თითოეულ თანამშრომელს მიეწოდება ინფორმაცია პროგრამის შეფასების მონაცემების შესახებ, რომელსაც ითვალისწინებს პროგრამის მსვლელობაში კორექტივების შეტანისას;

თ) საჯარო დაწესებულების შემთხვევაში, თუკი იგი მმართველი ორგანოს დაქვემდებარებაშია, პროგრამის ხარისხის მონიტორინგისა და შეფასებისას ფასდება არა მხოლოდ საჯარო დაწესებულება, არამედ მმართველი რგოლიც.

© გაეროს ბავშვთა ფონდი და
განათლებისა და მეცნიერების
სამინისტრო. მარტი, 2018 წ.

unicef
for every child